# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 სექტემბერი 2005 №210 (2533) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# კალა-კოზბანა

## ქართველები ცუდები არ არიან



პსვ — შალკე 1:0. ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ) ანდრე ოიერისა და მისი თანაგუნდელებისთვის კერკეტი კაკალი გამოდგა

# საქართველომ ლიტვა დაარატიანა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი დამაჯერებელი მოგებით დაიწყო — 3:1 ლიტვასთან.

ტალინის „კადრიორგზე“ კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭებმა ბალტიისპირელებს შანსი არ დაუტოვეს — პირველივე წუთზე „ამერის“ ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა დააწინაურა ჩვენები, მანვე 29-ე წუთზე მეორეც მიაყოლა და 2:0.

ლიტველებმა 38-ე წუთზე ერთი ბურთი კი გაქვითეს, მაგრამ „ზესტაფონის“ თავდამსხმელმა ბექა გოცირიძემ 75-ე წუთზე წერტილი დასვა.

ჟორჟიკაშვილმა 4-3-3 სისტემით ათამაშა გუნდი: დაცვაში, მარჯვნიდან მარცხნივ, დავით მჭედლიშვილი, გიორგი ხიდეშელი, ზურაბ გვაძაბია და გიორგი ელბაქიძე თამაშობდნენ, ნახევარდაცვაში საყრდენ კახა მახარაძეს ფლანგებიდან მირზა ბჟალავა და გიორგი განუგრავა ედგნენ, თავდამსხმელთა უკან ირაკლი ჩირიკაშვილი იყო, ხოლო წინა ხაზზე წინამძღვრიშვილმა და გოცირიძემ იჩაუქეს.

ხვალ ქართველი 19-წლამდელები მეორე ტურში სლოვენიას ეთამაშებიან, ჯგუფის ბოლო მატჩში კი, 17 სექტემბერს მასპინძელ ესტონეთთან გაარკვევენ საქმეს.

ქართველთა ხალიჭვეო შემადგენლობა ასეთი იყო: რევიშვილი, ელბაქიძე, ხიდეშელი, გვაძაბია, მჭედლიშვილი (თომაშვილი), ბჟალავა, განუგრავა, მახარაძე, ჩირიკაშვილი (ხოხონიშვილი), გოცირიძე (ლაფერაშვილი), წინამძღვრიშვილი.

# სარბიელი თქვენთვის

## მორაგბეებმა ძველი და კარგი გაიხსენეს




დღეს მე-16 სარაგბო ჩემპიონატი იწყება და რაგბის კავშირიც სიახლეებით ხვდება ახალ სეზონს. ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, ნათქვამია, ჰოდა, გაზეთ „სარბიელის“ სინიც არაა უცხო ქართული სარაგბო თემისთვის. ერთი კია, რომ ეს სინი უკვე კარგა ხანია, [illegible] თამაშდებოდა. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ეს [illegible] წლეულს აღადგინა და დღეს „ყოჩები“ „ლოკომოტივს“ შორის გამარჯვებულს ძველ, ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ „სარბიელის“ სინს გადასცემენ. სწორედ ახალ სეზონს და მის თანმდევ სიახლეებს მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელიც კაფე „მსოფლიოს სპორტში“ გაიმართა.

მე-12 გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური. წუხელ


გაწოლილ ლიონელ-ბრაზილიელს კლაუდიო კასაპას მადრიდელი-ინგლისელი დევიდ ბექემი გადაახტა

## კალაძე შეტევაში, კობიაშვილი კადრში

ესეც პირველი დღე: „ლიონმა“ „რეალი“ იფრინა — 3:0. ეს ამბავი ანგარიშის გამო, ალბათ, სენსაციაა, მაგრამ, მეორე მხრივ, „ლიონზე“ პატარა გუნდიაო, ველარ ვიტყვით, რადგან ის ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორი გათამაშების მეოთხედფინალისტია და ამ სეზონში უფრო მეტს რომ აპირებს, არ მალავს. და თანაც, თუ გუშინდელი თამაშით ვიმსჯელებთ, ლიონელთა გეგმები მყარ საფუძველზე დგას.

ჟერარ ულიეს ანთებულმა და უკიდურესად მოწადინებულმა გუნდმა „რეალის“ გაცამტვერება პირველ 45 წუთში მოამთავრა. გოლები ცნობილმა ფეხბურთელებმა იონ კარეუმ, ჟუნინიო პერნამბუკანომ და სილვენ ვილტორდმა გაიტანეს. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ „რეალმა“ ასეთივე ანგარიშით წააგო მაშინდელ პირველ მატჩში „ლევერკუზენთან“.

ახლა გადავიდეთ ქართველებზე. გასული სეზონის დამარცხებულმა ფინალისტმა, „მილანმა“ სტამბოლის „ფენერბაჩეს“ 3:1 მოუგო, მაგრამ, ოქმიდანაც დაინახავდით, რომ შეხვედრის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჯერ კიდევ 1:1 იყო. მილანელთა სამიდან ორი გოლი, მათ შორის ის, რომელიც საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე გავიდა, კაკამ შეაგდო. რაც შეეხება კახა კალაძეს, მან ერთხელ კარში დაარტყა, ორჯერ კი მის წინააღმდეგ მეტოქე დაჯარიმდა. ერთი სიტყვით, უფრო შემტევი მონდომებით გამოირჩინა თავი, რაც ბუნებრივია: „მილანი“ შინ „ფენერბაჩეს“ შეუტევდა, აბა, რას იზამდა.

რაც შეეხება შალკელი ლევან კობიაშვილის სტატისტიკას, ის ასეთი გახლავთ: ლევანმა ერთხელ კარისკენ დაჰკრა — ეს თამაშის მიწურულს იყო, როდესაც მისი გუნდი ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა მთელი მონდომებით — მაგრამ ააცილა, სამჯერ მეტოქე წააქცია — მესამე ეპიზოდში ყვითელი ბარათი აუფრიალეს — და სამჯერ წააქციეს. საერთოდ კი, სტატისტიკის გარეშე, უნდა ითქვას, რომ კობიაშვილი აქტიურობდა ან, თუ გნებავთ, ასე გამოვხატოთ აზრი: კადრში ხშირად და კარგად ხვდებოდა. და მაინც, მისი გუნდი დამარცხდა — 0:1.

თასის მფლობელმა „ლივერპულმა“ სევილიაში „რეალ ბეტისს“ მოუგო, მოკლედ, ახალი კამპანია გამარჯვებით დაიწყო, ხოლო „ინტერმა“ ბრატისლავაში 1:0 იმარჯვა. კაცმა რომ თქვას, ამ მსხვილტანიან იტალიურ გუნდს მასპინძელთათვის თავს რეტი ნამდილად არ დაუსხამს, მაგრამ ის ერთი დარტყმა, რომელიც ცხრილში განსხვავებას იძლევა, ხულიო კრუზის ფეხით შესრულა.

ამბიციურმა „ჩელსიმ“ ფრენკ ლამპარდის გოლი, შინ, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ანდერლეხტი“ დაამარცხა.

**პაპუნა ძიდია**


„პორტუს“ მოთამაშეები ტომისლავ სოკოტა და უგო ალმეიდა გლაზგოელ ხულიენ როდრიგესთან ბრძოლაში ერთმანეთს შეასკდნენ

### E ჯგუფი

**მილანი 3:1 ფენერბაჩე**

1:0 კაკა (18), 1:1 ალექსი (63პ), 2:1 კაკა (86), 3:1 შევჩენკო (89)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (ფოგელი 71), ამბროზინი, პირლო (სერჟინიო 71), კაკა, შევჩენკო, ვიერი (ჯილარდინო 78)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ფენერბაჩე: დემირელი, ლუსიანო, სერკანი, ტურაჩი, უმითი, მ. აურელიო, საჰინი, დე სოუზა, აპია (არსლანი 53; ნობრე 90), თუნჯაი, ანელკა
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: დემირელი
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

**პსვ 1:0 შალკე**

1:0 ჰესელინკი (33)
პსვ: გომესი, ოიერი, ლუსიუსი, ადო, რაიციგიერი, კოკუ (ლემეი 82), სიმონსი, აფელაი, ფარფანი, ჰესელინკი (რობერტი 87), ბისლი
მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი
შალკე: როსტი, ბორდონი, რაფინია, კრსტაიჩი, ერნსტი (გ. ვარელა 79), პაულსენი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი (ბაირამოვიჩი 87), ლინკოლნი სანდი (ლარსენი 72), კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კობიაშვილი, სიმონსი, რაფინია, აფელაი
მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

### F ჯგუფი

**ლიონი 3:0 რეალი**

1:0 კარეუ (21), 2:0 ჟუნინიო (26), 3:0 ვილტორდი (31)
ჟუნინიომ ვერ გაიტანა პენალტი (42)
ლიონი: კუპე, კრისი, კასაპა, რეველიერი, ბერთოდი, ტიაგო (ბ. პედრეტი 86), მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (გოვუ 80), კარეუ (ფრედი 72)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, სალგადო, ელგერა, რობერტო კარლოსი, პ. გარსია, ბექემი, გრავესენი (გუტი 61), ბაპტისტა, რობინიო, რაული
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: სალგადო, ბერთოდი, პ. გარსია, დიარა, ბექემი
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**ოლიმპიაკოსი 1:3 რუსენბორგი**

1:0 ლაგო (19 ს.კ.), 1:1 სკეილბრედი (42), 1:2 მავროგენიდისი (48 ს.კ.)
1:3 სტროფლორი (90)
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, კოსტულასი, გეორგატოსი, ი. ტურე (კაფესი 89), სტოლტიდისი, რივალდო (დანი 87), ბაბანგიდა (ოკასი 80), მიხალისი, კონსტანტინუ, ჯორჯევიჩი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი
რუსენბორგი: იონსენი, კვარმე, სკიელბერდი (რისეტი 85), სტრანდი, ლაგო, დორსინი, ბერგი, ვინსნესი (ბრაატენი 66), სოლი, ჰელსტადი (ფ. იონსენი 80), სტროფლორი
მწვრთნელი: პერ-იარ ჰანსენი
გაფრთხილება: იონსენი
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

### G ჯგუფი

**ჩელსი 1:0 ანდერლეხტი**

1:0 ლამპარდი (19)
ჩელსი: ჩეხი, ტერი, ფ. პერეირა, კარვალიო, გალასი, მაკელელე, ესიენი (ჰუტი 90), ლამპარდი, დაფი (ჯო კოული 77), დროგბა, რობოენი (შ. რაიტ-ფილიპსი 68)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ანდერლეხტი: ჟიტკა, ჟუაში, ჟევლაკოვი (იესტეროვიჩი 81), ტინენი, დეშახტი, ბორე, ვანდეჰაიგე (დელორგე 90), დემანი, გოორი, სერჰატი (ვილჰელმსონი 70), მ. მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ვერკაუტერნი
გაფრთხილება: აკინი, ვანდერჰაიგე, შ. რაიტ-ფილიპსი
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**ბეტისი 1:2 ლივერპული**

0:1 პონგოლე (2), 0:2 ლუის გარსია (14), 1:2 არსუ (51)
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო (ხისკო 46), მელი, დ. რივასი, ო. ლოპესი, არსუ (კაპი 72), ფერნანდო (დანი 36), მ. ასუნსაო, ხოაკინი, ვარელა, ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ლივერპული: რეინა, ჰიიპია, კარაგერი, ხოსემი, ტრაორე, სისოკო, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, ზენდენი (რიისე 67), პონგოლე (ჯერარდი 74), კრუჩი (სისე 59)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კარაგერი, რეინა
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

### H ჯგუფი

**პეტრჟალკა 0:1 ინტერი**

0:1 კრუზი (17)
პეტრჟალკა: კობეი, დებნარი, პეტრასი, დულიჩა, ურბანეკი (კონეჩნი 73), ვაშჩაკი, სტანო (ლ. გომესი 62), კოზაკი, ფოდრეკი, ჰარტიგი (მიკულიჩი 71), ჰალენარი
მწვრთნელი: ვლადიმერ ვეისი
ინტერი: სეზარი, სამუელი, კორდობა, მატერაცი, ვომე, კ. ძანეტი, ფიგუ (მარტინსი 81), ვერონი, სტანკოვიჩი, კრუზი (პიზარო 65), ადრიანო
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ვერონი, კ. ძანეტი, ვერონი
გაძევება: ვერონი (56)
მსაჯი: ერიკ პულე (საფრანგეთი)

**რეინჯერსი 3:2 პორტუ**

1:0 ლოვენკრანდსი (35), 1:1 პეპე (47), 2:1 პსო (59), 2:2 პეპე (71), 3:2 კირიაკოსი 85
რეინჯერსი: ვატერეუსი, ჟ. როდრიგესი, რიკსენი, კირიაკოსი, ბერნარდი, ნამუჩი (ნოვო 73), ფერგიუსონი, მიურეი, ლოვენკრანდსი (ბუფელი 56), პრსო, ჯეფერსი (ს. ტომპსონი 84)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
პორტუ: ბაია, რ. კოშტა, პეპე, პ. ემანუელი (სონკაია 41), პეიშოტი, ლ. გონსალესი, დიეგო (კვარეშმა 65), ბარეტო, ალანი (ალმეიდა 65), მოკოტა, ჟორჟინიო
მწვრთნელი: კო ადრიანსე
გაფრთხილება: პრსო, ლ. გონსალესი, ალმეიდა
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

### შოტლანდია

ბელსის თასი. III ეტაპი
ჰამილტონი 2:0 დანდი
სტ. ჯონსტონი 5:1 რეითი
სტ. მირენი 3:2 სტენჰაუზმური

### შვედეთი

სუპერეტა. გადადებული მატჩი
აიკ 3:1 იორებრო

### იტალია

სერია C1/A
გადადებული მატჩი
ჯენოა 3:0 ფერმანა

### ნორვეგია

ტიპელიგა. XX ტური
ფრედრიკსტადი 0:4 ვოლერენგა
ოლესუნდი 1:4 მიოლდე

### ინგლისი

ჩემპიონატი. VIII ტური
ბრაიტონი 0:1 შეფილდი
კარდიფი 1:0 ლესტერი
ჰალი 0:1 სტოკი
იფსვიჩი 2:2 საუთჰემპტონი
პლიმუთი 1:1 ძრიუ
ძპრ 1:0 ლუტონი
უენსდი 1:0 ლიდსი
უოტფორდი 2:1 ნორვიჩი
ვულვზი 1:2 მილუოლი
რედინგი 3:2 კრ. პალასი
პრესტონი 0:0 ბარნლი

I ლიგა. გადადებული მატჩი
ჯილინგემი 0:3 ბარნსლი
დონსი 1:3 სუონსი

II ლიგა. გადადებული მატჩები
მაკლსფილდი 3:1 რაშდენი
ბრისტოლი 1:1 ოქსფორდი
ლინკოლნი 2:0 რეძსენი

# სუპერთასი 2005

**დინამო** თბილისი — **ლოკომოტივი**

ლიგა

### სავარაუდო შემადგენლობა

11 ბობოხიძე, 23 იაშვილი, 8 ბაბუნაშვილი, 16 შელიძე, 28 ოდიკაძე, 9 ნოზაძე, 30 ამისულაშვილი, 6 ალადაშვილი, 2 ქემოკლიძე, 4 გიგაური, 12 სტურუა



მწვრთნელი
კახა ცხადაძე



**მსაჯები:**
ლ. ფანიაშვილი;
ზ. მენთეშაშვილი
(ორივე თბილისი),
ა. სამხარაძე (სოხუმი);
ზ. ანიაშვილი (გორი)

### სავარაუდო შემადგენლობა

11 კახელიშვილი, 20 სირაძე, 7 სეთურიძე, 5 ფოფხაძე, 2 რ. ონიანი, 9 ქებაძე, 25 საჯაია, 13 ინომოვი, 3 გ. ონიანი, 4 მახვილაძე, 1 ჭანტურია



მწვრთნელი
ნოდარ აკობია

# სუპერთასის სპეციალისტი დამწყების წინააღმდეგ

გუშინ ბათუმის სტადიონზე 2005 წლის სუპერთასისთვის მებრძოლი გუნდების, ჩემპიონ „დინამოსა“ და თასის მფლობელ „ლოკომოტივის“ პრესკონფერენცია გაიმართა... ჰოდა, ჩვენც ვნახოთ, რა წინასამატჩო განწყობა აქვთ მეტოქე გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებს...

***ნოდარ აკობია**, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი.* ბათუმის „დინამოსთან“ საჩემპიონატო მატჩის შემდეგ ამ თამაშისთვის ვემზადებით. ჩემს გუნდში არანაირი ნერვიული ფონი არ არის და ყველანაირად მზად ვართ. კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭები თავს კარგად გრძნობენ და მატჩს სერიოზულად უდგებიან.

***როინ ონიანი**, „ლოკომოტივის“ კაპიტანი.* ვფიქრობ, შანსები თანაბარია. ძალიან მინდა, მოვიგოთ და ვგრძნობ, ასეც მოხდება.

*დღეს საქართველოს სუპერთასია, აქამდე ოთხჯერ ჩატარებული, მერე კი მივიწყებული... მივიწყებულიც და, ფაქტობრივად, გარდაცვლილიც.*
*საქართველოს სუპერთასი 1996 წელს გაზეთ „რეზონანსის“ თაოსნობით დაიბადა ბათუმში — „ბათუმი“ თბილისის „დინამოსთან“ 0:4 დამარცხდა.*
*მომდევნო სამ წელს თასის გათამაშებას იმავ ბათუმმა, ქუთაისმა და თბილისმა უმასპინძლეს და ერთ-ერთი მონაწილე ყოველთვის „დინამო“ იყო. საბოლოოდ, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებმა სამჯერ მოიპოვეს სუპერთასი და სამუდამო მფლობელობაშიც დაიტოვეს.*
*1999 წლის შემდეგ კი, როგორც გითხარით, სუპერთასი აღარ გათამაშებულა...*

***მიხეილ მახვილაძე**, „ლოკომოტივის“ მცველი.* ერთხელ წაგებული მაქვს სუპერთასი თბილისის „დინამოსთან“, როცა „ტორპედოში“ ვთამაშობდი, ახლა კი რევანშის აღება მინდა და საამისოდ უკან არ დავიხევ.

***ლევან სალუქვაძე**, „დინამოს“ პრესატაშე.* გუნდი ჩვეულებრივად ემზადება, ისევე, როგორც ნებისმიერი მატჩისთვის. რაიმე განსაკუთრებული მზადება არ გვქონია. სამწუხაროდ, ტრავმის გამო გიორგი მეგრელაძე დაგვაკლდება, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოჯანმრთელებული დავით ოდიკაძე შემოგვემატა. ჩვენთვის უმჯობესი იქნებოდა, მატჩი თბილისში გამართულიყო, რადგან მოთამაშეებისთვის ამხელა გზაზე მგზავრობა ძალიან დამღლელია. საერთოდ კი, კარგია, სუპერთასი რომ ტარდება, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სეზონის დაწყების წინ უნდა იმართებოდეს. ისიც უმჯობესი იქნებოდა, გათამაშება კომერციულ ხასიათს რომ ატარებდეს. ჩვენდა გასაკვირად, ამ ბოლო ხანს „დინამოს“ მატჩებზე არაკვალიფიციური მსაჯობა შეინიშნება და იმედი გვაქვს, ხვალ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება.

***ლევან მელქაძე**, „დინამოს“ თავდამსხმელი.* ჩემპიონობის შემდეგ რეალური იქნება, რომ სუპერთასიც ჩვენ დაგვრჩეს, ამისათვის ყველანაირად მზად ვართ და ვეცდებით, ბათუმიდან მოგებულები წავიდეთ.

**გიორგი მურვანიძე**
**ბათუმიდან**



ვაჟიკო კოპალიანის ფოტო

## ყველა სუპერთასი

**1996 წელი**

ბათუმი. 28 ივლისი. „დინამო“.
6 000 მაყურებელი
**ბათუმი 0:4 დინამო**
0:1 იაშვილი (23), 0:2, 0:3 ყიზილაშვილი (52, 54), 0:4 ცქიტიშვილი (78)
**ბათუმი:** ტოგონიძე, შანიძე (ი. მახარაძე 71), ა. მუჯირი, ღლონტი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, დ. მახარაძე (ტრაპაიძე 54), ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე (დიდავა 75), კუდინოვი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 72), იაშვილი (ხომერიკი 71)
**გაფრთხილება:** კიკნაძე
**მსაჯები:** ე. სილაგავა; შ. ხანიაშვილი, მ. მალაღურაძე (სამივე თბილისი)

**1997 წელი**

ქუთაისი. 4 აგვისტო. „ცენტრალური“.
6 000 მაყურებელი
**დინამო 4:1 ბათუმი**
1:0 მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75), 4:1 ალექსიძე (85)
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ზ. ჯელაძე (გუჩუა 46), დიდავა, ლობჟანიძე, გოგიჩაიშვილი (ალექსიძე 64), კიკნაძე, ცქიტიშვილი (გოგობერიშვილი 46), გ. ჩხაიძე (დავითნიძე 88), დ. მუჯირი (ხომერიკი 58), იაშვილი (კვარაცხელია 87)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 40), მინდაძე, ჭიჭვეიშვილი, ასპინძელაშვილი, სიჭინავა, მაქაცარია (აფხაზავა 46), ღლონტი, სოლოღაშვილი, კანტიძე, ჩუხუა (ყულეჯიშვილი 80)
**გაფრთხილება:** მუჯირი, ჩუხუა, სოლოღაშვილი
**გაძევება:** სოლოღაშვილი
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (სამივე ქუთაისი)

**1998 წელი**

ბათუმი. 2 აგვისტო. „დინამო“.
5 000 მაყურებელი
**ბათუმი 2:1 დინამო**
1:0 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 2:1 ტულუში (81)
**ბათუმი:** ტოგონიძე, გოგიტაძე, მინდაძე (აფხაზავა 44), სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია 71), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, გადელია (ღლონტი 31)
**დინამო:** სოლოღაშვილი, ი. მახარაძე, გუჩუა, კვარაცხელია (სახვაძე 62), დ. მუჯირი (მელქაძე 66), კიკნაძე, ალექსიძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, აშვეთია, ხომერიკი (შენგელია 68)
**გაფრთხილება:** კანტიძე, გუჩუა
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ი. კახიანი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**1999 წელი**

თბილისი. 29 თებერვალი.
„ეროვნული“. 1 500 მაყურებელი
**დინამო 1:0 ტორპედო**
1:0 ნიტაიშვილი (16)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სახვაძე (რუხაძე 89), ქემოკლიძე, ჯინჭარაძე, დათვაძე (ანჩაბაძე 80), სიჭინავა, ნიტაიშვილი (ხუციშვილი 90)
**ტორპედო:** ჭანტურია, მახვილაძე (ასათიანი 23), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (ბობოხიძე 76), ახვლედიანი, კვეტენაძე, ამისულაშვილი, იმედაძე (დ. ჯანაშია 65), ჩხეტიანი, იონანიძე, მეგრელაძე
**გაფრთხილება:** გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში)

# დინამო უკვე ჩემპიონია?

## მეგრელაძე კონკურენტს ვერ ხედავს



გიორგი მეგრელაძე (მარჯვნივ) ახალ გარემოს უკვე შეეგუა

*თბილისის „დინამომ“ მთლად სასურველად ვერ დაიწყო სეზონი, ერთი მარცხი და ერთი ფრე უკვე მიითვალა და „ცხინვალთან“ ბოლო ტურში მოგებულ თამაშშიც გამოჩნდა, რომ ჩვეულად ველარ ლაღობს. დინამოელთა საამსეზონო ექვსი გოლიდან ნახევარი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔᲛ გაიტანა. ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფორვარდი ამჟამად ტრავმირებულია და ზუსტად არც იცის, რამდენი ხანი გაუცდება...*

— „ცხინვალთან“ თამაშისას ფეხი ვიტკინე, ჯვარედინი იოგები დამიზიანდა და სამკურნალო ვარ.

— ექიმებმა რა გითხრეს, ოპერაცია ხომ არ დაგჭირდება?

— არა, ასეთი სავალალო მდგომარეობაც არაა. უბრალოდ, ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანში დავუბრუნდები მინდორს.

— „ცხინვალთან“ ულამაზესი გოლი გაიტანე. გაიხსენებ იმ მომენტს?

— მკერდზე მიღებული ბურთი მოვატრიალე და ჰაერშივე დავარტყი — კარგი გოლი გამომივიდა, არც ველოდებოდი, ისეთი.

— ადრე თუ გაგიტანია მსგავსი გოლი?

— „ტორპედოში“ არა, მაგრამ გოლი ბევრი გამიტანია და, ცხადია, ჩემთვის ყველა თავისებურად ლამაზია.

**— ამ სეზონში სამი ბურთი შეაგდე, თუმცა „დინამოსთვის“ ხუთ თამაშში გატანილი ექვსი გოლი დიდი ვერაფერი შედეგია. რატომ გიჭირთ ასე?**

— რა ვიცი, ყველა თამაშში ისეთ მომენტებს ვაფუჭებთ, მეტი რომ არ შეიძლება...

**— ანუ „დინამოს“ პრობლემა მხოლოდ დამაგვირგვინებელ ფაზაში უზუსტობაა?**

— ეგრეა და ყოველთვის ასე ხომ არ იქნება, მალე ძველებურად ავთამაშდებით.

**— „დინამოში“ გადასვლისას თავიდანვე ძირითადში ვერ დაიმკვიდრე ადგილი...**

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ბევრი თავდამსხმელი გვყავს და ვარჯიშებზე ვინც უკეთ გამოიყურებოდა, ძირითადშიც ის ხვდებოდა. თანაც ახალ გუნდთან შეგუებასაც სჭირდება მცირე დრო. ვფიქრობ, უკვე ყველაფერი კარგადაა.

**— როგორ გგონია, „დინამოს“ საჩემპიონო კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— ჩვენი თამაში თუ დავიჭირეთ, ჩათვალეთ, რომ ჩემპიონები ვართ. კონკურენტს ვერ ვხედავ.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ძველი ახალი მიზანი

## ევრო-2008 იანვარში დაიბადება

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ნაკრები თავის ისტორიაში მეექვსე შესარჩევ ციკლს ამთავრებს უსახელოდ და ჩვენი ოცნებაც, ნაკრებმა ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს, ოცნებად რჩება.

რომ იტყვიან, ცხოვრება გრძელდება... ქართველები კი გამოუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და უკვე მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ველით — ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის მოსურნე 50 ევროპული ქვეყანა 2006 წლის 27 იანვარს განაწილდება ჯგუფებში — წილისყრა შვეიცარიულ მონტრეში ჩვენი დროით 14 საათზე დაიწყება.

უეფას გადაწყვეტილებით, ჯგუფებში შვიდ-შვიდი გუნდი მოხვდება, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. მასპინძლები კი, შვეიცარია და ავსტრია, ბუნებრივია, ფინალურ ეტაპზე ავტომატურად დაიშვებიან.

2008 წლის ევროშესარჩევი ციკლი გაისად სექტემბერში დაიწყება და 2007 წლის ნოემბერში დასრულდება, ფინალური ეტაპის წილისყრა კი იმავე წლის 2 დეკემბერს გაიმართება.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

# ბავშვებში დაჩაგრული მსაჯი

**ᲒᲣᲨᲘᲜ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომა გაიმართა. განსახილველ საკითხთაგან ყველაზე საინტერესო ბავშვთა ლიგაში მომხდარი ინციდენტი გახლდათ — ბოლნისის „სიონისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ბავშვთა გუნდების (1988-89 წლებში დაბადებულები) შეხვედრისას გვერდით მსაჯ ვახუშტი ცინცაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ყველაფერი ასე მოხდა: წესით, მატჩი სოფელ რატევანში უნდა გამართულიყო, თუმცა მოედნის მოუწესრიგებლობის გამო გუნდები კაზრეთში ეთამაშნენ ერთმანეთს. მე-60 წუთზე თბილისელები 2:1 დაწინაურდნენ, რამაც ბოლნისელთა თავკაცი ბახვა მოსეშვილი ალაშფოთა და მან ცინცაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც მაყურებელთა აგრესია მოჰყვა და... მსაჯს მუჯლუგუნიც მრავლად მოხვდა.

დისციპლინარების გადაწყვეტილებით, მოსეშვილი ორი თამაშით და 75 ლარით დაისაჯა, კლუბი კი 500 ლარს გადაიხდის.

დანარჩენ სასჯელთა სია ასეთია: თენგიზ ჩიკვილაძე (სიონი) — 2 თამაში, 300 ლარი; ვიტალი დარჩიძე (ბათუმი) — 2 თამაში, 300 ლარი; გიორგი რევაზიშვილი (დილა) — 1 თამაში, 50 ლარი; გიორგი მერებაშვილი (დინამო 2) — 1 თამაში, 50 ლარი; ვლადიმერ ჩხაიძე (გურია) — 1 თამაში, 50 ლარი.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

# მეექვსე ტური 20 სექტემბერს ჩათავდება

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩი „სპარტაკსა“ და „თბილისს“ შორის 16 სექტემბრის ნაცვლად 20-ში გაიმართება. თამაშის გადადება „თბილისმა“ მოითხოვა, რადგან მისი ოთხი ფეხბურთელი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს ესტონეთში.

თბილისელებს „ბორჯომთან“ წინა ტურის შეხვედრის გადადებაც შეეძლოთ, მაგრამ მაშინ ამის უფლება არ გამოიყენეს...

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

# თვალი თვალი



ბადრი კეთილაძის ფოტო

*რა მოგვიტანა ვარდებმა?*

*უკრაინის ეროვნული ნაკრების ადმინისტრატორს ვარდები თბილისში, საქართველო — უკრაინის მატჩისას დააჭერინეს — ჩვენი და უკრაინის ბოლოდროინდელი ჩახუტების ამბავი ხომ კარგად მოგეხსენებათ...*

*მაგრამ რა მოუტანა ვარდებმა ქართულ და უკრაინულ ფეხბურთს? უკრაინელებს მუნდიალის საგზური, ჩვენ კი ნოდარ ახალკაცი და გაიოზ დარსაძე...*

## დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩები**

**ზუგდიდი 0:4 ზესტაფონი**

პირველი მატჩი 0:3

**მესხეთი 1:0 დილა**

პირველი მატჩი 3:3



იცხაკ შუმი

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ექვსი ქართველი ტრანსფერზე რომ დააყენა, არახალია, მაგრამ „ალანიაში“ სხვა ახალი ამბებია.
რუსული პრემიერლიგის წინა ტურში „ალანიამ“ შინ 0:2 წააგო, გიორგი დემეტრაძე იცხაკ შუმმა 50-ე წუთზე შეუშვა მოედანზე, თუმც „ალანიამ“ ეს შეხვედრა მთლიანობაში ძალიან სუსტად ჩაატარა. მატჩის შემდეგ შუმს ტრანსფერზე დაყენებულ ექვს ქართველზეც ჰკითხეს და ოსთა ებრაელმა მწვრთნელმა უპასუხა, მე ფეხბურთელების გვარებს კი არ ვუყურებ, არამედ იმას, თუ ვინ როგორ მუშაობსო...

# ქართველებს ალანიას ძირითადში აბრუნებენ

## ვლადიკავკაზური ვისი ფეხები ვის თავშია

„ალანია“ და „მოსკვა“ ერთმანეთს დუბლშემადგენლობითაც გაეჯიბრნენ, მაგრამ ექვსი ქართველი — ლევან გვაზავა, გიორგი შაშიაშვილი, ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, ლადო ბურდული და ვიტალი დარასელია — არც დუბლებში გამოჩენილა. არადა, როცა ისინი ტრანსფერზე დააყენეს, შეპირდნენ, დუბლებში ივარჯიშებთ და ითამაშებთო.

აი, რა გვითხრა გიორგი შაშიაშვილმა, ვისაც გუშინ დავუკავშირდით ვლადიკავკაზში.

— დუბლებში თამაშის უფლებაც არ მოგვცეს, ალბათ, არ უნდათ, რომ დუბლებში მაინც გამოვიჩინოთ თავი, მაგრამ „მოსკვასთან“ მატჩის შემდეგ „ალანიას“ დუბლების მწვრთნელმა გვითხრა, ქართველები პირველ გუნდში ითამაშებთო — 21 სექტემბერს რუსეთის თასის საპასუხო მატჩში სტუმრად ჩიტის „ლოკომოტივს“ ვხვდებით, პირველი შეხვედრა შინ 2:0 მოვიგეთ. ველარ გავიგეთ, რა ხდება, დუბლებშიც აღარ გვათამაშებენ და მერე გვეუბნებიან, თასზე პირველ გუნდში ითამაშებთო...

როცა „ალანიამ“ ექვსი ჩვენებური ტრანსფერზე დააყენა, თბილისის „დინამო“ ლადო ბურდულისა და დავით კვირკველიას დაბრუნებით დაინტერესდა, მაგრამ ეს საქმე ამას იქით აღარ წასულა.

— ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი არაფერია. „ალანიას“ უფროსობაც ერიდება ამაზე ლაპარაკს, გვაცადეთ, ცოტაც მოვიცადოთო. „მოსკვასთან“ წაგების შემდეგ იცხაკ შუმს ძალიან ცუდი პრესა ჰქონდა. მატჩისას ქართველები გულშემატკივრებში ვიჯექით და მათ შუმისადმი უკმაყოფილებას ნათლად ვხედავდით. მიმდინარე ჩემპიონატში „ალანიას“ მანამდე მხოლოდ ერთხელ წაეგო შინ, მეორედ კი მაშინ დამარცხდა, როცა თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — გვითხრა ბურდულმა.

„ალანია“ თექვსმეტგუნდა რუსულ პრემიერლიგაში ახლა მე-14 ადგილზეა, პირველ ლიგაში ორი გუნდი ქვეითდება და „ალანიაც“ წკიპზეა. მომდევნო მატჩი ოსებს 17 სექტემბერს აქვთ ყაზანში „რუბინთან“, რომელიც უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის და „ალანიასთან“ აუცილებლად მოგება სჭირდება.

ქართველების ტრანსფერზე დაყენების ინიციატორ იცხაკ შუმს კი შეთავაზება მიუვიდა ებრაული „ბეითარისგან“, მაგრამ შუმი „ალანიადან“ წასვლას არ ჩქარობს.

„ახლა მთელი გონებით „ალანიაში“ ვარ ჩაფლული, თუმც ფეხბურთში წინასწარ ვერაფერს იტყვი, ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დავწონო. ამ მომენტისთვის კი ჩემი მიზანი „ალანიას“ უმაღლეს ლიგაში დატოვებაა“ — განუცხადა რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ შუმმა.

**დავით თავართქილაძე**

# მუჯირს ჯამარაულის ფანი წვრთნის

**25 წლის** მცველმა ჯაბა მუჯირმა ისპაჰანის „სეპაჰანთან“ კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა — მუჯირმა „სეპაჰანში“ აქამდე ორი სეზონი დაჰყო.

წლევანდელ სპარსულ ლიგაში ორი ტურის შემდეგ „სეპაჰანი“ პირველ ადგილზეა, ხოლო აქვსენტი გილაურის „ესტეგლალი“ მეოთხეზე — ირანში ახლა მხოლოდ ეს ორი ქართველი თამაშობს.

— ორივე შეხვედრაში სრულად ვითამაშე, კონტრაქტი კი იმიტომ გავაგრძელე, რომ აქ ნორმალური პირობები და სიტუაციაა. „სეპაჰანში“ რეორგანიზაცია მოხდა, გუნდს მხოლოდ ორი ლეგიონერი შემოვრჩით. მწვრთნელიც ახალი გვყავს — ბრაზილიელი ედსონ ტავარეში, რომელმაც მითხრა, ქართველებს კარგად გიცნობთ, ბრაზილიის ნაკრებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მითამაშია, ხოლო ირანში ჩამოსვლამდე შვეიცარიაში ვმწვრთნელობდი და გოჩა ჯამარაულზე უკეთესი ფეხბურთელი იქ არ მინახავსო — გვითხრა მუჯირმა.

**დავით თავართქილაძე**



ჯაბა მუჯირი (№5) ირანში კიდევ ერთი წელი ითამაშებს

# GO, GO GIO!





ლეგენდარულ სიტელ კოლინ ბელის ღირსეულ კონკურენციას მხოლოდ გიორგი ქინქლაძე უწევს

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო გამოკითხვას წავაწყდით — ქომაგებს საშუალება აქვთ, „სიტის“ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინონ. სადღეისო შედეგებით პირველ ადგილზე ლეგენდარული კოლინ ბელია (ხმათა 51 პროცენტი), მეორეზე ქართველი გიორგი ქინქლაძე (27 პროცენტი), დანარჩენებს კი, რომელთა შორის ქინქლაძის დროინდელი „სიტის“ პრეზიდენტი ფრენსის ლიც ფიგურირებს, მოკრძალებული შედეგები აქვთ.

როგორც ჩანს, ქინქლაძე მანჩესტერში დღესაც კარგად ახსოვთ. შეგახსენებთ, რომ ქართველი ნახევარმცველი ბრიტანეთში 1995 წელს გადავიდა და სიტყვაძვირი ინგლისელები პირველივე სეზონში აალაპარაკა. „სიტიში“ ქინქლაძე 3 წელი დაყო და 121 მატჩში 22 გოლი გაიტანა.

მოკლედ, თუ ფიქრობთ, რომ ქინქლაძე „მანჩესტერ სიტის“ ლეგენდაა, შედით შემდეგ მისამართზე www.bluemoon-mcfc.co.uk და მიეცით ხმა...

**კახა შალამბერიძე**

# აბრამიძემ მოიკი გადარეცხა



**აზერბაიჯანის** ჩემპიონატზე ქართველ ფეხბურთელებს სხვადასხვაგვარი წარმოდგენა ექმნებათ. ზოგი ამბობს, იქ ფულიც არის და გუნდების დონეც მაღალიაო, ზოგს კი დონის გაგონებაზე ეცინება, ფულს უპრაგონოდ ხარჯავენ და თამაში ვერ ისწავლესო. ერთი სიტყვით, აზერბაიჯანიდან მალევე წამოვიდნენ მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და ფორვარდი რევაზ ძოძუაშვილი.

ამ დღეებში კი ჩვენმა მეზობლებმა მეოთხე ტური ჩაამთავრეს. ნიშანდობლივი ისაა, რომ ზედა სამეულში სულ ქართველთა გუნდები „ნებივრობენ“. ჩემპიონმა „ნეფთჩიმ“ სტუმრად მოიკ-ს 1:0 მოუგო და ეს ერთადერთი ბურთი 72-ე წუთზე ვალერი აბრამიძემ შეაგდო. საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი აქამდე გოლების გატანით არასოდეს გამოირჩეოდა, „ნეფთჩიში“ კი ზედიზედ მეორე მატჩში იხეირა. ბაქოელთა რიგებში ფორვარდმა გიორგი ადამიამაც ითამაშა.

მენავთობეებს ოთხი მატჩიდან 10 ქულა აქვთ, ისევე როგორც ზაზა ლაცაბიძის, თენგიზ სიჭინავასა და ზაზა მელოევის „თურანს“. ამ გუნდმა წინა ტურში „გაინჯასთან“ 0:0 ითამაშა. მოკლედ, „ნეფთჩი“ და „თურანი“ ლიდერობენ, მესამე ადგილზე კი ალეკო გოგობერიშვილის ცხრაქულიანი „ბაკია“, რომელმაც სტუმრად აგდამის „ყარაბახს“ 4:2 მოუგო, თუმცა ჩვენიანს გოლი არ გაუტანია.

ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს სამეული და ლექსო ინწკირველის „კარვანი“ იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის, ყველაზე მდიდარი აზერბაიჯანული კლუბი „ხაზარი“ კი მთლად წალეკილია და ბოლო ადგილზე ჩაიტკეპნა.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## A ჯგუფი

### რაპიდი — ბაიერნი

### ბრიუგე — იუვენტუსი

# ისტორია და რეალობა

**ერთი შეხედვით**, სად „იუვენტუსი" და სად „ბრიუგე", მაგრამ ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ყველაფერი სხვაგვარად აღმოჩნდება. 1978 წელს „ბრიუგე" ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა, ნახევარფინალიდან კი სწორედ „იუვე" გააგდო — ტურინში 0:1 წააგო, შინ კი 2:0 მოიგო დამატებით დროში.

მაგრამ გულშემატკივარი იტყვის, რომ 27 წლის წინ მომხდარს დღევანდელი მატჩის წინ მნიშვნელობა არ აქვს და მართალიც იქნება. ამიტომ უფრო ახალი ამბები გავიხსენოთ: „ბრიუგეს" ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ცხრა საშინაო მატჩიდან მხოლოდ სამი აქვს მოგებული, მაშინ როცა „იუვენტუსს" წინა სეზონში ჩატარებული ათი საჩემპიონთალიგო მატჩიდან შვიდში გოლი არ გაუშვია და ამის გარდა 1982 წლის მერე ბელგიაში თამაში არ წაუგია. კიდევ ის, რომ „იუვენტუსს" ალესანდრო დელ პიერო გამოუჯანმრთელდა და „ბრიუგესთან" სათამაშოდ მზად არის.

„ბაიერნისა" და „რაპიდის" მატჩისწინა მთავარი ამბავი მიხაელ ბალაკის ტრავმაა. ბუნდესნაკრების კაპიტანმა ვარჯიშისას კოჭი გადაიბრუნა. ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ სამდღიან მკურნალობას საჭიროებს, ამ სამ დღეში კი ავსტრიელებთან მატჩის გამოტოვებაც იგულისხმება. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბალაკი ალბათ შაბათსაც, „ჰანოვერთან" ბუნდესლიგის მატჩშიც ვერ ითამაშებს.

თუმცაღა „ბაირნენის" ბანაკში კარგი ამბავიც აქვთ — როი მაკაის მუხლის ტრავმისგან კვალიც აღარ არის დარჩენილი, ხოლო რამდენა ძალასაც წარმოადგენს ჰოლანდიელი ფორვარდი მიუნხენელთათვის, ჩვენგან არ გესწავლებათ.

ავსტრიელებზე კი რა მოგახსენოთ. ჩემპიონთა ლიგაში მათ რვა წლის წინაც ითამაშეს, თუმცა მაშინ ერთი თამაშიც ვერ მოიგეს. ეგებ ახლა უფრო გაუმართლოთ, ოღონდ ჯგუფიდან გასვლის ფავორიტები რომ არ არიან, მტკიცება რად უნდა.

**ქოტე ქექელია**

## B ჯგუფი

### არსენალი — თუნი

### სპარტა — აიაქსი

# თუგინდ იყოს თუნი

**შვეიცარიული** „თუნი" საჩემპიონთალიგო დებიუტს „არსენალთან" სტუმრობით იწყებს, ხოლო ამ წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. მაგრამ თუნელთათვის, რომლებიც შვეიცარიის მთავარ დივიზიონში სულ რაღაც სამი წლის წინ აღზევდნენ, დაგვეთანხმებით, ლიგაში მონაწილეობა შედეგზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ტიერი ანრის არყოლა, ლონდონელთათვის ვინძლო გადაულახავი დაბრკოლება არ იქნება მეტოქის დასამარცხებლად. ანრი სულ მცირე ერთი თვით გამოეთხოვა გუნდს ტრავმის გამო. ფრანგი ფორვარდის გარდა „არსენალს" დისკვალიფიცირებული მეკარე იენს ლემანიც არ ეყოლება, სოლ კემპბელის თამაშის საკითხი კი ჯერაც გადაუწყვეტელია. ის ხანგრძლივი მკურნალობის მერე კი მომჯობინდა, მაგრამ წინა შაბათს პრემიერლიგის ტურში მოედანზე არ გამოჩენილა.

მატჩისწინა განცხადებები კი ისეთია, როგორსაც გამოცდილი ხალხი ჩვეულებრივ აკეთებს-ხოლმე. ასე მაგალითად, ეშლი კოულმა თქვა, ოთხშაბათის მატჩი ვითომ იოლად უნდა მოვიგოთ, მაგრამ ისიც მოგვეხსენება, კონკრეტულ 90 წუთს უკეთ ვინც ითამაშებს გამარჯვება იმას დარჩება, ამიტომ მოდუნების უფლება არ გვაქვსო.

ანრის არყოფნაში „არსენალის" შეტევას სავარაუდოდ, ხოსე ანტონიო რეიესი და დენის ბერხკამპი გაუძღვებიან.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში „სპარტა" „აიაქსს" მასპინძლობს. ჩეხებს ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ოთხი საშინაო მატჩი არ მოუგიათ, თუმცა სახარბიელო სტატისტიკა არც ჰოლანდიელებს აქვთ — მათ ბოლო რვა სტუმრად ნათამაშევი მატჩიდან შვიდი წააგეს.

**ირაკლი ნინიძე**

## A ჯგუფი

### ბაიერნი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ოლივერ კანი | 15.06.69 |
| 22 | მიხაელ რენსინგი | 14.05.84 |
| 29 | ბერნდ დრეჰერი | 02.11.66 |
| 36 | იან შლიოსერი | 27.09.82 |
| | **მცველები** | |
| 2 | ვილი სანიოლი | 18.03.97 |
| 3 | ლუსიო | 08.05.78 |
| 6 | მარტინ დემიკელისი | 20.12.80 |
| 18 | ანდრეას გიორლიცი | 31.01.82 |
| 21 | ფილიპ ლამი | 11.11.83 |
| 25 | ვალერიან ისმაელი | 28.09.75 |
| 69 | ბიქსენტ ლიზარაზუ | 09.12.69 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | მეჰმედ შოლი | 16.10.70 |
| 8 | ალი ქარიმი | 08.11.78 |
| 11 | ზე რობერტო | 06.07.74 |
| 13 | მიხაელ ბალაკი | 26.09.76 |
| 16 | იენს იერემისი | 05.03.74 |
| 20 | ჰასან სალიჰამიჯიჩი | 01.01.77 |
| 23 | ოუენ ჰარგრივსი | 20.01.81 |
| 26 | სებასტიან დაისლერი | 05.01.80 |
| 31 | ბასტიან შვაინშტაიგერი | 01.08.84 |
| 39 | ანდრეას ოტლი | 01.03.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 10 | როი მაკაი | 09.03.75 |
| 14 | კლაუდიო პიზარო | 03.10.78 |
| 24 | როკე სანტა კრუზი | 16.08.81 |
| 33 | ჟოზე პაოლო გერერო | 01.01.84 |
| | მწვრთნელი:ფელიქს მაგათი | |

### იუვენტუსი (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჯანლუიჯი ბუფონი | 28.01.78 |
| 12 | ანტონიო კიმენტი | 30.06.70 |
| 32 | კრისტიან აბიატი | 08.07.77 |
| | **მცველები** | |
| 2 | ა. ბირინდელი | 12.11.74 |
| 3 | ჯორჯო კიელინი | 14.08.84 |
| 5 | იგორ ტუდორი | 16.04.78 |
| 6 | რობერტ კოვაჩი | 06.04.74 |
| 7 | ჯანლუკა პესოტო | 11.08.70 |
| 14 | ფედერიკო ბალძარეტი | 06.12.81 |
| 21 | ლილიან ტურამი | 01.01.72 |
| 27 | ჯონათან ძებინა | 19.07.78 |
| 28 | ფაბიო კანავარო | 13.09.73 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | პატრიკ ვიეირა | 23.06.76 |
| 8 | ემერსონი | 04.04.76 |
| 11 | პაველ ნედვედი | 30.08.72 |
| 16 | მაურო კამორანეზი | 04.10.76 |
| 19 | ჯანლუკა ძამბროტა | 19.02.77 |
| 20 | მანუელე ბრაზი | 17.08.80 |
| 23 | ჯულიანო ჯანიკედა | 21.09.74 |
| 24 | რუბენ ოლივერა | 04.05.83 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 03.10.81 |
| 10 | დელ პიერო | 09.11.74 |
| 13 | ფაბრიციო მიკოლი | 27.06.79 |
| 17 | დავიდ ტრეზეგე | 15.10.77 |
| 18 | ადრიან მუტუ | 08.01.79 |
| 25 | მარსელო ზალაიეტა | 05.12.78 |
| | მწვრთნელი: ფაბიო კაპელო | |

### ბრიუგე (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ტომისლავ ბუტინა | 30.03.74 |
| 13 | ბლენ ვერბაუვედე | 19.05.85 |
| 23 | სტიინ სტიინენი | 07.04.81 |
| | **მცველები** | |
| 2 | ოლივიე დე კოკი | 09.11.75 |
| 4 | იოოს ვალგარენი | 03.03.76 |
| 5 | მიხაელ კლუკოვსკი | 27.05.81 |
| 6 | ფილიპ კლემანი | 22.03.74 |
| 15 | მარეკ შპილარი | 11.02.75 |
| 17 | ივან გვოზდენოვიჩი | 19.08.78 |
| 26 | ბირგერ მაერტენსი | 28.06.80 |
| 32 | გიუნტერ ვანაუდენაერდე | 23.01.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | სვენ ვერმანტი | 04.04.74 |
| 8 | გაეტან ენგლებერტი | 11.06.76 |
| 11 | ჯონათან ბლონდელი | 03.04.84 |
| 14 | გრეგორი დუფერი | 19.12.81 |
| 16 | სერგეი სერებრენიკოვი | 01.09.76 |
| 18 | ივან ლეკო | 07.02.78 |
| 31 | კევინ როელანდტსი | 27.08.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | გერტ ვერჰეიენი | 20.09.70 |
| 9 | მანასე იშიაკუ | 09.01.83 |
| 10 | ბოშკო ბალაბანი | 15.10.78 |
| 19 | რუნე ლანგე | 24.06.77 |
| 21 | სებასტიან ჰერმანსი | 03.05.83 |
| 22 | ხავიერ პორტილიო | 30.03.82 |
| 30 | ვიქტორ სიმოეში | 23.03.81 |
| | მწვრთნელი: იან კულემანსი | |

### რაპიდი (ავსტრია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | რაიმონდ ჰედლი | 31.08.74 |
| 24 | ჰელგე პეიერი | 09.08.79 |
| | **მცველები** | |
| 2 | მარსინ ადამსკი | 20.08.75 |
| 3 | ვლადიმირ ლაბანტი | 08.06.74 |
| 4 | მარტინ ჰიდენი | 11.03.73 |
| 12 | დიური ბარიჩი | 08.03.84 |
| 13 | მარკუს კატცერი | 11.12.79 |
| 14 | ტომას ბურგშტალერი | 09.01.80 |
| 18 | მარკუს ჰიდენი | 04.02.78 |
| 23 | ანდრეას დობერი | 31.03.86 |
| 26 | იოზეფ ვალახოვიჩი | 12.07.75 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | დიორგი კორსოში | 22.08.76 |
| 7 | პეტერ ჰლინკა | 05.12.78 |
| 8 | ანდრეას ივანშიტცი | 15.10.83 |
| 11 | შტეფან ჰოფმანი | 09.09.80 |
| 15 | სტეფან კულოვიტსი | 19.04.83 |
| 16 | სებასტიან მარტინესი | 04.12.77 |
| 17 | ველი კავლაკი | 03.11.88 |
| 19 | მატიას დოლინგერი | 12.09.79 |
| 22 | რადეკ ბეიბლი | 29.08.72 |
| 27 | ჰელმუტ პრენერი | 17.02.79 |
| 28 | სემილ ტოსუნი | 06.02.87 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | აქსელ ლოური | 09.10.73 |
| 10 | მუჰამეთ აქაგიუნდუზი | 11.01.78 |
| 20 | რომან კიენასტი | 29.03.84 |
| 25 | მარეკ კინჩლი | 03.04.73 |
| | მწვრთნელი: ვერნერ კუნი | |

## B ჯგუფი

### არსენალი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | იენს ლემანი | 10.11.69 |
| 24 | მანუელ ალმუნია | 19.05.77 |
| 33 | მარკ ჰოვარდი | 21.09.86 |
| | **მცველები** | |
| 3 | ეშლი კოული | 20.11.80 |
| 12 | ბისან ლორენი | 19.01.77 |
| 18 | პასკალ სიგანი | 29.04.74 |
| 20 | ფილიპ სენდეროსი | 14.02.85 |
| 22 | გაელ კლიჩი | 26.07.85 |
| 23 | სოლ კემპბელი | 18.09.74 |
| 27 | ემანუელ ებუ | 04.06.83 |
| 28 | კოლო ტურე | 19.03.81 |
| 31 | ჯასტინ ჰოიტი | 20.11.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | რობერ პირესი | 29.10.73 |
| 8 | ფრედერიკ ლიუნგბერგი | 16.04.77 |
| 11 | რობინ ვან პერსი | 02.02.77 |
| 13 | ალექსანდრ გლები | 01.05.85 |
| 15 | ფრანსისკ ფაბრეგასი | 04.05.87 |
| 16 | მეთიუ ფლამინი | 07.03.84 |
| 19 | ჟილბერტო სილვა | 07.10.76 |
| 34 | პატრიკ კრეგი | 21.02.86 |
| 39 | სებასტიან ლარსონი | 06.06.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ხოსე ანტონიო რეიესი | 01.09.83 |
| 10 | დენის ბერხკამპი | 10.05.69 |
| 11 | რობინ ვან პერსი | 06.08.83 |
| 14 | ტიერი ანრი | 17.08.77 |
| 42 | კინსი ოუსო-აბეი | 15.04.86 |
| | მწვრთნელი: არსენ ვენგერი | |

### აიაქსი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | მაარტენ სტეკელენბურგი | 22.09.82 |
| 12 | ჰანს ვონკი | 30.01.70 |
| 26 | ბოგან ლობონტი | 18.01.78 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჰათემ ტრაბელსი | 25.01.77 |
| 3 | ზდენეკ გრიგერა | 14.05.80 |
| 4 | ჯონ ჰეიტინგა | 15.11.83 |
| 5 | ჟულიან ესკუდე | 17.08.79 |
| 15 | ტომას ვერმაელენი | 14.11.85 |
| 19 | ურბი ემანუელსონი | 16.06.86 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ტომაშ გალაშეკი | 15.01.73 |
| 8 | ედვიჯეს მადურო | 13.02.85 |
| 10 | სტივენ პიენაარი | 17.03.82 |
| 14 | მაქსველი | 27.08.81 |
| 16 | ნაიჯელ დე იონგი | 30.11.84 |
| 18 | ვესლი სნეიდერი | 09.06.84 |
| 21 | ოლაფ ლინდენბერგი | 06.02.74 |
| 22 | ხუანფრანი | 15.07.76 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | მაურო როსალესი | 24.02.81 |
| 9 | ანგელოს ხარისტეასი | 09.02.80 |
| 11 | რაიან ბაბელი | 19.12.86 |
| 17 | იოანის ანასტასიუ | 05.03.73 |
| 20 | დანიელ დე რიდერი | 06.03.84 |
| 24 | მარკუს როსენბერგი | 27.09.82 |
| 25 | ანტონი ობოდაი | 06.08.82 |
| 27 | ედგარ მანუჩარიანი | 19.01.87 |
| 28 | ნურდინ ბუკჰარი | 30.06.80 |
| 29 | ნიკოლაე მიტეა | 24.03.85 |
| | მწვრთნელი:დანი ბლინდი | |

### სპარტა (ჩეხეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 29 | იაროსლავ ბლაჟეკი | 29.12.72 |
| 30 | დავიდ ბიჩიკი | 03.06.81 |
| 31 | ტომაშ გრიგარი | 01.02.83 |
| | **მცველები** | |
| 4 | პაველ პერგლი | 14.11.72 |
| 11 | ადამ პეტრუში | 19.09.77 |
| 14 | ლუბოშ ლოუჩკა | 25.08.82 |
| 15 | პეტრ ლუკაში | 24.04.78 |
| 19 | მარტინ პეტრაში | 02.11.79 |
| 20 | ზდენეკ პოსპეჩი | 14.12.78 |
| 22 | სტეფან კუჩერა | 06.06.85 |
| 23 | მიხალ კადლეცი | 13.12.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 2 | მარტინ ჰაშეკი | 11.10.69 |
| 3 | ლადისლავ ვოლეშაკი | 07.04.84 |
| 6 | ტომაშ სივოკი | 15.09.83 |
| 7 | ლუკაშ ჟელენკა | 05.10.79 |
| 8 | კარელ პობორჟსკი | 30.03.72 |
| 13 | ონდერეი სედლაჩეკი | 27.05.86 |
| 16 | იან შიმაკი | 13.10.78 |
| 18 | კაროლ კისელი | 15.03.77 |
| 21 | ტომაშ პოლაჩეკი | 29.08.80 |
| 24 | ზდენეკ ვოლეკი | 12.04.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 5 | ონდრეი ჰონკა | 20.04.86 |
| 9 | ლიბორ დოშეკი | 24.04.78 |
| 10 | მიროსლავ შლეპიჩკა | 10.11.81 |
| 12 | ანჯეი ჰეჯმანი | 03.03.81 |
| 17 | ოდრეი ბირო | 28.01.86 |
| 28 | მიროსლავ მატუშოვიჩი | 02.11.80 |
| | მწვრთნელი: ფრანტიშე სტრაკა | |

### თუნი (შვეიცარია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ელდინ იაკუპოვიჩი | 02.10.84 |
| 18 | ალენ პორტმანი | 14.02.81 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჟოზე გონკალვეში | 17.09.85 |
| 3 | ლეანდრო ვიეირა | 03.04.79 |
| 4 | სეჰიდ სინანი | 23.10.82 |
| 5 | ლიუბო მილიჩევიჩი | 13.02.81 |
| 7 | გრეგორი დურუზი | 15.04.77 |
| 10 | ადრიანო ლუიშ სპადატო | 19.02.77 |
| 12 | არმან დეუმი ჩამი | 12.03.79 |
| 23 | ლუკას შენკელი | 01.04.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ტიაგუ ბერნარდი | 02.12.79 |
| 9 | ადრიანო | 14.11.82 |
| 11 | ანდრეს გერბერი | 26.04.73 |
| 14 | ნენად სავიჩი | 28.01.81 |
| 19 | სილვან აეგერტერი | 05.05.80 |
| 21 | ნელსონ ფერეირა | 26.05.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 8 | ჟელსონ როდრიგესი | 03.01.82 |
| 13 | პაპე ომარ ფეიე | 01.01.87 |
| 15 | ერენ სენი | 28.09.84 |
| 17 | ადრიან მოზერი | 31.03.84 |
| 20 | მაურო ლუსტრინელი | 26.02.76 |
| | მწვრთნელი: ურს შიონენბერგერი | |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ვერდერი — ბარსელონა
### უდინეზე — პანათინაიკოსი

# ბრემენის ოქროს ბუცები

**კატალონიურ** „ბარსელონას" საამსეზონო ლიგის პირველ მატჩში „ვერდერთან" ლეო მესი დაეხმარება — „კამპ ნოუს" ახალგაზრდა ვარსკვლავს პასპორტის პრობლემა ჯერაც ვერ მოუგვარებია (ესპანეთის ჩემპიონატში ბურთაობა აკრძალული აქვს), თუმცა გუშინ უეფამ მესის ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება მისცა. სავარაუდოდ, დღეს ფრანკ რაიკაარდი ლეოს მეორე ტაიმში, შეცვლაზე შეიყვანს. „ბარსა" თავის პრიმერადივიზიონში ამჟამად მეხუთე ადგილზეა, რაიკაარდის ბიჭებმა „ალავესთან" ერთი, ხოლო „მალიორკასთან" სამი ქულა მოიპოვეს. „ვესერშტადიონზე" რაიკაარდი ალბათ 5 მცველს დააყენებს — სხვანაირად „მუსიკოსების" ძლიერ მოიერიშეებს მეტოქის კარის იოლად დალაშქვრის შანსი მიეცემათ. შავის კლუბი ბუნდესლიგის ცხრილში დღეს „ბაიერნის" მერე მეორეა და ჩინებულადაც ბურთაობს — კვირას „ვერდერმა" „ლაუტერნს" მისსავე არენაზე გამანადგურებელი ანგარიშით, 5:1 მოუგო.

დღეს მასპინძლებს თავდასხმაში სანქცირებული მიროსლავ კლოზე არ ეყოლებათ, მის მაგივრად „ვესერშტადიონზე" პარაგვაელ ვალდესს ვიხილავთ. სხვათა შორის, სამხრეთამერიკელმა მატჩის წინ განაცხადა — „ბარსელონასთან" საომრად სწორედ იმ „ოქროს" ბუცებით გამოვალ, შარშანდელ ლიგაზე „ვალენსიას" გოლები რომ გავუტანეო.

**C** ჯგუფის მეორე ჯახი იტალიაში, გათამაშების დებიუტანტ „უდინეზესა" და ბერძნულ „პანათინაიკოსს" შორის გაიმართება. უდინელები იტალიის ჩემპიონატში ორი მოგებული მატჩით ახლა მესამეზე არიან, ხოლო ელინები „იონიკოსთან" ულიმღამო მატჩის (1:1) მერე ცხრილში ბოლოსწინანი გახლავან. დაშავებულ-სანქცირებულები არც ერთ მეტოქეს არ ჰყავს.

**ლადო ხომერიკი**

## D ჯგუფი

### ვილიარეალი — მანჩესტერი
### ბენფიკა — ლილი

# ფორლანი შინაურებს ხვდება

**ჩემპიონთა ლიგის** პირველ თამაშზე „ვილიარეალში" „მანჩესტერი" კრისტიანო რონალდოს გარეშე ჩავიდა. ფეხბურთელს მამა გარდაეცვალა და მანამდე დარჩება ლისაბონში, სანამ თვითონ ჩათვლის საჭიროდ. სერ ალექს ფერგიუსონმა ფეხბურთელს დედასთან ყოფნის სურვილი მოუწონა და გაამხნევა.

„ვილიარეალი" კი იმედოვნებს, რომ კოჭნატკენი ხუან რომან რიკელმე მწყობრში იქნება. სამაგიეროდ მასპინძლებს არ ეყოლებათ ორი მატჩით დასჯილი ხოსე მარია რომერო პოიონი (ხოსე მარი).

ეს ორი გუნდი აქამდე არასოდეს შეხვედრია ერთმანეთს. „ვილიარეალი" სამჯერ გადაჰყრია ინგლისურ გუნდებს და სამჯერვე დაუმარცხებია ისინი. წლეულსაც, „ევერტონი" გამოთიშა ჩემპიონთა ლიგიდან. „მანჩესტერი" 31 ჯერ შეხვედრია ესპანურ გუნდებს: 9 მოუგია, 11 წაუგია, დანარჩენი ფრედ დაუსრულებია. „წითელ ეშმაკებს" არ მოუგია ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთი გასვლითი შეხვედრა, ხოლო ბოლო სამში გოლიც არ გაუტანია, „ვილიარეალში" ამჟამად ძველი მანჩესტერელი, დიეგო ფორლანი თამაშობს, რომელიც ტკბილად იგონებს თავის გუნდს და დიდ ბრძოლასაც პირდება.

ჯგუფის მეორე წყვილში კი „ბენფიკა" 6 წლის შემდეგ უბრუნდება ჩემპიონთა ლიგას, რომელშიაც, როგორც ლიგაში სულ ორჯერ გამოსულა. „ეშტადიო და ლუჟზე" მისი მეტოქეა, ფრანგული ლილი, რომელიც შარშან მეორე ადგილზე გავიდა თავის ჩემპიონატში. გუნდები აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. ლილის სტადიონი კი უეფამ საერთოდაც უვარგისად ცნო თავისი შეჯიბრისთვის და კლუბი საშინაო თამაშებს პარიზში, „სტად დე ფრანსზე" ატარებს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## C ჯგუფი

### ბარსელონა (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ვიქტორ ვალდესი | 14.01.82 |
| 25 | ალბერტ ხორკერა | 03.03.79 |
| 28 | რუბენი | 22.06.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჟულიანო ბელეტი | 20.06.76 |
| 4 | რაფაელ მარკესი | 13.02.79 |
| 5 | კარლეს პუიოლი | 13.04.78 |
| 12 | ვან ბრონკჰორსტი | 05.02.75 |
| 15 | ედმილსონი | 10.07.76 |
| 23 | ოლეგერი | 02.02.80 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | ტიაგო მოტა | 28.08.82 |
| 6 | ხავი | 25.01.80 |
| 10 | რონალდინიო | 21.03.80 |
| 17 | მარკ ვან ბომელი | 22.04.77 |
| 18 | გაბრი | 10.02.79 |
| 20 | დეკო | 27.08.77 |
| 24 | ანდრეს ინიესტა | 11.05.84 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ჰენრიკ ლარსონი | 20.09.71 |
| 8 | ლუდოვიკ ჟიული | 10.07.76 |
| 9 | სამუელ ეტოო | 10.03.81 |
| 11 | მაქსი ლოპესი | 03.04.84 |
| 14 | სანტიაგო ესკერო | 14.12.76 |
| 30 | ლიონელ მესი | 24.06.87 |

მწვრთნელი: ფრან რაიკაარდი

### პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | მარიო გალინოვიჩი | 15.11.76 |
| 12 | პიერ ეგედე | 15.06.76 |
| 17 | მიხაელ შიმიტრასი | 05.09.74 |
| | **მცველები** | |
| 4 | ილია კოციოსი | 25.04.77 |
| 5 | ნასეფ მორისი | 16.04.81 |
| 6 | ფლავიო კონსეისაო | 12.06.74 |
| 8 | იოანის გუმასი | 24.05.75 |
| 19 | ანტონი სერიჩი | 15.01.79 |
| 24 | ლუკას ვინტრა | 05.02.81 |
| 25 | იგორ ბიშჩანი | 04.05.78 |
| 31 | ფილიპოს დარლასი | 23.10.83 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 10 | ესეკილ გონსალესი | 10.07.80 |
| 14 | ნორდინ ვუტერი | 24.08.76 |
| 15 | სტრიან ანდრიჩი | 05.01.80 |
| 21 | კონსტანტინოს ხარალამბიდესი | 25.07.81 |
| 22 | ალექსანდროს ციოლისი | 13.02.85 |
| 27 | სოტირიოს ლეონტიუ | 17.07.84 |
| 28 | გეიორგიეოს თეოდოროდისი | 03.07.80 |
| 29 | მიკაელ ნილსონი | 24.06.78 |
| 45 | ვლადიმირ გაჯევი | 18.07.87 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | თეოფანის გეკასი | 23.05.80 |
| 9 | ემანუელ ოლისადებე | 22.12.78 |
| 11 | დიმიტრიოს პაპადოპულოსი | 20.09.81 |
| 26 | ევაგელოს მანციოსი | 22.04.83 |
| 40 | შანდორ ტორგელე | 05.05.82 |

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

### ვერდერი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ანდრეას რაინკე | 10.01.69 |
| 18 | ტიმ ვიზე | 17.12.81 |
| 30 | კასპერ იენსენი | 07.10.82 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფრანკ ფარენჰორსტი | 24.09.77 |
| 3 | პეტრი პასანენი | 24.09.80 |
| 4 | ნალდო | 09.10.82 |
| 5 | უმით დალალა | 30.07.73 |
| 15 | პატრიკ ოვემაიოლა | 05.11.79 |
| 16 | ლეონ ანდრეასენი | 23.04.83 |
| 23 | იელე ვან დამი | 10.10.83 |
| 25 | ფრანსის ბანეკი | 17.07.85 |
| 27 | კრისტიან შულცი | 01.04.83 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ფრანკ ბაუმანი | 29.10.75 |
| 7 | იურიცა ვრანიეში | 31.01.80 |
| 10 | იოჰან მიკუ | 24.07.73 |
| 19 | პეკა ლაგერბრომი | 19.10.82 |
| 20 | დანიელ ინსენი | 25.06.79 |
| 22 | ტორსტენ ფრინგსი | 22.11.76 |
| 24 | ტიმ ბოროვსკი | 02.05.80 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ნელსონ ვალდესი | 28.11.83 |
| 11 | მიროსლავ კლოზე | 09.06.78 |
| 14 | აარონ ჰანტი | 04.09.86 |
| 17 | ივან კლასნიჩი | 29.01.80 |
| 21 | მოჰამედ ზიდანი | 11.12.81 |
| 35 | მარკო შტიერი | 26.03.84 |

მწვრთნელი: თომას შააფი

### უდინეზე (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | მორგან დე სანქტისი | 26.03.77 |
| 12 | გაბრიელე პაოლეტი | 11.01.78 |
| 58 | კარლო სკარონე | 17.11.83 |
| | **მცველები** | |
| 3 | მიკელე რინალდი | 09.01.87 |
| 4 | ვალერიო ბერტოტო | 15.01.73 |
| 14 | ჩეზარე ნატალი | 05.04.79 |
| 19 | ფელიპე დასილვა | 31.07.84 |
| 22 | მასიმო გოტი | 27.05.86 |
| 27 | მარკო მოტა | 14.05.86 |
| 32 | ვინსენ კანდელა | 24.10.73 |
| 33 | ფლავიო ლაცარი | 05.09.86 |
| 39 | ჟუარესი | 25.09.73 |
| 59 | გუსტავო | 09.03.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | კრისტიან ობოდო | 11.05.84 |
| 6 | ნესტორ სენსინი | 12.10.66 |
| 7 | დამიანო ძენონი | 23.04.77 |
| 8 | ხოსე ლუის ვიდიგალი | 15.03.73 |
| 13 | ჯან პიერო პინი | 11.03.81 |
| 18 | სულეი მუნტალი | 27.08.84 |
| 21 | მიკელე პასიენსა | 05.08.82 |
| 23 | სტეფანო მაური | 08.01.80 |
| 25 | პიერმარიო მორისინი | 05.07.86 |
| 26 | მირკო პიერი | 24.07.78 |
| ? | ტოლედო მაჩადო | 18.07.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ვინცენცო იაკინტა | 21.11.79 |
| 10 | ანტონიო დი ნატალე | 13.10.77 |
| 11 | ალ საადი კადაფი | 25.07.73 |
| 17 | დავიდ დი მიკელე | 06.01.76 |
| 20 | ფაუსტო როსი | 02.03.78 |
| 31 | პაულო ბარეტო | 12.07.85 |
| 46 | დინო ფავა | 16.03.77 |

მწვრთნელი: სერსე კოსმი

## D ჯგუფი

### მანჩესტერი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ტიმ ჰოვარდი | 06.03.79 |
| 19 | ედვინ ვან დერ სარი | 29.10.70 |
| | **მცველები** | |
| 2 | გარი ნევილი | 18.02.75 |
| 4 | გაბრიელ ჰაინცე | 19.04.78 |
| 5 | რიო ფერდინანდი | 07.11.78 |
| 6 | ვეს ბრაუნი | 13.10.79 |
| 22 | ჯონ ოში | 30.04.81 |
| 26 | ფილიპ ბერდსლი | 28.06.85 |
| 27 | მიკაელ სილვესტრი | 09.08.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | კრისტიანო რონალდო | 05.02.85 |
| 11 | რაიან გიგზი | 29.11.73 |
| 13 | ჯი სუნ პარკი | 25.02.81 |
| 16 | როი კინი | 10.08.74 |
| 17 | ლაიამ მილერი | 13.02.81 |
| 18 | პოლ სქოუზი | 16.11.74 |
| 23 | კირენ რიჩარდსონი | 21.10.84 |
| 24 | დარენ ფლეტჩერი | 01.02.84 |
| 25 | კვინტონ ფორჩუნი | 21.05.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 8 | უეინ რუნი | 24.10.85 |
| 9 | ლუის საა | 08.08.78 |
| 10 | რუუდ ვან ნისტელროი | 01.07.76 |
| 12 | დევიდ ბელიონი | 27.11.82 |
| 14 | ალან სმიტი | 28.10.80 |

მწვრთნელი: სერ ალექს ფერგიუსონი

### ვილიარეალი (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ლოპეს ვალეხო | 22.09.75 |
| 25 | მარიო ბარბოსა | 27.07.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | გონსალო როდრიგესი | 10.04.84 |
| 3 | როდოლფო არუაბარენა | 20.07.75 |
| 15 | იან კრომკამპი | 17.08.80 |
| 16 | კიკე ალვარესი | 20.07.75 |
| 17 | ხავი ვენტა | 13.12.75 |
| 22 | მანუელ პენია | 17.01.73 |
| 26 | სეზარ არსო | 21.01.86 |
| 33 | კარლოს ალკანტარა | 01.02.85 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ხოსიკო | 06.01.75 |
| 8 | რიკელმე | 24.06.78 |
| 10 | როჯერი | 15.12.76 |
| 11 | ხავიერ კალეხა | 12.05.78 |
| 12 | ხუან პაბლო სორინი | 05.05.76 |
| 14 | ექტორ ფონტი | 15.06.84 |
| 18 | ალესიო ტაკინაარდი | 23.07.75 |
| 19 | მარკოს სენა | 17.07.76 |
| 20 | ანტონიო ვალენსია | 04.08.85 |
| 21 | სანტიაგო კასორლა | 13.12.84 |
| 44 | მარკოს ბარენო | 21.03.87 |
| 46 | დავიდ ფუსტერი | 03.02.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 5 | დიეგო ფორლანი | 19.05.79 |
| 7 | ანტონიო გიარე | 10.03.80 |
| 9 | ლუჩო | 19.05.81 |
| 23 | ხოსე მარი | 10.12.78 |
| 29 | ხონათან პერეირა | 12.05.87 |

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

### ლილი (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ტონი სილვა | 17.05.75 |
| 16 | გრეგორი მალიჩკი | 23.11.73 |
| 30 | ლორან პიშონი | 08.03.81 |
| | **მცველები** | |
| 3 | ალექსის ჟივიეცკი | 10.04.84 |
| 4 | სტატის ტავლარიდისი | 25.01.80 |
| 5 | რაფაელ შმიტცი | 17.12.80 |
| 6 | დანტე | 18.10.83 |
| 20 | გრეგორი ტაფორო | 29.09.76 |
| 22 | მილოვიე ვიტაკიჩი | 16.05.77 |
| 25 | ნიკოლა პლესტანი | 02.06.81 |
| 26 | სტეფან ლიხტშტაინერი | 16.01.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 2 | მატიო დებუში | 28.07.85 |
| 7 | იოჰან კაბეი | 14.01.86 |
| 8 | ჯეფრი დერნისი | 24.12.80 |
| 10 | დანიელ გიგაქსი | 28.08.81 |
| 12 | მატიო ბოდმერი | 22.11.82 |
| 15 | მილენკო აჩიმოვიჩი | 15.02.77 |
| 17 | ჟან მაკუნი | 29.05.83 |
| 18 | კევინ ბარალონი | 24.06.82 |
| 21 | მატიო შალმე | 07.10.80 |
| 29 | სტეფან დუმონი | 06.09.82 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | მატ მუსილუ | 01.06.82 |
| 11 | ჰიშამ აბუშერუანი | 02.04.81 |
| 14 | პეტერ ოდემვინგი | 15.07.81 |
| 23 | კადერ კეიტა | 06.08.81 |
| 27 | კევინ მირალასი | 05.10.87 |

მწვრთნელი: კლოდ პუელი

### ბენფიკა (პორტუგალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჟოზე მორეირა | 20.03.82 |
| 12 | კუიმი | 13.11.75 |
| 24 | ბრუნო კოშტა | 28.08.86 |
| | **მცველები** | |
| 3 | ანდერსონ კლებერი | 27.04.80 |
| 4 | ლუიზაო | 13.02.81 |
| 5 | ლეო ბასტოში | 06.07.75 |
| 13 | ალსიდესი | 13.03.85 |
| 18 | მანუელ დუშსანტუში | 28.03.75 |
| 22 | ნელსონი | 10.06.83 |
| 27 | ჟოაო პერეირა | 25.02.84 |
| 33 | რიკარდო როჩა | 03.10.78 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | არმანდო პეტიტი | 25.09.76 |
| 7 | კარლიტოსი | 06.09.82 |
| 8 | ბრუნო აგიარი | 24.02.81 |
| 10 | გეორგიოს კარაგუნისი | 06.03.77 |
| 11 | ჯოვანი | 11.01.80 |
| 14 | მანუელ ფერნანდესი | 05.02.86 |
| 15 | ნუნუ ასისი | 25.11.77 |
| 16 | ბეტუ | 20.11.76 |
| 17 | ანდრეი კარიაკი | 01.04.78 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | პედრო მანტორაში | 18.03.82 |
| 20 | სიმაო საბროსა | 31.10.79 |
| 21 | ნუნუ გომეში | 05.07.76 |
| 30 | ფაბრიციო მიკოლი | 27.06.79 |

მწვრთნელი: რონალდ კუმანი



დიკ ადვოკაატი

# ფელიპე მილანისთვის მზადაა

„უდინეზეს“ მცველმა დიას ფელიპემ განაცხადა, რომ სურს, მილანს იანვარში შეუერთდეს.

„როსონერი“ 21 წლის სტოპერს კარგა ხანია, აკვირდება, სავარაუდოდ, კვირას „რომასთან“ მოგებულ (1:0) მატჩში მას „მილანის“ გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა ადევნებდა თვალყურს.

„თუ შეთავაზება მივიღე, იანვარში უკვე იქ ვიქნები“ — განაცხადა ძვირადღირებულმა სამხრეთამერიკელმა — თუ არჩევანი საშუალება მომეცემა „მილანს“ ავირჩევ. მისი თამაშის სტილი საუკეთესოა. ეს არის გუნდი, რომელიც თამაშიდან თამაშამდე დაუღალავად შრომობს და ვითარდება. მათ თითქოს ფეხზე აქვთ ბურთის მიწებებული. ეს გუნდი ბრაზილიის ნაკრებს მაგონებს“.

გასული სეზონი ფილიპესთვის ფანტასტიკური აღმოჩნდა. სწორედ მაშინ იქცა ის ლუჩიანო სპალეტის გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრად.

„უდინეზე“ იმ გუნდთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც მზარდ ვარსკვლავებს ვერ ინარჩუნებენ. ალბათ ფელიპესაც შეელევიან, ოღონდ, რა თქმა უნდა, შესაბამისი კომპენსაციის ფასად.

ფელიპეს „ფრიულის“ ბინადრებთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მისი ყიდვის მსურველმა 7 მილიონი უნდა გაიღოს.

ის ფაქტი, რომ წლეულს მან უკვე ითამაშა უდინელთა შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში, გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ტრანსფერი 2006 წლის ივნისამდე არ შედგება.

აი, „უდინეზეს“ თავკაცს სერსე კოსმის კი ეს იდეა სულაც არ ხიბლავს.

მან სასწრაფო განცხადება გააკეთა, რომ ფელიპე ჯერ გამოუცდელია ასეთ გუნდში სათამაშოდ. თუმც არც ის გამორიცხა, რომ შეიძლება ერთ-ორ წელიწადში მომწიფდეს საამისოდ: „ფელიპე უდავოდ დიდი ფეხბურთელია და მიუდანზეც სხვაზე უკეთესია. ერთ მშვენიერ დღეს ის დიდ კლუბში ითამაშებს, მაგრამ ჯერ ადრეა“.

ძნელი დასაჯერებელია, რომ კოსმიმ ამ ტრანსფერს ხელი შეუშალოს. მისი განცხადებები ან ხავსმოჭიდებულობის ილუზიაა ან უბრალოდ პროტოკოლით გათვალისწინებული ტირადა.

**ზურაბ გოცირიძე**



ფელიპე „მილანის“ სამიზნეა

# კორეა ჰოლანდიას გადაეკიდა

**სამხრეთ კორეის** ფეხბურთის ფედერაციას თვეზე ნაკლები დრო დასჭირდათ, ახალი მწვრთნელის საპოვნელად. ამიერიდან აზიელებს კიდევ ერთი ჰოლანდიელი, დიკ ადვოკაატი გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის თვისტომმა და წინამორბედმა ჯო ბონფრერემ პოსტი აგვისტოში მას შემდეგ დატოვა, რაც ადგილობრივმა მედიამ გააკრიტიკა.

როგორც იცით, ბონფრერემდე სამხრეთ კორეას ასევე ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი წვრთნიდა. დიკ ადვოკაატს კი ზედმეტი წარდგენა ალბათ არ სჭირდება. ამ გამოცდილი სპეციალისტის ავანჩავანი თავადაც მოგეხსენებათ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ბოლოს იგი გერმანულ „გლადბახს“ ედგა სათავეში, მაგრამ არცთუ დიდი წარმატებით.

„ახალი მწვრთნელი საქმიანობას 1 ოქტომბრიდან შეუდგება. კონტრაქტი 2006 წლის მუნდიალის დასრულებამდე გავაფორმეთ. თუ ორივე მხარის სურვილი იქნება, შეთანხმებას გავახანგრძლივებთ. სერიოზული სპეციალისტი გვჭირდებოდა და ადვოკაატი სწორედ ასეთია. მის ხელში ნაკრებს წარმატების მიღწევა შეუძლია“ — თქვა სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა დირექტორმა იუ იუნგ-ჩუელმა.

**კოკი კანდელაკი**

# ჰარვუდის ამბავი



მარლონ ჰარვუდმა (წინ) კრიტიკოსები გააჩუმა

**„ვესტ ჰემის“** კრიტიკის ქარცეცხლში მოყოლილმა თავდამსხმელმა, მარლონ ჰარვუდმა ორშაბათ ღამით წლევანდელი პრემიერლიგის პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა, მისმა გუნდმა კი 4:0 მოუგო „ასტონ ვილას“.

ლონდონელთა მწვრთნელმა ალან პერდიუმ ამ ამბავს საუცხოო გამარჯვება უწოდა, თამაშნაკლული „ვესტ ჰემი“ კი მეშვიდე ადგილზე აცოცდა.

ორი გოლი ჰარვუდმა პირველი ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში გაიტანა, მესამეც მეორე ტაიმის დასაწყისში. მეოთხე ბურთი კი თამაშის ბოლო წუთს იოსი ბენაიუნის საუცხოო გარღვევას მოჰყვა.

„ასტონ ვილას“ არათუ დაცვა, საერთოდ თამაში არ უვარგოდა.

ჰარვუდი კი იმიტომ იყო მოყოლილი კრიტიკის ქარცეცხლში, რომ „ვესტ ჰემის“ ქომაგებს მაღალი კლასის მეგოლედ არ მიაჩნიათ და რახან ზაფხულში კლუბმა ვინმე სახელოვანი არ იყიდა, ეს საბრალო ჰარვუდი ამოიძულეს. თითქოს მისი ბრალი იყო, რომ მილან ბაროშმა „ვესტ ჰემს“ „ვილა“ არჩია.

ჰარვუდი ამას ყურადღებას არ აქცევდა. სწორად უთქვამს: „თავდამსხმელი უნდა ელოდოს“.

წინა ხაზზე მისი მეწყვილე ორმოცს მიტანებული ტედი შერინგემია, რომელმაც თქვა ჰარვუდი კარგი მეგოლე იქნებაო.

მისი ჰეთ თრიქის გამო „ვესტ ჰემმა“ სამხრეთაფრიკელ ბენი მაკარტისთან მოლაპარაკებაც გადაიფიქრა, მეგოლე აღარ გვყოლიაო.

მთელი „აპტონ პარკი“ კი მათი გუნდის უარმყოფელ მილან ბაროშს უმღეროდა: „რა ანგარიშია?“

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. V ტური

**ვესტ ჰემი 4:0 ასტონ ვილა**

1:0, 2:0, 3:0 ჰარვუდი (25, 29, 50), 4:0 ბენაიუნი (89)

**ვესტ ჰემი:** კეროლი, რეპკა, გაბიდონი, ფერდინანდი, კონჩესკი, მულინსი (დეილი 90), ბენაიუნი, რეო-კოკერი, ეტერინგტონი (ნიუტონი 70), შერინგემი, ჰარვუდი (ზამორა 76)

**მწვრთნელი:** ალან პედრიუ

**ასტონ ვილა:** სორენსენი, მელბერგი, ჰიუზი, რიჯველი, გუმა, მილმერი, დევისი, მაკკანი (ჰენდრი 81), ბერი (ბერგერი 62), ბაროში, ფილიპსი (ანხელი 57)

**მწვრთნელი:** დევიდ ოლირი

**გაფრთხილება:** ბერი

**მსაჯი:** სტაილსი

29 582 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:0 | 15 |
| ჩარლტონი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| სიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბოლტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| მიდლსბრო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| უიგანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ბლექბერნი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ფულემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| ასტონ ვილა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| პორტსმუთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ევერტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:4 | 3 |
| ნიუკასლი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |
| სანდერლენდი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:9 | 0 |

## იტალია

### სერია B. III ტური

**ტერნანა 2:2 პესკარა**

1:0 ფრიკი (24), 1:1 კარი (27), 2:1 ხიმენესი (45), 2:2 კროკე (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| კროტონე | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| მანტოვა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| რიმინი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ვერონა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მოდენა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| არეცო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| კატანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ტრიესტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ტერნანა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ვიჩენცა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ბრეშა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| ბარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ტორინო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კრემონეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პიაჩენცა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| პესკარა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კატანძარო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| აველინო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ალბინოლეფე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ჩეზენა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა, IV ტური

**ბოხუმი 1:0 ჰანზა**

1:0 მაიხელბეკი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაუნშვაიგი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ალემანია | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| დინამო | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| პადერბორნი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ოფენბახი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:7 | 9 |
| ბოხუმი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| მიუნხენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| კოტბუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ზიგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 6 |
| ფრაიბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ბურგჰაუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| აუე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| კარლსრუე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ფიურტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| უნტერჰახინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ალენი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| ჰანზა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:10 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. III ტური

**პენაფიელი 0:3 ბელენენსეში**

0:1 სილასი (14), 0:2 პედრო (53), 0:3 მეიონგი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ბრაგა | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| რიუ ავე | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ამადორა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ნავალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ფერეირა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| მარიტიმუ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| ლეირია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| პენაფიელი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

## შვედეთი

### ალსვენსკა
### XXI ტური

**იურგორდენი 2:0 მალმიო**

**ელფსბორგი 1:0 გეფლე**

**იორგრიტე 3:2 ჰამარბი**

**სუნდსვალი 0:0 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 21 | 13 | 4 | 4 | 43:22 | 43 |
| გიოტებორგი | 21 | 11 | 7 | 3 | 26:11 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 11 | 3 | 7 | 30:30 | 36 |
| მალმიო | 21 | 10 | 5 | 6 | 29:22 | 35 |
| ჰამარბი | 21 | 9 | 6 | 6 | 36:25 | 33 |
| კალმარი | 21 | 7 | 9 | 5 | 21:19 | 30 |
| ელფსბორგი | 21 | 8 | 6 | 7 | 27:29 | 30 |
| იორგრიტე | 21 | 8 | 4 | 9 | 29:32 | 28 |
| ჰეკენი | 21 | 8 | 2 | 11 | 25:25 | 26 |
| ჰალმსტადი | 21 | 7 | 4 | 10 | 29:29 | 25 |
| გეფლე | 21 | 7 | 4 | 10 | 20:26 | 25 |
| ლანდსკრონა | 21 | 6 | 6 | 9 | 22:34 | 24 |
| სუნდსვალი | 21 | 4 | 6 | 11 | 24:41 | 18 |
| ასირისკა | 21 | 4 | 2 | 15 | 15:31 | 14 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



სერხიო აგერო

# ყმაწვილი რომელმაც არგენტინა გააგიჟა

**მას** სერხიო აგერო ჰქვია, 17 წლისაა და არგენტინულ „ინდეპენდიენტეში" თამაშობს. დღეს ეს სახელი საფეხბურთო მსოფლიოს არაფერს ეუბნება, თუმცა, თუ ყმაწვილი ფორვარდის ოსტატობით გაგიჟებულ პატაგონიურ მედიას ვენდობით, სერხიო „კუნ" აგერო მალე 'სამხრეთამერიკულ და ევროპულ სარბიელზე მეტოქეებს შიშის ზარს დასცემს.

თავად განსაჯეთ, არგენტინული აპერტურას მეექვსე ტურში „ინდეპენდიენტემ" „რასინგი" 4:0 დაამარცხა, გაზეთებმა კი მეორე დღეს პირველ გვერდზე მხოლოდ ერთი გოლის ავტორის, აგეროს ფოტო გამოჭიმეს. ჰეთ თრიქის გამხერხებელი ნიკოლას ფრუტოსი კი რატომღაც „დაავიწყდათ"... კვირას „არსენალის" უგანელმა იბრაჰიმ სეკახიამ არგენტინულ გრანტს „რივერ პლეიტს" გამარჯვების მომტანი გოლი შეუგდო, თუმც „ლა ნასიონის", „კლარინისა" და „ოლეს" მთავარ გმირად მაინც ნორჩი სერხიო იქცა. მედიის ცნობით, იქაური ინჩადა იმდენად არის „კუნის" ბურთაობით მოჯადოებული, რომ მისი სიყვარულით თვით ლეო მესიც კი მიივიწყეს, „მეორე მარადონა" შორს, „ბარსაში" თამაშობს, აგერო კი აქვეა, ყურის ძირში და მისი ფინტებით ფანები ყოველ კვირა-უქმეებზე ხარობენ.

„მიხარია, რომ „კუნის" სასწაულებს ახლა უფრო მეტი ხალხი ხედავს. სერხიომ „რასინგს" დიდებული ბურთი გაუტანა, თუმც 9-10 წლის რომ იყო, მეტოქის კარებს მაშინაც ასე დახვეწილად აწიოკებდა. თან ჯერ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია. ნახავთ, აგერო რასაც იზამს" — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რიკარდო ბოჩინიმ, „ინდეპენდიენტეს" ძველმა ლეგენდამ.

არგენტინაში „კუნს" სწორედ ძველჩაუქ ბოჩინის ადარებენ, თუმც თავის დროზე „ინდეპენდიენტეს" დამრიგებელმა სესარ ლუის მენოტიმ სერხიო „ახალ რომარიოდ" მოიხსენია. აგერო „ბოკა ხუნიორსის" თავკაცობამ ჯერ კიდევ 2003 წელს შენიშნა და „ინდეპენდიენტესაც" ნორჩ მოიერიშეში 70 ათასი დოლარი შესთავაზეს, თუმც აველანედას კლუბმა ეს წინადადება კატეგორიულად უარყო. ერთი წლის წინ კი 16-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში „კუნმა" არნახული ტექნიკით ალემანური „ჰამბურგის" აგენტები მიიზიდა, მაგრამ გერმანულ კლუბსაც არაფერი გამოუვიდა.

აგეროს ერთი, ადგილობრივი რეკორდიც ეკუთვნის — თავისი პირველი მატჩი არგენტინელთა უმაღლეს დივიზიონში 2003 წლის ივლისში ჩაატარა. „სან ლორენსოს" წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭუნა მაშინ ოდენ 15 წლის, ერთი თვის და სამი დღის გახლდათ. არგენტინული ფეხბურთის მდიდარ ისტორიაში ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა. რაც შეეხება მეტსახელ „კუნს", კომიქსების პოპულარული პერსონაჟის სახელი პატარა სერხიოს მაშინ შეარქვეს, ბუენოს-აირესის ღარიბთა უბანში ორმოებიან სტადიონზე ბურთს რომ დასდევდა — ის, საკომიქსო „კუნი" დიდი ნერვების მომშლელი ვილაცა იყო და სერხიოსაც თავისი მეტოქეები ჭკუის დაკარგვამდე მიჰყავდა, ბურთს ვერასდიდებით ვერ ართმევდნენ...

**ლადო ხომერიკი**

# ზიდანი ზიდანის ზევიდან

## მარცხენა მარცხენაა, ოღონდ თავისუფალია

*ამ ბოლო დროს საფრანგეთიდან სულ ისმის კამელ მერიემი, კამელ მერიემმა, კამელ მერიემს... ეს კიდევ რაა, იგი ჯერ კიდევ „სოშოს" ყმაწვილთა სკოლაში გამოდიოდა, როდესაც ახალი ზიდანი შეარქვეს და მას მერე თავადაც უამრავჯერ მოუსმენია, როგორ უწოდებენ ამ ძალიან საამაყო, მაგრამ ჩვენი აზრით გვარიანად მძიმე სახელს. არ გვეთანხმებით? არ არის ზიდანობა მძიმე? მაშინ ეს აგვიხსენით, გეთაყვა, რა სიმძიმემ განაგდო კამელ მერიემი საფრანგეთის ნაკრებიდან, როდესაც ნამდვილმა ზიდანმა განაცხადა ვბრუნდებიო? დღეს კამელ მერიემი 25 წლისა გახლავთ და ასეთი სივი აქვს: ერთი წელიწადი „მარსელში", სამი „ბორდოში" და ახლა „მონაკოში", სადაც იმედოვნებს, რომ დიდიე დეშანი მის ნიჭს მსოფლიოს დასანახად ალაზევებს*



**— საუბარი იმით დავიწყოთ, რომ სეზონის დასაწყისში ბორდოში მეტოქედ დაბრუნება მოგიხდათ. რას იტყოდით, „შაბან-დელმაზე" ახლებურად გამოჩენის შესახებ?**

— ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაში ძალიან უცნაური რამ იყო. თან, მე ხომ ბორდოდან ცოტა ხნის წინ წავედი. მეორე მხრივ, იქაურობასთან ისეთი კარგი მოგონებები მაკავშირებს, რომ ნაცნობ გარემოში დაბრუნება ძალიან მესიამოვნა. რა თქმა უნდა მქონდა პერიოდები როდესაც გუნდში ადგილს ვერ ვპოულობდი ან სხვა პოზიციაზე მათამაშებდნენ და ვწვალობდი, მაგრამ მეტწილად ყველაფერი კარგი იყო. რაც შეეხება მაყურებლის რეაქციას, ეს ჩემთვის გასაგებია. მათ არ ესიამოვნათ სხვაგან რომ წავედი და ამიტომაც მისტვინეს.

**— საფრანგეთში უკვე ორ დიდ კლუბში გაქვთ ნათამაშევი, „მარსელსა" და „ბორდოში". რატომ დარჩით ისევ საფრანგეთში? თუ არ ვცდებით, ესპანური გუნდები გეპატიჟებოდნენ, რომელთა შორის „სევილია" ყველაზე მეტად აქტიურობდა.**

— დიახ, ისევ საფრანგეთში დავრჩი, მაგრამ... „მონაკო" „ბორდოს" შემდეგ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. საერთოდ, ამ ორ კლუბს ბევრი საერთო აქვს, ოღონდ დღესდღეობით უპირატესობა „მონაკოსია". იცით, თუ ამ გუნდში ფეხს მოვიკიდებ, ვიტყვი, რომ კარიერა სწორად მიმყავს, უცხოეთში კი ოდესმე შესაძლოა მართლა წავიდე.

**— პლუს „მონაკო" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ცდილობდა...**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა ფაქტორი გახლდათ.

**— რაც დიდიე დეშანის ხელქვეით მოხვდით, რა ხდება საინტერესო? როგორია დეშანის ხელში ფეხბურთელობა?**

— კარგი. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, რასაც ველოდი ის არის — დეშანი კარგი მწვრთნელია. ის ძალიან სკრუპულოზური ადამიანია და ჩვენც მეტოქის ყველა წვრილმანის შესახებ გვაყენებს საქმის კურსში. ის ფეხბურთელებთან ბევრს ლაპარაკობს, ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად აგვიხსნას, რა უნდა ჩვენგან.

**— პირადად თქვენგან რა უნდა?**

— მან ამიხსნა, რომ ჩემგან თამაშის რიტმის კონტროლს და მოედნის ბოლო მესამედში იმპროვიზაციას, სტანდარტებისგან გადახვევას ითხოვს. იცის, რომ საგოლე პასების გადაწოდება მეხერხება და თავადაც შემიძლია შევაგდო.

**— „ბორდოში" გარემარბობას უჩიოდით, ამბობდით, რომ თქვენი ადგილი ცენტრშია, მაგრამ „მონაკოშიც" რომ ფრთაზე გიხილეთ?**

— დიახ, აქ მარცხნივ მათამაშებენ, ოღონდ შუაში შეჭრა და მარჯვნივ გადასვლაც შემიძლია, არავინ მზღუდავს. იცით რა არის ძირითადი განსხვავება „მონაკოსა" და „ბორდოს" შორის? მოქმედებათა თავისუფლება, თორემ მართალი ბრძანდებით, საწყისი პოზიცია აქაც ფრთაზე მაქვს მაშინ, როდესაც შუიდან მიყვარს თამაშის აწყობა.

**— ნახეთ, ზიდანი ნაკრებში როგორ დაბრუნდა? ოღონდ, თუ არ ვცდებით, ამან მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი შეგიმცირათ.**

— მე, ისევე, როგორც მთელმა საფრანგეთმა, ვნახე ნაკრების თამაში და ძალიან გამიხარდა გუნდის ძველებური სულისკვეთება, რომ შევამჩნიე. დიახ, ზიდანის დაბრუნება საქმეს მირთულებს, მაგრამ ამის მიუხედავად როგორც ქომაგი, ბედნიერი ვარ. რა გაეწყობა, ჯერჯერობით, „მონაკოზე" გადავვერთვები მთელი გულითა და სულით, ხოლო შემდეგ, მომავალში, იქნებ ისევ მომეცეს ეროვნულ გუნდში დაბრუნების საშუალება.

# ლაპორტას ჭკვიანი პუიოლი მიულოცეს

**კარლეს პუიოლი** ესპანელ არბიტრთათვის თითით საჩვენებელი კაცია. 11 სექტემბერს „ბარსელონა-მალიორკას" თამაშის მერე მატჩის მსაჯი გონსალეს ვასკესი „ბარსას" პრეზიდენტ ხუან ლაპორტას მიეახლა და მიულოცა, რომ გუნდში პუიოლისთანა კაპიტანი ჰყავს. საქმე ის გახლავთ, რომ მეორე ტაიმში უხეში ბურთაობის გამო მალიორკელმა ბალესტეროსმა წითელი ბარათი მიიღო და გასახდელისკენ მიმავალმა იმითაც „ისახელა" თავი, რომ მასთან დასაწყნარებლად მისულ პუიოლს სახეში გაულაწუნა. „კამპ ნოუს" კაპიტანი მას არ აჰყვა. მან ბალესტეროსის დასაჯეჯგვად გამოქცეული რონალდინიოც კი დააკავა.

„მინდა გითხრათ, რომ თქვენი კაპიტანი ჭკვიანურად მოიქცა. პუიოლი რომ აყალმაყალში ჩართულიყო, „კამპ ნოუზე" ნამდვილ დომხალს მივიღებდით. „ბარსა" ბედნიერია ასეთი ფეხბურთელი და კაპიტანი რომ ჰყავს" — უთხრა არბიტრმა ვასკესმა კატალონიური გრანდის პრეზიდენტს. ბალესტეროსი კი ზედმეტი გულფიცხობისთვის რა სანქციით დაისჯება, ჯერჯერობით არავინ იცის.

**ლადო ხომერიკი**



ევერტონი

# ევერტონს კვირას მძიმე დღე ჰქონდა

**„სარაგოსას"** ბრაზილიელი ნახევარმცველი ევერტონი ესპანური პრიმერას მეორე ტურის მატჩში ბურთისვის ბრძოლისას ვალენსიელ აიმარს თავით შეასკდა და საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. სამხრეთამერიკელი თამაშის პირველსავე წუთზე დაშავდა, თუმცა მაშინ ტკივილს ყურადღება არ მიაქცია, ბურთაობა განაგრძო და მცირე ხანში გოლიც კი გაიტანა.

„თავიდან ჩვეულებრივად ვიყავი, მაგრამ აიმართან შეჯახებიდან 10-15 წუთის მერე აუტანელმა გრძნობამ შემიპყრო — მარტო თავი კი არა, მთელი სხეული საშინლად ამტკივდა. მახსოვს, მწვრთნელს შეცვლა ვთხოვე, ოღონდ მერე საავადმყოფოში როგორ აღვმოჩნდი, ნამდვილად ვერ გეტყვით" — განუცხადა ევერტონმა ესპანური „მარკას" კორესპონდენტს.

მომჯობინებულ ბრაზილიელს ამჟამად ტკივილები აღარ აწუხებს, თუმც „ვალენსიასთან" განცდილ კოშმარზე დიდი ხალისით არ ლაპარაკობს: „დასამალი არაფერი მაქვს, ძალიან შემეშინდა. მაშინვე ის ფეხბურთელები გამახსენდა, მოედანზე თამაშის დროს უეცრად რომ გარდაიცვალნენ და შოკში ჩავვარდი. ღმერთის შეწევნით, ჩემი შემთხვევა ფატალური არ გახლდათ..."

**ლადო ხომერიკი**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 23 | დერბი-ქოვენტრი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 96 | მაინცი-შტუტგარტი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 17:30 | 97 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 98 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 17:30 | 99 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 100 | ვერდერი-დორტმუნდი | 1.60 | 3.60 | 5.10 | 1.10 | 1.21 | 2.11 |
| 17:30 | 101 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.30 | 4.60 | 8.10 | 1.01 | 1.12 | 2.93 |
| 17:30 | 102 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.40 | 4.10 | 7.30 | 1.04 | 1.17 | 2.62 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 103 | დუისბურგი-ლევერკუზენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 19:30 | 104 | შალკე-ჰერტა | 1.80 | 3.60 | 3.85 | 1.20 | 1.22 | 1.86 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 149 | ინტერი-ლეჩე | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 20:00 | 150 | პარმა-ემპოლი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 143 | კალიარი-მესინა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 144 | ლაციო-ტრევიზო | 1.60 | 3.20 | 6.50 | 1.06 | 1.28 | 2.14 |
| 17:00 | 145 | ფიორენტინა-უდინეზე | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 17:00 | 146 | სიენა-პალერმო | 2.80 | 2.90 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| 22:30 | 147 | ლივორნო-რომა | 2.95 | 3.10 | 2.30 | 1.51 | 1.29 | 1.32 |
| 17:00 | 148 | სამპდორია-მილანი | 4.50 | 3.10 | 1.80 | 1.83 | 1.28 | 1.13 |
| 17:00 | 151 | იუვენტუსი-ასკოლი | 1.15 | 5.80 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.18 |
| 17:00 | 152 | რეჯინა-კიევო | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 153 | პიაჩენცა-კატანია | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 20:30 | 154 | ბრეშა-კრემონეზე | 1.60 | 3.00 | 5.50 | 1.04 | 1.23 | 1.94 |
| 20:30 | 155 | მოდენა-მანტოვა | 1.80 | 2.80 | 5.00 | 1.09 | 1.32 | 1.79 |
| 20:30 | 156 | ალბინოლეფე-რიმინი | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 168 | სალერნიტანა-ტერამო | 1.85 | 2.90 | 3.80 | 1.12 | 1.24 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 179 | კიეტი-პერუჯა | 1.85 | 2.90 | 3.80 | 1.12 | 1.24 | 1.64 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 190 | მალიორკა-ხიმნასტიკი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 195 | ვალენსია-დეპორტივო | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 189 | ოსასუნა-სევილია | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 191 | კადისი-ვილიარეალი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 20:00 | 192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.80 | 3.40 | 4.10 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 19:00 | 193 | სელტა-რასინგი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 21:00 | 194 | ესპანიოლი-რეალი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:00 | 196 | ბილბაო-მალაგა | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 197 | ალავესი-ხეტაფე | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 23:00 | 198 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 210 | ბორდო-ლიონი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |
| 22:00 | 211 | სტრასბური-ლანსი | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 22:00 | 212 | ოსერი-აიაჩო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 213 | ლე მანი-სოშო | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 214 | ნანტი-ტულუზა | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 215 | მარსელი-ტრუა | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 216 | ლილი-ნიცა | 1.85 | 3.10 | 4.10 | 1.15 | 1.27 | 1.76 |
| 22:00 | 217 | ნანსი-მეცი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 218 | მონაკო-რენი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 22:45 | 219 | სტ.ეტიენი-პსჟ | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |
| | | **ბელგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 231 | მუსკრონი-გენტი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 232 | ბრიუსელი-ანდერლეხტი | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:00 | 233 | ლიერსი-შარლერუა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 234 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 2.20 | 3.40 | 2.75 | 1.33 | 1.22 | 1.52 |
| 22:00 | 235 | სერკლი-სტანდარდი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 236 | ბევერენი-ბრიუგე | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 22:00 | 237 | ბეერსხოტი-ლუვიე | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:00 | 238 | რუსელარე-ვესტერლო | 2.35 | 3.40 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 239 | გენკი-ვარეგემი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 579 | გონდომარი-ბარეირენსე | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 19:00 | 580 | მარკუ-შავეში | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 330 | სლავია-ზლინი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 331 | ბანიკი-ლიბერეცი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 22:00 | 332 | სლოვაცკო-სპარტა | 3.60 | 3.10 | 1.90 | 1.66 | 1.24 | 1.17 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 333 | ბლშანი-ბრნო | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 334 | იაბლონეცი-პრჟიბრამი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 335 | ტეპლიცე-პლზენი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 19:00 | 336 | სიგმა-ბოლესლავი | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 19:00 | 337 | იჰლავა-მოსტი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 386 | სტაბეკი-ტონსბერგი | 1.30 | 5.00 | 8.00 | 1.03 | 1.11 | 3.07 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:05 | 407 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 415 | ტამპერე-მარიეჰამნი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 20:00 | 416 | ტურკუ-როვანიემი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 20:00 | 417 | ჰიკ-ინტერი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 515 | სპარტა-აიაქსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 516 | ვერდერი-ბარსელონა | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 22:45 | 517 | რაპიდი-ბაიერნი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 22:45 | 518 | არსენალი-თუნი | 1.15 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.19 |
| 22:45 | 519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 22:45 | 520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 5.00 | 3.30 | 1.70 | 1.98 | 1.26 | 1.12 |
| 22:45 | 521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 22:45 | 522 | ბენფიკა-ლილი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი 15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 523 | შტუტგარტი-ლომჟალე | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 19:00 | 524 | ცსკა-მიდტიულანდი | 1.20 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.24 |
| 18:00 | 525 | კრილია-ალკმაარი | 4.30 | 3.50 | 1.65 | 1.92 | 1.19 | 1.12 |
| 19:00 | 526 | ზენიტი-აეკ | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |
| 22:45 | 527 | პალმსტადი-სპორტინგი | 3.60 | 3.30 | 1.80 | 1.72 | 1.20 | 1.16 |
| 20:00 | 528 | სეტუბალი-სამპდორია | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| 20:00 | 529 | შახტარი-დებრეცენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 20:15 | 530 | ლევერკუზენი-ცსკა(ბულ) | 1.25 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.89 |
| 20:30 | 531 | ტეპლიცე-ესპანიოლი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:30 | 532 | ლიტექსი-გენკი | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| 20:45 | 533 | ვიკინგი-აუსტრია | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 534 | ბრანი-ლოკომოტივი(რუს) | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 21:00 | 535 | რენი-ოსასუნა | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 21:00 | 536 | ბეშიქთაში-მალმიო | 1.35 | 3.70 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.52 |
| 21:00 | 537 | ფეიენოორდი-რაპიდი(ბ) | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 21:30 | 538 | ბაზელი-შიროკი ბრიეგი | 1.20 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.21 |
| 20:30 | 539 | მაკაბი-პარტიზანი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 21:30 | 540 | პაოკ-მეტალურგი(დ) | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 21:30 | 541 | გრასჰოპერი-მიუპა | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 21:30 | 542 | ვოლერენგა-სტიაუა | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 543 | აპოელი-ჰერტა | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 22:00 | 544 | სლავია-კორკი | -1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 22:00 | 545 | ლანსი-გროცლინი | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 22:15 | 546 | ბრიონდბიუ-ციურიხი | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 22:15 | 547 | ცრვენა ზვეზდა-ბრაგა | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 22:30 | 548 | ოსერი-ლევსკი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | [illegible] | 2.54 |
| 22:30 | 549 | ჰამბურგი-კოპენჰაგენი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 23:30 | 550 | გიმარაეში-ვისლა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:30 | 551 | ბეერსხოტი-მარსელი | 3.75 | 3.30 | 1.80 | 1.75 | [illegible] | 1.16 |
| 22:30 | 552 | ტრომსიო-გალათასარაი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:00 | 553 | რომა-არისი | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 22:45 | 554 | ჰიბერნიანი-დნიპრო | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 22:45 | 555 | გრაცერი-სტრასბური | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 22:45 | 556 | დინამო(ბქ)-ევერტონი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 557 | ბანიკი-ჰერენვეენი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 23:00 | 558 | პალერმო-ანორთოსისი | 1.15 | 5.80 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.79 |
| 23:00 | 559 | მიდლსბრო-ქსანთი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 23:00 | 560 | მონაკო-ტილბურგი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 23:10 | 561 | ბოლტონი-ლოკომოტივი(პლ) | 1.25 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 2.86 |
| 23:30 | 562 | სევილია-მაინცი | 1.35 | 4.00 | 7.10 | 1.00 | 1.13 | 2.55 |
| | | **შოტლანდია. თასი 14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 565 | სტირლინგი-მორტონი | 3.20 | 3.60 | 1.85 | 1.69 | 1.17 | 1.22 |
| | | **დანია. თასი 14 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 568 | ლალუმი-სილკებორგი | 9.00 | 4.00 | 1.30 | 2.76 | 1.13 | 1.00 |
| 21:00 | 569 | ნესტველი-ჰერფიოლგე | 3.50 | 3.60 | 1.80 | 1.77 | 1.18 | 1.20 |
| 21:00 | 570 | რანდერსი-ორჰუსი | 3.10 | 3.40 | 2.00 | 1.62 | 1.21 | 1.25 |
| 21:00 | 571 | ფრემი-აკადემისკი | 1.55 | 3.70 | 4.70 | 1.09 | 1.16 | 2.07 |
| 21:00 | 572 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.50 | 3.40 | 2.35 | 1.44 | 1.21 | 1.38 |
| 21:00 | 573 | სონდერიულანდი-ჰორსენსი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10515 | სპარტა-აიაქსი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10516 | ვერდერი-ბარსელონა | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10517 | რაპიდი-ბაიერნი | 5.70 | 2.10 | 2.00 | 1.53 | 1.48 | 1.02 |
| 10518 | არსენალი-თუნი | 1.35 | 2.80 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.18 |
| 10519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 2.30 | 2.00 | 4.60 | 1.06 | 1.53 | 1.39 |
| 10520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 5.00 | 2.00 | 2.20 | 1.42 | 1.52 | 1.04 |
| 10521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10522 | ბენფიკა-ლილი | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | 1.32 |

## გოლი: ლუწი-1 ან კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17515 | სპარტა-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17516 | ვერდერი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17517 | რაპიდი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17518 | არსენალი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17522 | ბენფიკა-ლილი | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16515 | სპარტა-აიაქსი | 1.60 | 1.90 |
| 16516 | ვერდერი-ბარსელონა | 2.20 | 1.45 |
| 16517 | რაპიდი-ბაიერნი | 3.30 | 1.25 |
| 16519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.20 | 2.65 |
| 16520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 2.90 | 1.30 |
| 16521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16522 | ბენფიკა-ლილი | 1.35 | 2.60 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15515 | სპარტა-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15516 | ვერდერი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15517 | რაპიდი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15518 | არსენალი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 | ბენფიკა-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11515 | სპარტა-აიაქსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11516 | ვერდერი-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11517 | რაპიდი-ბაიერნი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11522 | ბენფიკა-ლილი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14515 | სპარტა-აიაქსი | 1.75 | 1.95 |
| 14516 | ვერდერი-ბარსელონა | 1.85 | 1.70 |
| 14517 | რაპიდი-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14518 | არსენალი-თუნი | 1.02 | 2.90 |
| 14519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.55 | 2.30 |
| 14520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 2.40 | 1.40 |
| 14521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14522 | ბენფიკა-ლილი | 1.65 | 2.30 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13515 | სპარტა-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13516 | ვერდერი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13517 | რაპიდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 13519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13522 | ბენფიკა-ლილი | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12515 | სპარტა-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 12516 | ვერდერი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 12517 | რაპიდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12518 | არსენალი-თუნი | 2.10 | 1.55 |
| 12519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12522 | ბენფიკა-ლილი | 1.60 | 2.00 |



„სარბიელის“ სინი

# ახალი დირექტორის ახალი თეზისები

## ეროვნული ჩემპიონატი სარბიელის სინით იწყება



ლევან მგელაძე და გიორგი მამარდაშვილი

**დღეს** მე-16 სარაგბო ჩემპიონატი იწყება და რაგბის კავშირიც მრავალი სიახლით ხვდება ახალ სეზონს. ნათქვამია, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, ჰოდა, გაზეთ „სარბიელის“ სინიც არაა უცხო ქართული სარაგბო თემისთვის. ერთი კია, რომ ეს სინი უკვე კარგა ხანია, აღარ თამაშდებოდა. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ეს ტრადიცია წლეულს აღადგინა და დღეს „ყოჩებ“ — „ლოკომოტივს“ შორის გამარჯვებულს იმ ძველ, ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ „სარბიელის“ სინს გადასცემენ. სწორედ ახალ სეზონს და მის თანმდევ სიახლეებს მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელიც კაფე „მსოფლიოს სპორტში“ გაიმართა.

თავდაპირველი სიტყვა რაგბის კავშირის პრესატაშეს, გიორგი მამარდაშვილისა იყო...

„მე-16 ჩემპიონატს მრავალი სიახლით ვხვდებით, თუმც თავდაპირველად სტრუქტურულ ცვლილებაზე მოგახსენებთ. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, რაგბის კავშირის აღმასრულებელ დირექტორად ბატონი ლევან მგელაძე დაინიშნა. ამ ადამიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული რაგბის განვითარების საქმეში და ახლა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. უბრალოდ, ერთს ვიტყვი, რომ ლევან მგელაძემ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება მოუტანა, როცა 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა. რაც შეეხება აქამდელ აღმასრულებელ დირექტორს, ირაკლი ჩხეიძე რაგბიში რჩება და ჩვენს კავშირში იმუშავებს“.

მომდევნო სიტყვა, ცხადია, თავად აღმასრულებელი დირექტორის, ლევან მგელაძისა გახლდათ...

— გუშინ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩები დაიწყო, ხვალ კი საქმეში უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაერთვებიან. მინდა, რამდენიმე სიახლე გაგაცნოთ. პირველ ლიგაში დაბრუნდა აჭარის გუნდი. ბათუმის „ელიტი“ სრულიად ახალი და პერსპექტიული კლუბია. რაგბის კავშირის დახმარებით, დამლას გადაურჩა რეგიონის რამდენიმე გუნდი, რომელთაგან ქუთაისის „აია“ და თელავის „თელაველები“ პირველ ლიგაში ითამაშებენ. ეს ძალიან დადებითი მოვლენაა, რადგან ეს გუნდები რომ დაშლილიყვნენ, მაშინ საქართველოს ჩემპიონატში სულ თბილისური გუნდები ითამაშებდნენ. ჩემპიონატი დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება...

— სეზონის შუაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება შვიდკაცა რაგბიში, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდება. სასიხარულოა, რომ აღდგა დამოუკიდებელი ქართული რაგბის ძველი და სასიამოვნო ტრადიცია — გაზეთ „სარბიელის“ სინის გათამაშება. სინი 1995 წლიდან თამაშდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ ეს ტრადიცია შეწყდა. სინის დღევანდელი მფლობელი თბილისის „ყოჩებია“, რომელსაც ჩემპიონატის პირველივე ტურში მოუწევს მისი დაცვა თბილისის „ლოკომოტივთან“. მინდა, მადლობა ვუთხრა გაზეთ „სარბიელს“ ამ ტრადიციის აღდგენისთვის. ეს ხომ ფინანსურადაც წაახალისებს მის მომგებ კლუბებს. სინის მფლობელი ვალდებულია, დაიცვას ეს ტიტული ნებისმიერ მეტოქესთან მატჩში, ოღონდ სინისთვის თამაში ცალკე არ გაიმართება და ის დაემთხვევა ეროვნული ჩემპიონატის ტურს...

— ჩვენ განვიზრახეთ, მივხედოთ სატრანსფერო საკითხებს და შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგოთ ის. უცხოურ კლუბებში წამსვლელთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს და კლუბებმა რომ ხეირი ნახონ, თითოეულ წასულ მორაგბის ახალი გუნდისგან 1000 ევროს მიიღებს. ეს, რა თქმა უნდა, იმ მოთამაშეებს ეხებათ, რომლებიც პროფესიულ კლუბებში წავლენ...

— რაგბის მხარდამჭერთა ლიგის დახმარებით ძალიან დიდი სამუშაო ჩატარდა ბავშვთა რაგბიში. დღესდღეობით 60-მდე ბავშვთა კლუბია და მათი ნახევარი რეგიონებზე მოდის...

— ჩვენ მივისწრაფვით იმისკენ, რომ შევქმნათ სრულყოფილი პროფესიული სარაგბო ლიგა, თუმც ჯერ ძალიან ბევრი გვაკლია აქამდე. აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ამ მხრივ გარკვეულ ნაბიჯებს უკვე ვდგამთ. თუ აქამდე უმაღლესი ლიგის მატჩები ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე იმართებოდა, ახლა ეს მოედანი მთლიანად პირველ ლიგას დაეთმობა, უმაღლესლიგელები კი „ლოკომოტივის“ სათადარიგოთა მინდორსა და „დინამოზე“ ითამაშებენ...

მერე ისევ გიორგი მამარდაშვილმა ითხოვა სიტყვა და ჟურნალისტებს რაგბის ჩემპიონატის გენერალური სპონსორი გააცნო.

— ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი კომპანია „მაგთი“ იქნება. ჯერ არ ვიცით, თუ რა დონეზე დააფინანსებს ჩემპიონატს „მაგთი“, მაგრამ მსხვილ სპონსორობაზე რომაა ლაპარაკი, ეს ნალდია. ამ საქმეს ირაკლი გვენეტაძე უძღვება, რომელიც მალე ჩამოვა უცხოეთიდან და მერე ყველაფერი დაწვრილებით გვეცოდინება. არ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოს ჩემპიონატს „მაგთის“ თასი დაერქვას. ვნახოთ...

— აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ქართულ ტელეკომპანიებთან, რათა შეირჩეს ჩვენი პარტნიორი სამაუწყებლო კომპანია, რომელთანაც შეთანხმებას მივაღწევთ, იმ კომპანიის ეთერში ყოველკვირეულად [illegible] ცნობილი პროგრამის „ტოტალ რაგბის“ ქართულად ნათარგმნი მიმოხილვა, რომელსაც ბოლოში საქართველოს ჩემპიონატის ახალი ამბები და ტურის მიმოხილვა მიება.

— ბოლოს ჩვენს ასაკობრივ ნაკრებთა კალენდარსაც გაგაცნობთ: ეროვნულ ნაკრებს 5 და 12 ნოემბერს ურუგვაისთან და ჩილისთან ელის ტესტ-მატჩები, რომლებიც თბილისში გაიმართება, ერთა თასის გათამაშებაში კი თებერვლიდან ჩაებმებიან. 17-წლამდელები მომავალი წლის მაისში ინგლისში, საერთაშორისო ტურნირში არიან მიწვეულნი. 19-წლამდელებს აპრილში დუბაიში მსოფლიოს ჩემპიონატი ელით, ხოლო იმავე პერიოდში ერთი წლით უმცროსები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ იტალიაში.

— ოქტომბრის დასაწყისში თბილისში ცნობილი სარაგბო მოღვაწე ჯონ ბროუტფუტი ჩამოვა, რომელიც მორიგ საჩუქრებს ჩამოგვიტანს სპორტული ამუნიციის სახით. მას ჩამოჰყვება ინგლისის გრანდის „ჰარლი ქუინზის“ მწვრთნელი დეიან რიჩარდსი, რომელიც ქართველ მწვრთნელებს სემინარებს ჩაუტარებს.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს ჩემპიონატი

**უმაღლესი ლიგა**

1 — „ლელო“, 2 — „აკადემია“, 3 — „ყოჩები“, 4 — „ლოკომოტივი“, 5 — „ხულიგანა“

I ტური
14 სექტემბერი
**აკადემია — ხულიგანა**
**ლოკომოტივი — ყოჩები**

II ტური 19 სექტემბერი
**ხულიგანა — ლოკომოტივი**
**ყოჩები — ლელო**

III ტური
24 სექტემბერი
**ლოკომოტივი — აკადემია**
**ლელო — ხულიგანა**

IV ტური
29 სექტემბერი
**აკადემია — ყოჩები**
**ლოკომოტივი — ლელო**

V ტური
4 ოქტომბერი
**ლელო — აკადემია**
**ყოჩები — ხულიგანა**

VI ტური
9 ოქტომბერი
**ხულიგანა — აკადემია**
**ყოჩები — ლოკომოტივი**

VII ტური
14 ოქტომბერი
**ლოკომოტივი — ხულიგანა**
**ლელო — ყოჩები**

VIII ტური
19 ოქტომბერი
**აკადემია — ლოკომოტივი**
**ხულიგანა — ლელო**

IX ტური
24 ოქტომბერი
**ყოჩები — აკადემია**
**ლელო — ლოკომოტივი**

X ტური
30 ოქტომბერი
**აკადემია — ლელო**
**ხულიგანა — ყოჩები**

# შოთა ხაბარელი: გარწმუნებთ, სწორ გზაზე ვდგავართ



**ბოლო დღეებში ქართული სპორტის ქომაგებმა მორიგი იმედგაცრუება ინვნიეს. ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოქრო-ვერცხლის გარეშე დაბრუნდა, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური კი სულაც უმედლოდ დარჩა. ამ უსიამოვნო ფაქტზე მოსაუბრეებსა თუ მოკამათეებს შეიძლება ქალაქის ნებისმიერ კუთხეში წააწყდეთ, კამათის კონკრეტული თემა კი ნაკრების წარუმატებლობის მიზეზების ძებნა ხდება.**
**შოთა ხაბარელის გუნდი უკვე თბილისშია და ქვემოთ მთავარი მწვრთნელის ინტერვიუს გთავაზობთ.**

— რაც არ უნდა ძნელი სათქმელი იყოს ჩემთვის, ფაქტია, მსოფლიოს ჩემპიონატმა იმედები გაგვიცრუა. ბევრს მოველოდით და ისე გამოვიდა, ფაქტობრივად ვერაფერი მივიღეთ.

**— მაინც, რა იყო ამის მიზეზი, არასათანადო მომზადება?**

— ამ აზრს კატეგორიულად არ ვეთანხმები. გუნდი მართლა კარგად იყო მომზადებული. ცუდმა შედეგმა ყველაზე მეტად სწორედ ამიტომ მატკინა გული. იყო მომენტები, ოქრომდე თითქმის აღარაფერი გვაკლდა, მაგრამ ბრინჯაოც ვეღარ ავიღეთ. დავით მარგოშვილსა (66კგ) და გიორგი ყიზილაშვილს (აბსოლუტური) ვგულისხმობ. ბრწყინვალედ ჭიდაობდნენ, მეტოქეებს აშკარად სჯობდნენ და წამის მეასედებში დამარცხდნენ. ეს მოუმზადებლობის ბრალი სულაც არ იყო. შეცდომასაც კი არ დავარქმევ დავით ქევხიშვილის შემთხვევისგან (73კგ) განსხვავებით. აღალად საჩემპიონო ფორმაში მყოფმა ქევხიშვილმა პირველ წრეში ერთ-ერთი უსერიოზულესი მეტოქე ჩამოიცილა, მერე კი გაცილებით სუსტთან თავისი შეცდომით წააგო.

**— მოდით, ყველაზე დიდ იმედგაცრუებაზეც თავიდანვე ვთქვათ. უკვე ჩემპიონატი დასრულდა და თუ შეგიძლიათ, პირდაპირ გვითხარით, ზურაბ ზვიადაურის (90 კგ) უმედლოდ დარჩენის მიზეზი მართლა უვარგისობა იყო?**

— გულახდილად გეტყვით, ზურამ შეკრებები გუნდთან ერთად გაიარა, მაგრამ ვარჯიში მართლაც აკლდა. ჩვენდა სამწუხაროდ, ოლიმპიადის შემდეგ ეიფორიიდან ვერ გამოვიდა. იყო საქმისადმი არასერიოზულად მიდგომის მომენტებიც. ამას ოპერაცია და ტრავმებიც დაერთო და საბოლოოდ ასეთი სავალალო შედეგი მივიღეთ.

**— ამას მსოფლიოსთვის მოსამზადებელ პერიოდში ვერ ამჩნევდით? ნუთუ არ შეგეძლოთ მეტი სიმკაცრე გამოგეჩინათ?**

— რა თქმა უნდა, საერთო დანაშაულში წილი მეც მიმიძღვის. კონკრეტულად ის, რომ ცოტა მეტი თავისუფლება მივეცი. ახლა გვიანია, თუმც ამ მსოფლიოს ჩემპიონატით არაფერი მთავრდება. მთავარია, სწორი ანალიზი გააკეთოს და ნიჭი ჭკვიანურად გამოიყენოს.

**— თავად როგორ გადაიტანა მარცხი?**

— საშინლად განიცდის. ხალხის გმირი და ფავორიტი უცებ დაბლა დაეშვა და ყველაფრის დამტკიცება თავიდან უნდა დაიწყოს. ახლა მას ყველაზე მეტად უნდა გვერდში დგომა. თუ ამას ვერ მივხვდით და ეს ვერ მოვახერხეთ, შეიძლება დავკარგოთ.

**— თუ ამჩნევდით, რომ ასეთ დღეში აღმოჩნდებოდა, ხომ არ ჯობდა, ევგიპტეში საერთოდ არ გეჭიდავებინათ?**

— ახლა ამას ბევრი იტყვის, მაგრამ აბა, ჩემი მხრიდანაც შეხედეთ. ზვიადაურის მაგივრად მსოფლიოზე სხვა რომ დამეყენებინა და უმედლოდ დარჩენილიყო, მერე ვინ დაიჯერებდა, ოლიმპიურ ჩემპიონსაც ეს დაემართებოდაო? იტყოდნენ, ზურაბ ზვიადაური ევგიპტეში თუნდაც მარტო სახელის და გვარისთვის უნდა წაეყვანაო. ერთადერთი, რაც მაიმედებდა, მისი საოცარი ტექნიკა და შემართება იყო, მაგრამ... პირველი მარცხის შემდეგ კი სულაც უმედლოდ რომ დარჩა, ვინც ზურას იცნობს, არ გაუკვირდება. ბელარუსთან შეხვედრის მერე ფსიქოლოგიურად მკვდარი იყო.

**— ზვიადაურისგან განსხვავებით, ნესტორ ხერგიანი (60 კგ) საოცრად მონდომებულად ემზადებოდა. მისი უმედლოდ დარჩენას როგორღა ახსნით?**

— ნესტორი ამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბრწყინვალედ იყომომზადებული. ძალიან კარგი გამარჯვებებიც მოიპოვა, მაგრამ სწორედ იმ მეტოქეს გადაეყარა, ყველაზე მეტად რომ არ სურდა შეხვედრა. ლუდვიგ პაიშერი ხერგიანის უხერხული მეტოქეა. შეიძლება, საერთო ჯამში ჩვენებური უფრო ძლიერია, მაგრამ ბოლო წლებია, პირად შეხვედრებში ყოველთვის პაიშერი რჩება გამარჯვებული.

**— წლების წინ პირიქით იყო. ხომ არ თვლით, რომ ნესტორ ხერგიანმა ნაკრებში თავისი შესაძლებლობები ამოწურა?**

— არავითარ შემთხვევაში. იგი თავის სათქმელს მომავალშიც არაერთხელ იტყვის.

**— დღესდღეობით რა დონეზე დგას სელექციის საკითხი ნაკრებში, არის თუ არა ჯანსაღი კონკურენცია?**

— ნაკრებში არც ერთი გადაწყვეტილება დაუსაბუთებლად და ერთპიროვნულად არ მიმიღია. ყველაფერს მწვრთნელთა საბჭოსა და საქმეში ღრმად ჩახედულ ხალხთან ერთად ვაანალიზებ.

**— ამ ეჭვს ხალხში ყველაზე მეტად ერთი ფაქტი იწვევს. თბილისის ტრადიციულ ტურნირებზე ხშირად ნაკრების წევრები კონკურენტებთან დაპირისპირებას თავს არიდებენ...**

— ამ პროცესს აუცილებლად დავარეგულირებთ. პირობას ვდებ, ყველა თანაბარი იქნება.

**— ისევ მსოფლიოს ჩემპიონატს მივუბრუნდეთ. არაფერი გვითქვამს ბრინჯაოს პრიზიორ ლაშა გუჯეჯიანზე (+100 კგ). არადა, საუბარი სწორედ ამით უნდა დაგვეწყო.**

— ლაშას ბრინჯაოს მართლაც ოქროს ფასია აქვს ეს ბიჭი ძალიან ახალგაზრდაა და თავისზე ბევრად გამოცდილებთან ბრძოლაში უმედლოდაც რომ დარჩენილიყო, ვერავინ დაძრახავდა. გუჯეჯიანის ჭიდაობით ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**— რომ არა ცნობილი სკანდალი, ჩემპიონატზე ალექსი დავითაშვილის წაყვანას აპირებდით. ვინ დარჩებოდა თბილისში: გუჯეჯიანი თუ ყიზილაშვილი?**

— ამას ვერ გეტყვით. შეკრების პროცესში გადავწყვეტდი. შეიძლება, შეცდომაც დამეშვა და გუჯეჯიანი მსოფლიოზე არ წამეყვანა.

**— გრიგოლ შინჯიკაშვილის (81 კგ) და გია გუგავას (100 კგ) ჭიდაობაზე რას იტყვით?**

— შინჯიკაშვილმა პირველი ორი შეხვედრა ძლიერ მეტოქეებთან კარგად მოიგო. მესამეში მომავალ ვიცე-ჩემპიონთან დამარცხდა, მაგრამ მართლა ბოლომდე იბრძოლა. გუგავამაც ნორმალურად იჭიდავა, თუმც მსოფლიოს ჩემპიონატი ახლა რომ იწყებოდეს, 100 კილოგრამში ირაკლი ცირეკიძეს დავაყენებდი. ამაზე ევგიპტეში გამგზავრებამდეც დავფიქრდი, მაგრამ არანაირი უფლება არ მქონდა, გუგავაზე წინ ცირეკიძე დამეყენებინა. ბოლო სიტყვის სათქმელად ჩემპიონატისწინა ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ორივე კანდიდატი გამოვცადე. ფინალში გავიდნენ და გუგავამ იმარჯვა.

**— ჩემპიონატი უკან დარჩა და ახლა მაინც გაგვიმხილეთ საიდუმლო, რომელი სპორტსმენებისგან ელოდით მედლებს?**

— ხერგიანისგან, მარგოშვილისგან და ქევხიშვილისგან. სამივე ისეთ ფორმაში იყო, ეს რეალურად შეეძლოთ, მაგრამ...

**— ნაკრების გადახალისებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— ცუდი შედეგის გამო ასეთი გადაწყვეტილების მიღება სასტიკად გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. ოთხი წელიწადი პიკზე ვიყავით და ლოგიკურიცაა, აღმართს დაღმართი რომ მოჰყვა. ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს საგანგაშო დღეში ვიყოთ. ჩემზე მეტად მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის გამოსვლას არავინ განიცდის, მაგრამ გარწმუნებთ, სწორ გზაზე ვდგავართ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ინა კოტკინა

# ქართული ორში ორი

**ბორჯომის თასის** პირველი დღე ქართველებისთვის წარმატებული გამოდგა. ძირითად ბადეში მყოფი ხუთი ჩვენებურიდან საქმეში გუშინ მხოლოდ ორი ჩაერთო და ორივემ იმარჯვა.

17 წლის სოფო ქვაცაბაიამ და 15 წლის მანანა შაფაქიძემ თავისზე უფროს და ერთი შეხედვით ძლიერ მეტოქეებს უპრობლემოდ სძლიეს. ქვაცაბაიას კენჭისყრამ პირველ წრეში ტურნირის მერვე ნომერი, გერმანელი დავინია ლობინგერი შეახვედრა, მაგრამ ისე მოხდა, გერმანელმა „ბორჯომის თასზე" თამაში ვეღარ მოახერხა და ვაკანტური ადგილი საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩარჩენილთა შორის გათამაშდა. უიღბლოებში ყველაზე იღბლიანი სომეხი ოფელია პოღოსიანი გამოდგა, თუმც ქვაცაბაიასთან ვეღარც იღბალმა უშველა. ქართველმა 6:3, 6:0 მოიგო.

შაფაქიძემაც ორ სეტში გაინაღდა მეორე წრის საგზური. კვალიფიკაციის გადამლახავ გერმანელ რია დიორნემანს მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო — 6:2, 6:2.

დღეს პირველი წრის დარჩენილი რვა შეხვედრა გაიმართება. ქართველები ცენტრალურ კორტზე ერთმანეთის მიყოლებით გავლენ. ღილის ათ საათზე მაკა ჩახნაშვილი რუს სვეტლანა სმირნოვას დაუპირისპირდება. ამ თამაშის დასრულებისთანავე სოფო შაფათავა და უკრაინელი ვიქტორია სემიროდენკო იროგნავებენ, ბოლოს კი — თეონა ცერცვაძე და ამერიკელი შერილ გერშონი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ბორჯომის თასი. თიხნარი
## საპრიზო 10 000 $

| მოთამაშე | 1/16 |
|---|---|
| მაკა ჩახნაშვილი (1, საქართველო) | |
| სვეტლანა სმირნოვა (რუსეთი) | |
| ვიქტორია სემიროდენკო (კვ. უკრაინა) | |
| სოფო შაფათავა (საქართველო) | |
| ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი) | |
| ვარვარა გალანინა (რუსეთი) | |
| ნადეჟდა სამოილო (რუსეთი) | კაპშაი 6:1 6:3 |
| ვერონიკა კაპშაი (6, უკრაინა) | |
| ირინა კოტკინა (3, რუსეთი) | კოტკინა 6:1 6:1 |
| ლაურა ბსოული (კვ. გერმანია) | |
| ლუდმილა ნიქოიანი (სომხეთი) | სეგნინი 6:4 6:3 |
| ვივიან სეგნინი (ბრაზილია) | |
| ანა ლაპუშენკოვა (რუსეთი) | |
| დარია ნაკიდაილო (კვ. უკრაინა) | |
| ევგენია როდინა (რუსეთი) | როდინა 6:2 3:6 6:3 |
| ოლგა პანოვა (7, რუსეთი) | |
| დავინია ლობინგერი (8, ბელგია) | ქვაცაბაია 6:3 6:0 |
| სოფო ქვაცაბაია (საქართველო) | |
| პაოლა შპროვიერი (გერმანია) | |
| ანა მოვსესიანი (კვ. სომხეთი) | |
| ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) | |
| ვასილისა დავიდოვა (რუსეთი) | |
| ირინა მალაშოკი (უკრაინა) | |
| პემრა ოზგენი (4, თურქეთი) | |
| ნატალია ბოგდანოვა (5, უკრაინა) | ბოგდანოვა 7:5 6:4 |
| კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი) | |
| მანანა შაფაქიძე (საქართველო) | შაფაქიძე 6:2 6:2 |
| რია დიორნემანი (კვ. გერმანია) | |
| თეონა ცერცვაძე (კვ. საქართველო) | |
| შერილ გერშონი (კვ. აშშ) | |
| ელინა ჰასანოვა (აზერბაიჯანი) | ტეპლიაკოვა 4:6 6:3 7:5 |
| ოქსანა ტეპლიაკოვა (2, უკრაინა) | |

1/8 1/4 1/2



ნიკ ჰაიდფელდისთვის წლევანდელი სეზონი ეტყობა, დასრულდა

# უილიამსური ამბები

## ნიკ ჰაიდფელდი ველოსიპედიდან გადმოვარდა

დღევანდელი საპირველფორმულო ცნობები მთლიანად „BMW-უილიამსს“ უკავშირდება.

28 წლის გერმანელ პილოტ ნიკ ჰაიდფელდს ჯანის პრობლემები არ ელევა. ოციოდე დღის წინ „მონცას“ ავტოდრომზე ვარჯიშისას ავარია შეემთხვა და თავ-კისრის ისეთ ძლიერ ტკივილს უჩიოდა, რომ ექიმებმა იტალიურ და ბელგიურ ეტაპებზე გაჯირითების ნება არ დართეს. „სწრაფი ნიკი“ იმ ორ რბოლაში „უილიამსის“ საჭესთან „ჯუნგლების ბიჭმა“ ანტონიო პიცონიამ შეცვალა.

მართალია, ჰაიდფელდს თავის ტკივილმა გაუარა, მაგრამ მომდევნო, ბრაზილიური ეტაპსაც გამოტოვებს და იქნებ ჩემპიონატის ბოლომდეც ვეღარ ვიხილოთ ტრასებზე. ამის მიზეზი ველოფათერაკი გახდა.

შინ, შვეიცარიაში ველოსიპედით სეირნობისას იგი მოტოციკლს შეეჯახა, დაეცა და ლავიწის ძვალი გაიტეხა.

სან პაულუში 25 სექტემბერს მის ნაცვლად ალბათ ისევ პიცონია გაირჯება. თუმც არაა გამორიცხული, ფინელი ნიკო როსბერგი ვიხილოთ. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონ კეკე როსბერგის ვაჟიშვილი წარმატებით ჯირითობს უმცროს ფორმულა GP2-ში და თანამემამულე ჰეიკი კოვალაინენთან საჩემპიონო ბრძოლაში ლიდერობს.

პიცონია კვირას ბელგიაში ჯირითისას შარში გაეხვა. რბოლის მიწურულს ერთი წრით ჩამორჩენილმა ბრაზილიელმა მეორე ადგილზე მყოფ ხუან-პაბლო მონტოიას გასწრება მოინდომა, მაგრამ ვერ გათვალა, „უილიამსი“ კოლუმბიელის „მაკლარენს“ შეაჯახა და ორივესთვის ყველაფერი მოხრეშილ ზონაში დასრულდა. ეტაპის სტიუარდებმა, ცხადია, მომხდარი დაწვრილებით გაარჩიეს, დამნაშავედ პიცონია სცნეს და რვა ათასი დოლარითაც დააჯარიმეს.

ისევ გაურკვეველია ბარ-ელ ჯენსონ ბატონის წასვლა-დარჩენის ამბავი.

გეხსომებათ, ბატონმა შარშან დაიჟინა, „უილიამსში“ გადასვლა მინდაო. სერ ფრენკ უილიამსიც დიდად იყო მოწადინებული „მომავლის ჩემპიონის“ დასაკუთრებით, მაგრამ ბარ-მენებს ბრიტანელის კონტრაქტში ისეთი პუნქტი ჰქონიათ, რომლის ძალითაც იგი კიდევ ერთი წლით დაიტოვეს.

სადღეისოდ ვითარება საპირისპიროა. რადგან „უილიამსი“ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მეხუთე ადგილზეა, ბატონი თავადაა წინააღმდეგი, რა აზრი აქვს უპერსპექტივო საჯინიბოში გადასვლასო. ვითარების კომიკურობა ის გახლავთ, რომ 25 წლის მძღოლი „უილიამსს“ თავისი ჯიბიდან სთავაზობს სამნახევარ მილიონ დოლარს, ოღონდ თავი დაანებონ, რათა მოღონიერებულ ბარ-ში დარჩეს.

ბატონმა, რომელიც შარშან თავქუდმოგლეჯილი გარბოდა გუნდიდან, ახლა მკვეთრად იმიტომ დაამუხრუჭა, რომ BMW მომავალი სეზონიდან „უილიამსთან“ აღარ ითანამშრომლებს და სერ ფრენკის ბიჭებს ძრავებით საშუალო ძალის „კოსუორტი“ მოამარაგებს. ჯენსონი ამბობს, რომ გუნდი ამით უფრო დასუსტდება და მთელი წელი სხვაგან სათადარიგოთა სკამზე ყოფნა მირჩევნიაო.

ფრენკ უილიამსი კი მაინც თავისაზე დგას, აუცილებელია, კონტრაქტის პირობები დავიცვათ, ბატონი ჩვენიაო, მაგრამ ბევრნი, მათ შორის საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი ბოსს ურჩევს, საბოლოოდ დაანებოს თავი ბატონის გადაბირების ცდას, რადგან ეს ხეირს არ მოუტანს:

„მე უკვე ვუთხარი ფრენკს, რომ ჯობს, თავისი ტესტ-მძღოლი ნიკო როსბერგი ირჩიოს და დაივიწყოს ბატონი, რომელსაც არ სურს მის გუნდში გამოსვლა.“

„უილიამსი“ 2006 წლიდან მებორბლეებსაც შეიცვლის. გუნდმა ფრანგულ „მიშლენს“ უგანა და მომავალი სეზონიდან იაპონურ „ბრიჯსტოუნის“ საბურავებზე გადავა.

გაისად საქმეები როგორ აეწყობა, ძნელი სათქმელია. ის კი ცხადია, რომ „სამეფო რბოლების“ პატრიარქ უილიამსს პრობლემები მოეძალა, რასაც იქნებ „რკინის ფრენკმაც“ კი ვეღარ გაუძლოს.

**გია ახალაძე**

# დიდი ოთხეული მიდის, სახელს კი ყინულზე ტოვებს



მარკ მესიე

80-90-იანი წლების დიადი თაობა ნელ-ნელა ტოვებს სარბიელს. ამ დღეებში ერთბაშად ოთხი გამოჩენილი ჰოკეისტი გამოეთხოვა ციგურებს და წერტილი დაუსვა თავის ბრწყინვალე კარიერას



სკოტ სტივენსი

**სხვა** ვეტერანებს მაგალითი 41 წლის სკოტ სტივენსმა აჩვენა. ამას წინათ გაუწყებდით, რომ „ნიუ ჯერსის“ დაცვის საყრდენის გადაბირებას „სან ხოსე“ ლამობდა, მაგრამ რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა. როგორც თავად სტივენსმა ალიარა, ხანგრძლივმა ლოკაუტმა მთავარი როლი ითამაშა მის გადაწყვეტილებაში. „ესოდენ დიდი პაუზის შემდეგ ვეღარ შევძლებ თამაშისთვის განწყობას, სხვაგვარად კი რა აზრი აქვს — განაცხადა სკოტმა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია შეგახსენოთ, რომ სკოტ სტივენსმა დიდი კვალი დატოვა ნჰლ-ში. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ მან 22 ჩატარებულ სეზონში 13-ჯერ მოიპოვა „ოლსტარში“ გამოსვლის უფლება და სტენლის თასის სამგზის მფლობელი გახდა. სტივენსი საიმედო და ხისტი მცველის ეტალონად იქცა და უკანახაზელთა მომავალი თაობებისთვის სწორედ ის იქნება მისაბაძი.

სტივენსის მერე გაიფორმა პენსია ვენსან დამფუსმა. ბევრისთვის ეს საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან იგი ჯერ მხოლოდ 37 წლისაა და, რაც მთავარია, მის თამაშს დიდად არ დასტყობია წლები. თუმც გადაწყვეტილება მიღებულია და კარიერას ვენსანი ერთი თასით და შესაშური ინდივიდუალური მაჩვენებლებით ასრულებს — 1378 თამაშში მის აქტივში 432 გოლი და 773 პასია.

სხვათა შორის, დამფუსი მოთამაშეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

კარიერა დაასრულა კიდევ ერთმა გამოჩენილმა მცველმა ელ მაკინისმა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე უძლიერესი დარტყმის მფლობელი. მიუხედავად ასაკისა (იგი 40 წლის ასაკშიც თამაშობდა), მაკინისის დარი გასროლით (100 მილი/სთ) ვერავინ დაიკვეხნიდა და ბოლო მატჩამდე ლიგის უკლებლივ ყველა მეკარეს ეშინოდა ელის დარტყმისა.

სამწუხაროა, რომ მაკინისის გადაწყვეტილება ასევე ლოკაუტმა განაპირობა, თორემ, მიუხედავად ბოლო სეზონში მიღებული თვალის ტრავმისა, ის თავს კარგად გრძნობდა.

„ჯანმრთელობასაც არ ვუჩივი და ნებისყოფაც არ მაკლია, მაგრამ ერთწლიანმა პაუზამ თავისი მაინც დამატყო და ახლა ალბათ ჩემი დამსახურებისა და მედლების დათვლის დრო მოვიდა“ — თქვა მაკინისმა.

ისე, დასათვლელი ცოტა როდია: ერთი სტენლის თასი (1989), 2002 წლის ოლიმპიური ოქრო, „ოლსტარში“ ცამეტი მონაწილეობა და 1416 თამაშში მითვლილი 1274 (340+934) ქულა.

დიდი ოთხეულის ბოლო წარმომადგენელს ჯერ ოფიციალურად არ გამოუცხადებია კარიერის დასრულების თაობაზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს ორიოდ კვირის საქმეა. მისი რეპუტაცია და სახელი გვაიძულებს, მანამდე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ხუმრობაა, თვით მარკ მესიე მიდის, „რკინის მარკი“, რომელიც უეინ გრეცკისა და კიდევ ალბათ სულ რამდენიმე გამორჩეულთან ერთად ნჰლ-ის „ოქროს ფონდში“ შედის.

ძნელია, დაიჯერო, რომ მესიე გვტოვებს. ბოლო 25 წელიწადია, ის კანადური ჰოკეის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ ასაკი მაინც თავისას აკეთებს. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მარკმა ბოლო წლებში ვერაფერი შემატა თავის მიღწევათა კოლექციას და თავადაც ის ძველი მესიე როდი იყო. მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ჩრდილავს მარკის დიდ დამსახურებას. მხოლოდ მის მიერ მოპოვებული 6 სტენლის თასის ხსენებაც საკმარისია. თანაც მესიე ლიგის ისტორიაში ერთადერთია, ვინც ორ სხვადასხვა გუნდში მოიპოვა თასი კაპიტნის პოსტზე.

და კიდევ ერთი. მესიე არასდროს არ იყო გამოჩენილი სნაიპერი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1887 ქულით მან მაინც შეძლო ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში გრეცკის შემდეგ მეორე ადგილის დაკავება.

ამ შესანიშნავი ოთხეულის ჰოკეიდან წასვლამ ისეთი ფაქტიც კი დაჩრდილა, როგორიც სიდნი კროსბისა და მარიო ლემიეს „პიტსბურგთან“ კონტრაქტის დადებაა.

ნიშანდობლივია, რომ ყველაფერი ეს ერთ დღეს მოხდა. თანაც ბრძენმა მარიომ წინ სწორედ კროსბის ამბავი წამოწია, თავისი ხელშეკრულება კი ისე მიჩქმალა, მისი დეტალები უცნობია.

რაც შეეხება კროსბის, იგი ახალბედებისთვის მაქსიმალურ, 850000 დოლარს მიიღებს. თანაც გარკვეული პერსონალური მიღწევების ხარჯზე შეუძლია, ეს თანხა გააორმაგოს პრემიების მეშვეობით.

„თავს ძალიან იღბლიან ადამიანად ვგრძნობ. ბევრ ახალბედას ადრეც მისცემია შანსი აღორძინების გზაზე მდგარ გუნდში მოხვედრისა, მაგრამ მე ალბათ უნიკალური შანსი მომეცა“ — თქვა კროსბიმ საგანგებო პრესკონფერენციაზე.

და მართლაც, ლიგის და მოთამაშეთა ასოციაციას შორის ახალი კოლექტიური შეთანხმებისა და ზაფხულში ჩატარებული ცვლილებების წყალობით „პიტსბურგი“ მაჩანჩალასგან აშკარა ფავორიტად იქცა და წლეულს თასის ერთ-ერთ მთავარ მაძიებლად აღიქმება.



ვენსან დამფუსი

**სამველ ლარიბიანი**

ველორბოლა



# ესპანური კვარცხლბეკი

**გუშინ** ესპანეთში ესპანელმა გაიმარჯვა „ვუელტაზე“. ამ პოპულარული ველორბოლის მე-16 ეტაპზე, რომელიც ერთდღიანი შესვენების მერე ლეონიდან ვალიადოლიდამდე 162,5-კილომეტრიან მონაკვეთზე ჩატარდა, ფინიშთან ყველას პაოლო ბეტინიმ მიასწრო.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე და მესამე საფეხურებიც მისმა თანამემამულეებმა ალესანდრო პეტაკიმ და მიგელ ანხელ მარტინი პერლიკერომ დაიკავეს.

საერთო ჩათვლაში პრიზიორთა შორის არაფერი შეცვლილა. ლიდერის ყვითელი მაისურა, ისე როგორც მეთხუთმეტე ეტაპის მერე, კვლავ ესპანელ რობერტო ერასს ამშვენებს. მეორე ადგილზე რუსი დენის მენშოვი, ხოლო მესამეზე ესპანელი კარლოს სასტრეა.

მეთექვსმეტე ეტაპი. 12 სექტემბერი

**ლეონი — ვალიადოლიდი. 162,5 კმ**

| | |
|---|---|
| პაოლო ბეტინი | 3სთ. 40წთ. 56წმ |

საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტ სეგუროსი) | 65სთ. 28წთ. 36წმ |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +4.30 |
| 3. კარლოს სასტრი (სთს) | +4.50 |



# ფრანგთა გულის გასახეთქად

**„ტურ დე ფრანსის“** შვიდგზის ტრიუმფატორ ლენს არმსტრონგის ნათქვამმა, რომ შესაძლოა ამ უპოპულარეს ველორბოლას დავუბრუნდე და მერვედ გავიმარჯვოო, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ამსტრონგის სიტყვებს საფრანგეთში. იქაურებს მრავალი წელიწადია, ვერა და ვერ გაუმარჯვიათ „ტურ დე ფრანსის“ რბოლაში. ამ რბოლის დირექტორმა ჟან მარი ლებლანმა უარი თქვა არმსტრონგის გადაწყვეტილების კომენტირებაზე და განაცხადა, მანამ ამერიკელი ოფიციალურად არ განაცხადებს მონაწილეობის თაობაზე, მე არაფრის თქმა არ შემიძლიაო.

ვარაუდობენ, რომ არმსტრონგმა „ტურ დე ფრანსის“ რბოლაში დაბრუნება იმიტომ გადაწყვიტა, რომ...

თუმცა, ჯერ გავიხსენოთ, რომ ფრანგული გამოცემა **L EQUIPE**-ემ მას ბრალი დასდო აკრძალული პრეპარატის მიღებაში, თითქოს მან თავისი პირველი რბოლა დოპინგის წყალობით მოიგოო. ჟან მარი ლებლანმა ამაზე კომენტირებისას არც მწვადი დაწვა და არც შამფური, რამაც ლეგენდარული ამერიკელი გაანაწყენა და მან ფრანგთა გულის გასახეთქად დაბრუნება გადაწყვიტა.

ამასთან დაკავშირებით „ტურში“ მრავალი წლის განმავლობაში ტეხასელის მთავარმა კონკურენტმა იან ულრიხმა განაცხადა, რომ მას ეჭვი ეპარება არმსტრონგის განცხადების სერიოზულობაში.

არმსტრონგის გადაწყვეტილებით გაკვირვებულია „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული, სახელგანთქმული ესპანელი მიგელ ინდურაინიც, რომელმაც 1997 წელს დაასრულა კარიერა. მან ამერიკელის გადაწყვეტილებას „ძალზე უცნაური“ უწოდა.

„მისი გადაწყვეტილება მაკვირვებს. ის მუდამ სიტყვის კაცი იყო, ახლა კი გაუგებარია, თუ რატომ გადაიფიქრა დიდ სპორტთან განშორება. ეტყობა, მან ეს ცხელ გულზე თქვა. სეზონი იანვარში იწყება და მას ჯერ კიდევ აქვს დრო, ყველაფერი ერთხელაც აწონ-დაწონოს ისე, როგორც საჭიროა“ — თქვა ინდურაინმა.

ასეა თუ ისე, არმსტრონგის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. ამას დაემატა ისიც, რომ ლენს არმსტრონგს სასამართლოში უჩივლა მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ მაკი ანდერსენმა, რომელიც ამ ველომბროლთან ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. იგი ჩიოდა, რომ 3 ათასი დოლარი, რომელსაც ველოსიპედისტი მიხდიდა, ძალზე ცოტაა. ამასთან, არმსტრონგი დამპირდა ველოსიპედების მაღაზიის გახსნასო.

სასამართლომ მომჩივანის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და განაცხადა, გადაწყვეტილების ნაწილს მოტივირებულად მოგვიანებით გაცნობებთო.

ამასობაში ფრანგულმა გაზეთმა **JOURNAL DE DIMANCHE**-მა გამოაქვეყნა კიდევ სამი ველომრბოლის ვინაობა, რომლებიც, მისი მტკიცებით, „ტურ დე ფრანსის“ 1999 წლის რბოლისას არმსტრონგივით აკრძალულ პრეპარატს **EPO**-ს იყენებდნენ. ამ გაზეთის მტკიცებით, ესენი არიან: ესპანელი მანუელ ბელტრანი, დანიელი ბო ჰამბურგერი და კოლუმბიელი ხოსე ხუაკიმ კასტელბლანკო.

ჭადრაკი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

სერბია-ჩერნოგორია. ბუდვა 13-24 სექტემბერი

# ბუდვაში ახალგაზრდულმ დაიწყო



**გუშინ** ბუდვაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი დაიწყო. პირველობაზე 32 ქვეყნის 643 მოზარდი გამოდის და მათ შორის 26 ქართველია. მოჭადრაკეები ხუთ ასაკობრივ ჯგუფად არიან განაწილებულნი და სულ ცხრა პარტიის გამართვა მოუწევთ. ქართველი მოჭადრაკეები, როგორც ყოველთვის, თავიანთ ქვეჯგუფებში ფავორიტებად არიან მიჩნეულნი.

ვაჟები

10-წლამდელები

გიგლა ბენიძე
ირაკლი ბერაძე
ალექსანდრე ებრალიძე
გიორგი შონია

12-წლამდელები

ნოდარ ლორთქიფანიძე

14-წლამდელები

დავით ბენიძე
ლევან ბრეგაძე

16-წლამდელები

დავით ჯოჯუა
გიორგი მარგველაშვილი

18-წლამდელები

შოთა აზალაძე

გოგონები

10-წლამდელები

დეა გოგიშვილი
თეკლა მაჭარაშვილი
მარიამ სამურკასოვი

12-წლამდელები

ნინო ანაკიძე
მერი არაბიძე
ნათია ჯალაბაძე
ნაზი პაიკიძე

14-წლამდელები

სალომე ხაჟომია

16-წლამდელები

მადონა ბოკუჩავა
ანა ბუცხრიკიძე
თამარ გახოკიძე
მირანდა მიქაძე
მერი ჟორჟოლიანი

18-წლამდელები

ნინო ბაციაშვილი
სალომე მელია
მაკა ფურცელაძე

მძლეოსნობა

# ტელევარსკვლავობაზე მეოცნებე სპორტის ვარსკვლავი

**სახელგანთქმულმა** იტალიელმა მძლეოსანმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სიგრძეში ხტომაში ფიონა მეიმ ახალი პროფესიის ათვისება გადაწყვიტა. იგი უახლოეს მომავალში ტელევიზიაში მსახიობის ამპლუაში ცდის ბედს.

თავისი კარიერის განმავლობაში მეიმ მრავალ ჯილდოს მოუყარა თავი. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორგზის გამარჯვების გარდა იგი იყო არაერთგზის პრიზიორი და ოლიმპიური თამაშების მედალოსანიც, მაგრამ, მოგეხსენებათ, სპორტსმენის კარიერა ხანმოკლეა და ამიტომაც კაცმა და ქალმაც მომავალზე უნდა იფიქროს. და მეიმ მსახიობობა გადაწყვიტა.

ეს იდეა იმიტომ დაებადა, რომ მრავალ სარეკლამო რგოლში გადაიღეს, რასაც კარგად გაართვა თავი.

ვარაუდობენ, რომ მისი მსახიობური პირველი პროექტი ტელეეკრანზე მარტში გამოჩნდება. ამიტომაც, უახლოეს მომავალში ეს შავკანიანი ლამაზმანი სპორტს ოფიციალურად გამოეთხოვება და მთლიანად გადაღებებში ჩაერთვება.

მეი თავის დროზე დიდი ბრიტანეთის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, მაგრამ 90-იანი წლების შუაში იტალიელ ჯანი იაპიკინოზე გათხოვდა და მოქალაქეობაც გამოიცვალა, ახლა კი მეი ქმართან ერთად ფლორენციაში ცხოვრობს.



კრივი

# ტაისონი მწვრთნელობას არ აპირებს

**მაიკ ტაისონი** უახლოეს მომავალში მწვრთნელობას არ აპირებს და ამის თაობაზე ჟურნალისტებს ინტერვიუში განუცხადა.

„მწვრთნელი დარბაზზე უნდა იყოს დაქორწინებული და მოსწავლეებს მამასავით მოეპყრას, რაც ჩემს ხასიათში ნამდვილად არ ჯდება. ჩემს მამობილს ძალიან უყვარდა კრივი და სურდა, რომ ჩემპიონი გავმხდარიყავი. ამიტომაც ავირჩიე ეს სპორტი და მას იმედები არ გავუცრუე“ — დასძინა ტაისონმა.

AFP პეკინიდან



# დესანტი აკრძალულ ქალაქში

ასე გამოიყურება ესპანური საჩოგბურთო დესანტი პეკინის „აკრძალულ ქალაქში“ ანუ იმპერატორის სასახლეში: კარლოს მოია, ხუან კარლოს ფერერო და რაფაელ ნადალი პეკინს ჩინეთის ღია პირველობაზე ჩასულან.

AFP აბუ დაბიდან



# აბუდაბური ბაზიერობა

აბუ დაბიში გაიხსნილა მონადირეთა და მხედართა დიდი გამოფენა. აგერ, აქლემი რობოტი, განთქმული დოღის ნიმუშად რომ დაუდგამთ დარბაზში და აგერაც ბაზიერი თავის ქორ-შავარდნებით. აქვე მოგახსენებთ, რომ განთქმულ სააქლემო დოღში მხედრებად არასრულწლოვანთა აყვანა აიკრძალა. აქამდე მხედრებად ბიჭუნები ჰყავდათ მცირე წონის გამო.

AFP აბუ დაბიდან



# სპილოსბურთის ფინალი

ტაილანდში დასრულდა მეფის თასის მეხუთე გათამაშება სპილოსბურთში. „ჩივას რიგალის“ გუნდმა 6-5 მოუგო მეტოქეს და მეფის ხელიდან მიიღო ჯილდო. მეფის თასი ერთადერთი სასპილოსბურთო შეჯიბრია მსოფლიოში.

AFP ჰუა ჰინიდან



AFP ატლანტიდან




წამიც და თაჩდაუნი იქნება: ფილადელფიელი ტერელ ოუენსი თავის ატლანტელ მეტოქეს დაუსხლტება. ვითომ უბრალო თამაშია ამერიკული ბურთაობა, არადა, ჭკუაც უნდა ჯანის და სისწრაფის გარდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ ბურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით იავარიძე, კობა იმნაძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულაძე, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კობერიძე, ლევან ხაბეიშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ირაკლი ვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალანდაძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღონღაძე, ბადრი კიკნაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლელი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბუსხელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ლელა გელაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკა ლეკიშვილი, მაკა ლოლაძე, ზურაბ მოსიაშვილი, თენგიზ ფილაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 სექტემბერი 2005 №211 (2534) ფასი 50 თეთრი


UEFA CUP

დღეს უეფაზე ორმოცი ნყვილი ინყებს 8



თამაშის ჩემი ნესები ნანილი II 10



საფერფლო ეიფორია

ინგლისის საპრიკეტო ციებ-ცხელება 14

# ლიგის საწუთრო

## იცინის ის, ვისაც ბოლოს გააქვს



AFP

ვერდერი — ბარსელონა 0:2. ლუდოვიკ ჟიულის და კომპანიას ბრემენში გამარჯვება დიდ ჯაფად და შფოთვად დაუჯდათ

# სარბიელის სინი ლოკომოტივმა წააგრუხუნა



საქართველოს მორაგბეთა მეთექვსმეტე ჩემპიონატმა გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სავარჯიშო მოედანზე აილო სტარტი. რაგბის კავშირმა საამსეზონოდ ქომაგს რამდენიმე სიახლე შესთავაზა. ჯერ ერთი, საქართველოს ჩემპიონატს „მაგთის“ სახით ოფიციალური სპონსორი გამოუჩნდა და ამიერიდან ტურნირი „მაგთიკომის“ სახელობის იქნება. მეორე — აღდგა „სარბიელის სინის“ გათამაშების ტრადიცია, რომელსაც პირველი ტურის შემდეგ „ლოკომოტივი“ დაეუფლა.

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური. წ[illegible]

## A ჯგუფი

**რაპიდი 0:1 ბაიერნი**

0:1 გერერო (60)
ვალახოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (82)
**რაპიდი:** პეიერი, დობერი, ვალახოვიჩი, ბეიბლი, ადამსკი, ჰოფმანი, ჰლინკა, კორსოში (მარტინესი 65), ივანშიტცი (დოლინგერი 84), კინსლი, ლოური (აკაგუენდესი74)
მწვრთნელი: ვერნერ კუნი
**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, ისმაელი, სანიოლი, ლიზარაზუ (დემიკელისი 52), შვაინშტაიგერი (დაისლერი 83), ჰარგრივსი, შოლი, ზე რობერტო, პიზარო (გერერო 52), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ჰარგრივსი, დობერი სანიოლი, ბეიბლი, გერერო
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

**ბრიუგე 1:2 იუვენტუსი**

0:1 ნედვედი (66), 0:2 ტრეზეგე (75), 1:2 მატონდო (85)
**ბრიუგე:** სტიინენი, შპილარი, დე კოკი, მაერნესი, ვალგაერენი (ოლივეირა 74), ვანაუდენაერდე, მატონდო, ვერმანტი (ლეკო 84), ენგლებერტი, ბალაბანი, პორტილიო (ბლონდელი 52)
მწვრთნელი: იან კულემანსი
**იუვენტუსი:** აბიატი, კოვაჩი, ბლაზი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ჯანიკედა 88), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე (ზალაიეტა 88), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ვიეირა, კოვაჩი, ნედვედი, ვიეირა
გაძევება: ვიეირა (89)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

## B ჯგუფი

**არსენალი 2:1 თუნი**

1:0 ჟილბერტო (51), 1:1 ფერეირა (53), 2:1 ბერხკამპი (90)
**არსენალი:** ალმუნია, ტურე, ლორენი, კემპბელი, კოული, ჟილბერტო, ფაბრეგასი (ბერხკამპი 73), ლიუნგბერგი (გლები 81), პირესი, ვან პერსი, რეიესი (აბეი 81)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**თუნი:** იაკუპოვიჩი, ორმანი, ჰოზიჩი, მილიჩევიჩი, გონსალვეში, გერბერი (ლეანდრო 73), ბერნარდი, ადრიანო (დე სოუზა 57), აიგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი (ფეიე 87)
მწვრთნელი: ურს შიონბერგერი
გაფრთხილება: ტურე, ჰოზიჩი, გონსალვეში, ფერეირა
გაძევება: ვან პერსი (45)
მსაჯი: გრეგორჟ გილევსკი (პოლონეთი)

**სპარტა 1:1 აიაქსი**

1:0 მატუსოვიჩი (66), 1:1 სნეიდერი (90)
**სპარტა:** ბლაჟეკი, პოსპეჩი, პედრასი, კარდლეცი, კისელი, პობორსკი, სილოკი, ჟელენკა, პოლაჩეკი (დოსეკი 79), სლეპიჩკა (მატუსოვიჩი 49)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა
**აიაქსი:** ვონკი, გრიგერა, ტრაბელსი, მადურო, ემანუელსონი, სნეიდერი, გალაშეკი (ჰეიტინგა 90), ლინდენბერგი, როსენბერგი (ხარისტეასი 76), პიენაარი (როსალესი 81), ბაბელი
მწვრთნელი: დენი ბლინდი
გაფრთხილება: გალაშეკი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

## C ჯგუფი

**ვერდერი 0:2 ბარსელონა**

0:1 დეკო (13), 0:2 რონალდინიო (77 პენ)
**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა, ნალდო, შულცი, პასანენი, ფრინგსი, ბაუმანი (დ. იენსენი 63), მიკუ, ბოროვსკი, კლასნიჩი, ვალდესი (ჰანტი 83)
მწვრთნელი: თომას შააფი
**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი, ბელეტი (ედმილსონი 46), ოლეგერი, მარკეში, ხავი (ვან ბომელი 79), ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ჟიული (მესი 66), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: ოლეგერი, ვან ბომელი, მარკეში, დეკო
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**უდინეზე 3:0 პანათინაიკოსი**

1:0, 2:0, 3:0 იაკინტა (28, 73, 76)
**უდინეზე:** დე სანქტისი, ნატალი, ფელიპე, ჟუარესი (სენსინი 86), ძენონი, ობოდო (პინსი 68), ვიდიგალი, მუნტარი, კანდელა, იაკინტა, დი ნატალე (დი მიკელე 80)
მწვრთნელი: სერსე კოსმი
**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, გუმასი, მორისი, კოციოსი, ნილსონი, ბისკანი, გონსალესი, სერიჩი, ხარალამბიდესი (გეკასი 70), ტორგელე, ვუტორი (ლენტიუ 76)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
მსაჯი: ოლეგარიო ბენკერენკა (პორტუგალია)

## D ჯგუფი

**ვილიარეალი 0:0 მანჩესტერი**

**ვილიარეალი:** ვიერა, კრომკამპი, როდრიგესი, ექტორ ფონტი (როჟერი 70), ალვარესი, არუაბარენა, ხოსიკო (ტაკინარდი 46), სენა, რიკელმე, სორინი, ფორლანი, გიარე (ფიგუეროა 66)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფერდინანდი, ოში, სილვესტრი, ჰაინცე (რიჩარდსონი 33), ფლეტჩერი, რონალდო (გიგზი 80), სქოულზი, სმიტი, რუნი, ვან ნისტელროოი (პარკი 80)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: კრომკამპი, როდრიგესი, რიჩარდსონი, სმიტი, რუნი, რუნი
გაძევება: რუნი (65)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

**ბენფიკა 1:0 ლილი**

1:0 მიკოლი (90)
**ბენფიკა:** მორეირა, როკა (ანდერსონი 46), ლუიზაო, პეტიტი (კარაგუნისი 67), ფერნანდესი, ლეო, ჟოვანი (მანტორასი 80), ფერნანდესი, სიმაო, მიკოლი, ნუნო გომეში
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
**ლილი:** სილვა, პლესტანი, შალმე, შმიტცი, ტაფორო, გიგაქსი (დებოუში 46), მაკუნი, ბოდმერი, კაბეი, ფერნისი (ლიხშტაინერი 84), მუსილუ (ოდემვინგი 71)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: გიგაქსი, პლესტანი, შალმე, როკა
მსაჯი: რენე ტემნიკი (ჰოლანდია)

# შემოვიდნენ წითლები... წამება ბოლო წამებზე


არსენალი — თუნი 2:1. რობინ ვან პერსი (№11) მოედნიდან დაითხოვეს

AFP ლონდონიდან

**პირველი**, რასაც კაცი „ვილიარეალზე" იტყვის, ქება და მოწონება იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მასპინძლობდა გუნდს, რომელსაც დიდ სარბიელზე, კერძოდ კი, ჩემპიონთა ლიგაში მასზე გაცილებით მდიდარი გამოცდილება უმაგრებს მასზე გაცილებით ძლიერ ზურგს — „მანჩესტერ იუნაიტედზე" მოგახსენებთ. ხოლო ამ გუნდების გუშინდელი შეხვედრის ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს, 0:0 ყოველთვის ცუდ სანახაობას არ ნიშნავს.

„ვილიარეალს" მანჩესტერელების დამარცხებაც შეეძლო, მითუფრო, რომ ისინი ბოლო 26 წუთის განმავლობაში ათი კაცით დარჩნენ მოედანზე — ორი ყვითლის გამო უეინ რუნი გააძევეს, მაგრამ გვარიანი ზეწოლის მიუხედავად, ინგლისელებმა მაინც შეძლეს ქულის მონადირება.

ამავე **D** ჯგუფში მსაჯის დამატებულ წუთებში იტალიელი ფაბრიციო მიკოლის გატანილი გოლით „ბენფიკამ" ფრანგული „ლილი" დაამარცხა და პორტუგალიის ჩემპიონატში ძალიან ცუდი სტარტის შემდეგ ცოტა გული მოიფხანა. მასპინძლებმა სტუმრები პირველივე წუთებიდან მოაქციეს „ალყაში", მაგრამ „ლილის" სენეგალელი მეკარის ტონი სილვას თამაშმა, როგორც მოგახსენეთ, „ბენფიკას" საქმე ბოლო წამებამდე გააჯანჯლა. საინტერესოა, რომ ჩაა მიკოლიმ თავური გაიტანა, ხოლო საგოლე პასი შეცვლაზე შესულმა პედრო მანტორასმა ჩააწოდა. კონტრშეტევაზე მოთამაშე სტუმრებს საუკეთესო მომენტი პირველ ტაიმში ჰქონდათ, როდესაც მატ მუსილუმ მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთს მიზანში ველარ მიჰკრა.


ბენფიკა — ლილი 1:0. ბენფიკელი ნუნუ გომეში (წინ) და რაფაელ შმიტცი აფრინდნენ

AFP ლისაბონიდან

**A** ჯგუფში მიუნხენის „ბაიერნმა" ვენაში „რაპიდთან" ერთი გოლი გაიტანა და პენალტის შიშიც ჭამა. კერძოდ, საფინალო სასტვენამდე რვა წუთი იყო, როდესაც მასპინძლებს პენალტის დარტყმის საშუალება მიეცათ, მაგრამ იოზეფ ვალახოვიცმა კარს ვერ დაუმიზნა. „ბაიერნის" გოლი კი პერუელმა პაოლო გერერომ შეაგდო მას მერე, რაც ლუსიოს პასს როი მაკაიმ თავი დაარტყა, მაგრამ ეს დარტყმული ვენელთა მეკარე ჰელგე პაიერმა გერეროს მიმართულებით მოიგერია.

ამავე ჯგუფში „იუვენტუსმა" ბრიუგეში 2:1 მოიგო, მაგრამ ბოლო წუთზე პატრიკ ვიეირა გაუგდეს მოედნიდან. მიზეზი: მეორე ყვითელი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ბელგიურმა გუნდმა „ბებერ ქალბატონს" გვარიანი ძალა დაუპირისპირა.

**B** ჯგუფშიც იყო გაძევება — „არსენალისა" და შვეიცარიული „თუნის" შეხვედრაში პირველი ტაიმი ილეოდა, როდესაც ლონდონელმა რობინ ვან პირსმა ბურთისთვის გიჟურ ბრძოლაში ფეხი ისე აიქნია, რომ ალენ ორმანს შუბლიდან სისხლი ადინა. და მაინც, ძლიერმა იმარჯვა. გამარჯვების გოლი დენის ბერხკამპმა მსაჯის წამატებულ წუთებში გაუტანა ლიგის დებიუტანტებს.

„შაბათს პრემიერლიგაში დავმარცხდით და დღესაც რომ არ მოგვეგო, გუნდის ფსიქოლოგიისთვის ძალიან ცუდი იქნებოდა" — განაცხადა მატჩის შემდეგ „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

ამ ჯგუფში პრაღის „სპარტა" და „აიაქსი" თითო გოლის გაცვლით დაკმაყოფილდნენ.

**C** ჯგუფში კი „უდინეზემ" იყოჩაღა, ვინჩენცო იაკინტამ „პანათინაიკოსთან" შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა და უდინეს ჩინებული სალიგო დებიუტი უძღვნა. რაც შეეხება „ვერდერისა" და „ბარსელონას" ბრემენულ დაპირისპირებას, ის „ბარსამ" 2:0 მოიგო, მაგრამ არც გერმანულ გუნდს უნდა დავუკარგოთ მონდომება და ჯანსაღი ფეხბურთი. სხვა ამბავია, რომ საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით კი დამაგვირგვინებელ მომენტებში, მის ფეხბურთელებს ბურთი ეურჩებოდათ.

**პაპუნა კედია**

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XXIV ტური
ტამპერე 2:1 მარიეჰამნი
ტურკუ 3:0 როვანიემი
ჰიკი 2:1 ინტერი

## ინგლისი

ჩემპიონატი. VIII ტური
დერბი 1:1 ქოვენთრი

## ესპანეთი

თასი. II ეტაპი
ბასა 2:1 სიუდადი
კორდობა 0:3 ხიმნასტიკი

## ნორვეგია

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტაბეკი 1:1 ტონსბერგი

## შოტლანდია

ბელსის თასი. III ეტაპი
სტირლინგი 1:2 მორტონი

## შვედეთი

სუპერეტა. გადადებული მატჩი
ნორჩიოპინგი 0:2 ლიუნგსკილე

## იტალია

სერია B. III ტური
პიაჩენცა 1:1 კატანია
მოდენა 0:0 მანტოვა
ბრეშა 1:0 კრემონეზე
ალბინოლეფე 2:2 რიმინი

სერია C1/A
გადადებული მატჩი
სალერნიტანა 1:0 ტერამო

სერია C1/B
გადადებული მატჩი
კიეტი 1:2 პერუჯა

# სუპერთასი 2005

ბათუმი. 14 სექტემბერი. 14 საათი. დინამო. 2 500 (ტევადობა 5 000)

## დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 ბობოხიძე (69)

| დინამო | ლოკომოტივი |
| --- | --- |
| დინამო: სტურუა, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია, ოდიკაძე, ალადაშვილი, ბაბუნაშვილი (ნავალოვსკი 88), გ. მერებაშვილი, ლ. ნოზაძე, მელქაძე (იაშვილი 59), ბობოხიძე (გიგაური 83) | ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, საჯაია, გ. ონიანი (დ. ფოფხაძე 76), რ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე, ქებაძე, ინომოვი (ა. ნოზაძე 79), სირაძე, კახელიშვილი, რამონი (ალავერდაშვილი 56) |
| სათადარიგონი: გრიშიკაშვილი, გ. ჭელიძე, ვანაძე, გრიგალაშვილი | სათადარიგონი: ლ. ლომიძე, ჩივაძე, თავბერიძე, ფურთუხია |
| მწვრთნელი: კახა ცხადაძე | მწვრთნელი: ნოდარ აკობია |

გაფრთხილება: ალადაშვილი (45), გ. ონიანი (69), ა. ნოზაძე (86)

გაძევება: იაშვილი (89), გ. ონიანი (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: ნ. კაკულია

# რა სარგებლობა მოაქვს სუპერთასს?

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**საქართველოს** მეხუთე სუპერთასი თბილისის „დინამომ“ გუშინ მეოთხედ მოიგო — ბათუმის ოღრო-ჩოღრო მინდორზე ეს ადვილი სულაც არ იყო.

თამაშსაც თვალისმომჭრელი ნამდვილად არ ეთქმოდა — წუნიანი ბურთაობა, ორი გაძევება, ზლაზვნა...

მატჩის წინ შესრულდა საქართველოს ჰიმნი, ტაიმებს შორის შესვენებაზე კი მოედანზე ლექს-სენი გავიდა სამღერად — შოუს სოლიდურობა ისევე აკლდა, როგორც თამაშს ხარისხი.

კარგია თუ ცუდი სუპერთასი? ზოგადად, სუპერთასი დიდად პრესტიჟული ტიტული არაა, მაგრამ უცხოეთში მას ფული ამდიდრებს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ კი გუშინდელი მატჩისთვის საპრიზო ფონდი ვერ გამოყვეს, ფული არც „ლოკომოტივს“ შეხვდა და არც „დინამოს“...

როგორც უნდა იყოს, თასი გათამაშდა და ის „დინამომ“ მოიგო — დინამოელებს უფრო ხარისხიანი ფეხბურთელები ჰყავთ და ამან გადაწყვიტა თასის ბედიც.

...დავით ოდიკაძემ მარჯვნიდან ჩააწოდა, სანდრო იაშვილი ჰაერში აიწია, მკერდით დააგდო ბურთი, რომელიც მიხეილ ბობოხიძემ ცაციათი მოხდენილად შეაგდო გრიგოლ ჭანტურიას კარში და 1:0 — „ლოკომოტივს“ ასეთების გამკეთებელი უბრალოდ არ ჰყავს.

სხვამხრივ, თანაბარი თამაში იყო. მატჩის დასაწყისში „დინამო“ ბაბუნაშვილ-ოდიკაძის კომბინაციით დაემუქრა მეტოქეს, მაგრამ „ლოკომოტივის“ საპასუხო ჩხვლეტა უფრო მწარე იყო — დავით სირაძე მარჯვნიდან შეიჭრა დინამოელთა საჯარიმოში და ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა.

ცოტაც და, „ლოკომოტივმა“ ერთხელაც სცადა გატანა — რამონმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, გიორგი კახელიშვილმა ბრაზილიელის ჩაწოდებულს თავური კი უთავაზა, მაგრამ ზვიად სტურუამ ხელებში გააქვავა ბურთი.

„დინამომ“ თანდათან გამოასწორა მოედნის ცენტრში თამაში, რასაც ოდიკაძის სახიფათო ფლანგური ჯარიმების მეტი არაფერი მოჰყოლია.

და კვლავ „ლოკომოტივი“ — გათამაშებული ჯარიმა და სირაძემ 17-18 მეტრიდან საშინელი ძალით გაისროლა ბურთი, მაგრამ „დინამოს“ სტურუას მიერ სწორად შერჩეულმა პოზიციამ უშველა.

პირველ ტაიმში საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ აკობიამ და ინომოვმა შორეული დარტყმებით შეაწუხეს მეკარეები.

მეორე 45 წუთი უფრო ღარიბი გამოდგა სახიფათო მომენტებით. სანამ „დინამო“ გოლს გაიტანდა, რამონის დაგორებული ბურთი სირაძემ ოციოდე მეტრიდან ააცილა სტურუას კარს.

ბობოხიძის გოლის შემდეგ „დინამო“ უფრო თავდაცვაზე ფიქრობდა, სივრცე სულ მთლად შეუზღუდა „ლოკომოტივს“ და მატჩის მიწურულს ორი საგოლე მომენტიც გაანიავა — გიორგი მერებაშვილს ჯერ ჭანტურიამ აჯობა, მერე კი სიზუსტემ უმტყუნა.

აი, ასე იყო საქმე ბათუმში...



რევაზ ქემოკლიძის (№2) „დინამომ“ გიორგი კახელიშვილის „ლოკომოტივს“ მძიმე ბრძოლაში აჯობა

## პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა. სუპერთასმა გაამართლა, ბრძოლაც იყო, გაძევებაც და სხვაც... ვგრძნობდი, რომ ვინც პირველი გაიტანდა, ის მოიგებდა. მიუხედავად სადავო ეპიზოდებისა, ფანიაშვილს მაინც ძლიერ მსაჯად ვთვლი, სანამ ჩანაწერს არ ვნახავ, კომენტარს არ გავაკეთებ იმ სადავო ეპიზოდზე, რომლის შემდეგაც გოლი გავუშვით.

*გიორგი სეთურიძე:* „დინამო“ მსაჯმა გაქაჩა. მეტი რაღა ვთქვა?

*რამონი:* ორი უძლიერესი გუნდი ხვდებოდა ერთმანეთს. მსაჯებზე საუბარი არ ღირს. ალბათ მოიგო იმან, ვინც დაიმსახურა.

*კახა ცხადაძე:* დაძაბული მატჩი იყო. თავიდან ცუდად ვთამაშობდით და, რომ მიხვდით, ფიზიკურად ვჯაბნიდით მოწინააღმდეგეს, შევუტიეთ. კატასტროფული მსაჯობა იყო, მსგავსი აბსურდული მსაჯობა ასეთი დონის მატჩებს ამახინჯებს. ჩემმა გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

*სანდრო იაშვილი:* „დინამო“ ყოველთვის მოიგებს, მთავარია, მწვრთნელის მითითება შეასრულოს. მე ხელით არ მითამაშია და არასდროს ვითამაშებ, მით უმეტეს, იმ ეპიზოდში თავით თავისუფლად შემეძლო თამაში. ასე რომ, სამართლიანი გოლი გავიტანეთ.

*მიხეილ ბობოხიძე:* ძნელი თამაში იყო, მიხარია, რომ გავიმარჯვეთ.

*ზვიად სტურუა:* ბედნიერი ვარ, რომ სუპერთასი მოვიგეთ.

*ალექსანდრე ამისულაშვილი:* ფინალი ყოველთვის რთულია, მაგრამ მეტწილად არასანახაობრივი, როგორც ეს თამაში. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, შემდეგ კი შევუტიეთ, რამაც შედეგი გამოიღო.





# დაივიწყე და დაიწყე

## კალაძე კობიაშვილს 90 წუთით „გაებუტება“

**კახა კალაძემ და „მილანმა“ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა წარმატებით დაიწყეს — გუშინწინ სტამბოლის „ფენერბაჰჩე“ 3:1 დაამარცხეს. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მინდორზე 90 წუთი დაყო. ვინც ამ შეხვედრას უყურა, თავადვე დარწმუნდებოდა კალაძის სარგებლიანობაში. ის კი არა, კახას გოლის გატანაც შეეძლო — იმ ეპიზოდს ვგულისხმობთ, მისი შორიდან ძლიერად დარტყმული „ფენერბაჰჩეს“ მეკარე ვოლქანმა ცხრიანიდან დიდი გაჭირვებით რომ ჩამოხსნა. „მილანის“ მარცხენა მცველი იტალიელმა ჟურნალისტებმაც შეაქეს და კარლო ანჩელოტიმაც. კახას გუშინ იტალიაში დავურეკეთ...**



— ცხადია, კმაყოფილები ვართ. ნებისმიერი ტურნირის გამარჯვებით დაწყება ყოველთვის სასიამოვნოა, თუმც ისიცაა, რომ თურქებთან გაგვიჭირდა, რაც იმისბრალია, რომ გუნდი ჯერ სასურველ ფორმაში არაა. სეზონი ახალი დაწყებულია და ეს ბუნებრივიცაა.

**— შარშანდელი სტამბოლური ფინალი უკვე დაივიწყეთ?**

— არც კი ვიცი, რა ვთქვა. ძნელია, ისეთი თამაშის, თანაც ფინალის დავიწყება, როცა 3:0 იგებ და ბოლოს მაინც დამარცხებული რჩები... თუმცა სხვა რა გზა გვაქვს, ახალ სეზონში ახალ მიზნებზე ფიქრი და კონცენტრაცია გვმართებს.

**— კონკრეტულად „ფენერბაჰჩესთან“ თამაშზე რას იტყვი?**

— როგორც ვთქვი, სასურველ ფორმაში ჯერ კიდევ არ ვართ. ამიტომაც თამაში ოდნავ მოშვებულებმა დავიწყეთ. მერე, გოლი რომ გავიტანეთ, გამარჯვება ნაადრევად ვირწმუნეთ და ამანაც მოგვადუნა. „ფენერბაჰჩე“ საკმაოდ დალაგებული, კარგი გუნდი ყოფილა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და ეს ძალიან გვახარებს.

**— ბოლო ხანს „მილანი“ თამაშის მიწურულს გატანილი გოლებით მოგებას დაეჩვია...**

— ეს იმიტომ, რომ ბოლომდე ვიბრძვით, თამაში ხომ მსაჯის საფინალო სასტვენამდე გრძელდება. საკუთარ ძალებში დარწმუნებულები ვართ.

**— შენს თამაშზე რაღას იტყვი?**

— ვფიქრობ, ნორმალურად ვითამაშე.

**— ერთ ეპიზოდში გოლის გატანაც შეგეძლო...**

— ბურთი კარგად მომაჯდა მარცხენა ფეხზე და გემრიელადაც დავარტყი. საწყენია, მეკარემ ცხრიანიდან რომ მომიხსნა, მართლა ლამაზი გოლი გამომივიდოდა.

**— მომდევნო ტურში „შალკეს“ ხვდებით: კალაძე კობიაშვილის წინააღმდეგ...**

— ვფიქრობ, საინტერესო თამაში იქნება. რაც შეეხება „კობისთან“ დაპირისპირებას, ჩვენ, რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ, თუმც მოედანზე მეგობრობა არ მოსულა. ლევანი თავისი გუნდის წარმატებისთვის გაიღებს მაქსიმუმს, მე კი ჩემი გუნდისთვის დავიხარჯები.

**— E ჯგუფი შევაფასოთ: „მილანი“, „შალკე“, „პსვ ეინდჰოვენი“, „ფენერბაჰჩე“. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფს აშკარა, გამოკვეთილი ფავორიტი უკვე ჰყავს „მილანის“ სახით?**

— შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, ასეა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მით უმეტეს, დღეს. იფიქრებდა ვინმე, რომ „რეალი“ ლიონში 0:3 განადგურდებოდა?! რაღა შორს წავიდეთ, „ლივერპულთან“ ფინალი გაიხსენეთ, 3:0 ვიგებდით, გულში უკვე ჩემპიონთა თასს ვიხუტებდით და ამ დროს... რაც შეეხება გუნდების ლახასიათებას, მოკლედ ვიტყვი: ძალიან საინტერესო ჯგუფია. შეიძლება, ფავორიტებად ჩვენ ვითვლებით, მაგრამ ფაქტია, რომ იოლი გასეირნება არავისთან გვექნება. „ფენერბაჰჩემ“ უკვე დაამტკიცა, რომ მართლა კარგი გუნდია და წარმომადგენია, თურქეთში სტუმრად რა გველის. „ეინდჰოვენი“ წლეულს ეგეთის გუნდი არაა, რაც შარშან იყო, მაგრამ მას საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი მწვრთნელი და ბევრი ჩინებული ფეხბურთელიც შერჩა. „შალკეზე“ კი ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მისი თამაშები ჯერ არ გავირჩევია.

**— საქართველოს ეროვნული გუნდის კაპიტანს ნაკრების დანიურ ფიასკოზე არ გკითხო, არ იქნება, თუმც ისიცაა, 1:6-ს ახსნა სჭირდება?**

— მართლა ძალიან ცუდად ვითამაშეთ, თანაც თითქმის მთელი 80 წუთი კაცნაკლულები ვიყავით. დამალვას აზრი არა აქვს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში აშკარა პრობლემებია. საქართველოში კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტია. ოთხი-ხუთი კაცით კი ნაკრები ფონს ვერ გავა. გუნდში ბევრი გამოუცდელი ახალგაზრდაა და მათ დავაჟკაცებას დრო სჭირდება, დრო კი არ ითმენს.

**გიორგი გაჟაძიძე**

# 104 შემდეგი გაჩერება 105?

**1:6 წაგება** ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში წინ როგორ წაგვწევდა... ჰოდა, საქართველოს ნაკრებმა ერთი ადგილით დაიწია და ახლა 104-ეზეა. ასეა, უკვე მერამდენე თვეა, ასეულში შესვლა სანატრელი გაგვიხდა, ქართველები მშვენივრად მიიკვლევენ გზას დევიზით — „სულ ქვევით, ქვევით“.

რეიტინგ-მეთაური, ცხადია, კვლავ ბრაზილიაა და მას კარგა ხანი ვერავინ დაეწევა. ჰოლანდიამ კი არგენტინას გაუცვალა ადგილი და მეორე ადგილზე აინაცვლა — „ნარინჯისფერები“ რეიტინგში ასე მაღლა არასოდეს ყოფილან.

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | (1) | ბრაზილია | 839 | 14 | (18) | *დანია* | 721 |
| 2 | (3) | ჰოლანდია | 785 | 15 | (11) | გერმანია | 718 |
| 3 | (2) | არგენტინა | 778 | 16 | (17) | იაპონია | 716 |
| 4 | (4) | ჩეხეთი | 777 | 17 | (22) | პოლონეთი | 705 |
| 5 | (5) | მექსიკა | 771 | 18 | (15) | ირანი | 702 |
| 6 | (9) | საფრანგეთი | 770 | 19 | (21) | კოსტარიკა | 700 |
| 7 | (6) | აშშ | 768 | 20 | (18) | *საბერძნეთი* | 699 |
| 8 | (8) | ესპანეთი | 750 | 39 | (36) | *უკრაინა* | 636 |
| 9 | (9) | პორტუგალია | 743 | 86 | (87) | *ალბანეთი* | 514 |
| 10 | (15) | შვედეთი | 740 | 104 | (103) | საქართველო | 461 |
| 11 | (7) | ინგლისი | 738 | 146 | (148) | *ყაზახეთი* | 304 |
| 12 | (12) | *თურქეთი* | 731 | | | | |
| 13 | (13) | იტალია | 725 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# გვაზავას ისევ ზიმბრუ უნდა

## მას კი უნდა, მაგრამ ზიმბრუს უნდა?

**ვლადიკავკაზის** „ალანიადან“ დათხოვნილი ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავა კიშინიოვის „ზიმბრუში“ არ დაბრუნდებაო, გვამცნობს გაზეთი „მოლდოვსკი ფუტბოლი“.

მოგეხსენებათ, გვაზავა ოსურ კლუბში სწორედ „ზიმბრუდან“ გადავიდა 2003 წელს და ახლა, როცა ლევანი ტრანსფერზეა, ისევ კიშინიოვში დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ...

იმავე გაზეთში ლევან გვაზავას აგენტი ნიკოლაი პერნეუ ამბობს: „ალანიამ“ გვაზავა „ზიმბრუს“ უფასოდ შესთავაზა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა, არ გვჭირდებაო. ქართველით ერთხანს ჩემპიონი ტირასპოლის „შერიფიც“ დაინტერესდა, თუმც დნესტრისპირეთში გადასვლა თავად ფეხბურთელმა არ ისურვა, თუ ოდესმე მოლდოვაში დავბრუნდები, მხოლოდ „ზიმბრუშიო“.

ერთი სიტყვით, სად გააგრძელებს კარიერას ხობის „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელი, ჯერაც უცნობია.

**გიორგი გაჟაძიძე**



საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ მწუხარებას გამოთქვამს მსაჯ იოსებ აფციაურის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი“
აცხადებს 1989,90,91,92,93,94, 95,96,97,98,99 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.
მიღება ყოველდღე, დილის 10 საათიდან.
*მისამართი:* მაიაკოვსკის 4ა, მუშტაიდის ბაღის საბავშვო რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია.
*ტელეფონი:* 34-07-91, 35-25-99



შოთა არველაძე „ალკმაარის“ ღერძია

# შოთა-პრესი იუწყება

**დღეს** *სამარაში უეფას თასის პირველი ეტაპზე რუსული „კრილია სოვეტოვი“ ალკმაარის AZ-67-ს მასპინძლობს. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ალკმაარის“ თავკაცი ლუის ვან გაალი ჟურნალისტების წინაშე შოთა არველაძესთან ერთად წარდგა...*

— კლუბის ხელმძღვანელობამ მთხოვა, პრესკონფერენციაზე მწვრთნელთან ერთად შენც მიდიო. რუსმა ჟურნალისტებმა ზოგადი, ორდინარული შეკითხვები დამისვეს, განსაკუთრებული არაფერი. „კრილიაში“ მოთამაშე ომარ თეთრაძე კი ჯერ არ მინახავს.

— რუსებთან ჯერ არ მოგიგია არც ნაკრებში და არც კლუბში...

— ეგრეა, მაგრამ ამაზე სულაც არ ვფიქრობ. საერთო სიტუაცია კი სამარაში კარგია, აქ თბილად მიგვიღეს და გვითხრეს, 30-ათასიანი სტადიონი გაივსებაო.

— „კრილია“ რუსულ პრემიერლიგაში მე-13 ადგილზეა, არგავარდნისთვის იბრძვის — რა გითხრათ „კრილიასთან“ მატჩის წინ ვან გაალმა?

— მეტოქეს პირველი წუთებიდანვე უნდა ვაგრძნობინოთ, რომ აქ მხოლოდ მოსაგებად ჩამოვედით, არ უნდა ვაფიქრებინოთ, რომ ჩვენთან ტოლ-სწორად შეუძლიათ თამაში.

**დავით თავართქილაძე**

# გააჩერეთ კოვაჩი!

## ქართველ 19-წლამდელებს დღეს ფინალი აქვთ

**დღეს** კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილი 19-წლამდელთა ნაკრები სლოვენიას ხვდება და თუ მოიგებს, თავი ქუდში ექნება — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპს გადალახავს. ლიტვასთან 3:1 გამარჯვების შემდეგ ძალიან საეჭვოა, ქართველები ოთხგუნდა ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილს ვერ შესწვდნენ.

ჯგუფის მეორე მატჩში სლოვენიელმა 19-წლამდელებმა პირველ ტურში მასპინძელ ესტონეთს 4:2 აჯობეს და აქედან გამომდინარე, ქართველთა დღევანდელი მატჩი ფინალის ტოლფასია — ვინც მოიგებს, ალბათ, პირველ ადგილზეც გავა, ეს კი მეორე ეტაპის მასპინძლობის შანსს იძლევა. სლოვენიელთაგან განსაკუთრებით საშიში იქნება ესტონელთა კარში სამი გოლის გამტანი ფორვარდი მილკო კოვაჩი, ერთი ბურთი კი მასპინძლებს ველიმირ პოზეგმა შეუგდო.

ჟორჟიკაშვილის გუნდი სრული მობილიზებით ემზადება — საბედნიეროდ, არავითარი მიკროტრავმები არაა და მწვრთნელიც, ალბათ, არ შეცვლის გამარჯვებულ შემადგენლობას.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

# ანატოლი მილჩენკო გულმა შეაწუხა



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო ავად გახდა და თბილისის მე-9 საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც შევიტყვეთ, მილჩენკოს მსაჯ იოსებ აფციაურის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ძალიან უნერვიულია, პანაშვიდზე გულმა შეაწუხა და მაშინვე საავადმყოფოში წაუყვანიათ.

ამბობენ, დიდად საშიში არაფერია, ბატონ ანატოლის რამდენიმე დღეში გამოწერენო.

**ლუკა თალაკვაძე**

ნია ჯორჯაძის **გოლი**

# გაიოზ დარსაძის ზადი



აინშტაინი ირწმუნებოდა, რომ ინტელექტის მთელი მოღვაწეობის მიზანია, რაიმე სასწაული რაღაც შეცნობადი გახადოს, ჰემინგუეი ასკვნიდა, რომ არავინ არასოდეს არ კვდება, ხოლო მეთიუ კანინგემი ამბობს, რომ დრო ამარცხებს ყველაფერს, პირამიდები კი დროს.

რა თქმა უნდა, მეთიუს ამ ნათქვამში კონტექსტია მთავარი და არა პლაგიატობა. ალბათ, ასეც უნდა იყოს, მთავარი არსია და არა ის, სხვას როგორ მიბაძავ.

მეთიუ გვამცნობს: როცა ინგლისს მე-19 საუკუნეში გლადსტონი ან დიზრაელი მართავდნენ, ამ პრემიერმინისტრებს სულ ერთ ადგილას ეკიდათ, თუ ვინ იქნებოდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელი. ცხადია, ტონი ბლერიც არ შეწუხებულა იმაზე, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ახლა დევიდ დევისი მართავს.

მეთიუ გვიყვება, რომ დევისი ინგლისის ნაკრების პრესატაშე იყო და ასეთნაირად გაიკეთა კარიერა, ხოლო პრესატაშეობამდე მისი გაზეთში გამოქვეყნებული სტატია არავის ახსოვს, დევისი, უბრალოდ, მედია-კაცი გახლდათო.

მეთიუმ იცის თითქმის ყველა ქართველი ჟურნალისტის ოცნებაზეც — მიკროფონით თუ დიქტოფონით სირბილი პრესატაშეობით თუ არ დამთავრდა, ხელმოცარული ხარ, მაგრამ დევიდ დევისს ასეთი გზა არ გაუვლია, ალბათ ამიტომაც მიაღწია ამდენს.

მეთიუმ ისიც იცის, რომ საქართველოს ნაკრებს დროებითი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და რომ ამ მწვრთნელზე ერთი მითქმა-მოთქმაა.

— ეს ხომ დროებითია, დაველოდოთ, რა მოხდება. როცა ინგლისის ნაკრებში მწვრთნელი იცვლებოდა, დროებით მწვრთნელად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მწვრთნელთა საბჭოს ხელმძღვანელი ჰოვარდ უილკინსონი დგებოდა, ვის ხელშიც ნაკრებს გოლი არ აქვს გატანილი — რადგან ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ უილკინსონი გუნდში ორი დღითაა მისული, თორემ უილკინსონმა კანტონასდროინდელი „ლიდსი“ ინგლისში აჩემპიონა. ასე რომ, ნუ ინერვიულებთ, ნერვული უჯრედები არ აღდგება.

— მაგრამ, რა ვუყოთ აინშტაინის თეორიას ინტელექტის შესახებ?

— გლენ ჰოდლს უნდოდა, თავის ვითომ ინტელექტით ვითომ სასწაული წიგნი დაეწერა და დაწერა კიდეც წიგნი, რომელიც ლიტერატურულად დევიდ დევისმა გააფორმა. წიგნი 1998 წლის მსოფლიო თასის დღიურია, რამაც ინგლისის ნაკრების მაშინდელი ფეხბურთელები გაანაწყენა. ფეხბურთელებმა თქვეს, ეს წიგნი ჰოდლს მაშინ უნდა დაეწერა, როცა კარგა ხანი გავიდოდა და ის ჩვენი მწვრთნელი აღარ იქნებოდაო. დევისი კი ამ ამბიდან ვითომც არაფერი, ისე გაძვრა.

— ვითომ სასწაულები და ვითომ ინტელექტუალობა აქაც უყვართ.

— ჰო, ჰოდლს ქალთან მიჰყავდა ფეხბურთელები, აილონ დრუვერთან, ეს ქალი ექსტრასენსი, ვიღაც გრძნეული ვინმე იყო და ჰოდლს ალბათ ფსიქოლოგად უნდოდა თავისი ბიჭებისთვის. ჰოდლმა რომ მითხრა, დრუვერთან წადიო, გამიხარდა, რადგან დრუვერის მაგივრად ბრუვერი გავიგე — ასე ხუმრობდა გაზა.

მეთიუს აღარ დაუზუსტებია, არ უთქვამს, რომ ბრუვერი ლუდის მხარშველს ნიშნავს და არც ის, რომ ჰოდლს ერთხელ გაზამ BASTARD, ჩვენებურად ნაბიჭვარი უწოდა, მეთიუ ასეთებს ჩქმალავს.

ჩქმალვაზე მეთიუ დასძენს, რომ ინგლისის საფეხბურთო ოჯახის ამბები მოგვიანებით ხმაურდება, როცა ფეხბურთელი თუ მწვრთნელი ავტობიოგრაფიულ წიგნს დაწერს. ასეთი წიგნები ინგლისში ძალიან პოპულარულია.

ჩვენთან კი კულუარულად შეფერილი ამბებია პოპულარული, ჩვენებური ინტელექტი ხომ წერას, კითხვას და წიგნს ვერ გასწვდება, მაგრამ თუ ინგლისში ერთი წლის შემდეგ ხმაურდება შიდა სამზარეულოს ამბები, ჩვენთან ეს დღეების საქმეა.

დანიასთან წაგების შემდეგ გაიოზ დარსაძემ და ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა კრება გამართეს. ილაპარაკეს „ზესტაფონზე“, ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოძახება-არგამოძახებაზე და გაიოზმა ამდენი ველარ აიტანა, მოკლედ მოუჭრა თამამი სიტყვა ფეხბურთელებს - ნაკრების ახალ მწვრთნელსაც მე დავნიშნავ, ნაკრების ახალი მწვრთნელიც ჩემეულ შემადგენლობას გამოიძახებს, ნაკრების ახალი მწვრთნელიც ერთი ფორვარდით გათამაშებთ, ნაკრების ახალი მწვრთნელიც იმას გააკეთებს, რასაც მე ვეტყვი...

ყველაფერი ეს მეთიუსთან წამომცდა და ინგლისელმაც მითხრა, ნაკლი ყველა მწვრთნელს აქვს, არც ჰოდლი იყო უზადო, ჰოდლს სულაც განსაკუთრებული ზადი ჰქონდაო.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელებში ბოლო დროის პირველი მწვრთნელი ტერი ვენეიბლზია. ის თან ბიზნესმენობდა და ალბათ ეს თუ უშლიდა ხელს იმაში, რომ გადამწყვეტ მომენტში მისი გაწვრთნილი ინგლისი ვერ იგებდა, მაგრამ ვენეიბლზი უყვარდათ და უყვართ, ჰოდლი კი სკოლის მოსწავლეებივით ეპყრობოდა ფეხბურთელებს და ამიტომაც არის ახლა კარგა ხნის უმუშევარი.

არავინ არასოდეს არ კვდება — ფეხბურთი ინგლისში 150 წლისაა.



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი | ტური

## თურქები კაკამ უქულოდ დატოვა

**E ჯგუფი**

**მილანი 3:1 ფენერბაჰჩე**

1:0 კაკა (18), 1:1 ალექსი (63პ), 2:1 კაკა (86), 3:1 შევჩენკო (89)
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (ფოგელი 71), ამბროზინი, პირლო (სერჟინიო 71), კაკა, შევჩენკო, ვიერი (ჯილარდინო 78)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**ფენერბაჰჩე:** დემირელი, ლუსიანო, სერკანი, ტურაჩი, უმითი, მ. აურელიო, საპინი, დე სოუზა, აპია (არსლანი 53; ნობრე 90), თუნჯაი, ანელკა
**მწვრთნელი:** კრისტოფ დაუმი
**გაფრთხილება:** დემირელი
**მსაჯი:** მაიკ რაილი (ინგლისი)
34 619 მაყურებელი

**„მილანი“** რომ ბოლო წუთებზე გატანის დიდოსტატია, ვინმეო მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს. ერთი დუჟინი მატჩების გახსენება მაინც შეგვიძლია, როცა მილანელებმა სწორედ ბოლო წუთებზე დასცეს თავზარი მეტოქეს.

ასე მოხდა სამშაბათსაც, ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩშიც. არადა, ისე ჩანდა, თითქოს მილანელები ფრეზეც ყაბულს იყვნენ, მაგრამ კაკამ მოედნის შუაგულიდან დაიწყო, სამი მცველი ჩამოიშორა და მეკარე ვოლკან დემირელიც დაჯაბნა.

თამაშიც ამ 87-ე წუთზე გატანილმა გოლმა მოიგო, ანდრეი შევჩენკომ კი ორი წუთის მერე უბრალოდ საბოლოო წერტილი დასვა.

„მილანისთვის“ ეს პირველი სალიგო თამაში იყო იმ ავადმოსაგონარი ფინალის მერე და თან იაპ სტამის გარეშე მოუწიათ ბრძოლა. კუნთდაჭიმული ჰოლანდიელის არყოფნაში ცენტრალურ მცველად მალდინის ალესანდრო ნესტა შეუწყვილდა, კახა კალაძემ კი თავის ფლანგზე ითამაშა.



AFP მილანიდან

მილანი — ფენერბაჰჩე 3:1. კრისტიან ვიერის (მარჯვნივ) „მილანმა“ მძიმე ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება მაინც შეძლო

კრისტოფ დაუმს შეტევაში ფრანგი ნიკოლა ანელკა ჰყავდა, მასთან ერთად იტალიელთა შეწუხება ბრაზილიელ გამთამაშებელ ალეშს ევალებოდა, მაგრამ პირველ ტაიმში ამათზე უკეთ თუნჯაი ირჯებოდა.

თავიდან ვიერიმ და შევჩენკომ მოუსინჯეს კბილი თურქებს, რამაც სტუმრებს გამოცოცხლებისკენ უბიძგა და თუნჯაისა და აპიას ორჯერ ჰქონდათ ანელკას საგოლე პოზიციაზე გაყვანის მცდელობა.

ამასობაში „მილანმა“ ანგარიშიც გახსნა. კაკამ პირლოსგან პასი მიიღო, ბურთი გაისწორა და დაბალ კუთხეში დაარტყა.

პირველ ტაიმში გამორჩეული არაფერი მომხდარა, შესვენების მერე კი თამაში სტუმართა იერიშებით დაიწყო. ანელკამ რამდენჯერმე ააფორიაქა მობერებული მალდინი და საერთოდაც მილანელთა დაცვის ხაზი შენელებულად ირჯებოდა. ამ პერიოდში მილანელთა ერთადერთი მწვავე შეტევა კაფუს გარჯას მოჰყვა, რომელმაც ბურთი ცენტრში მოიხელთა და კარგა ხანს ათრია, სანამ შევჩენკოს არ გადააბარა, მაგრამ უკრაინელის დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

თურქთა იერიშები კი კვლავაც ანელკაზე იყო აწყობილი და ფრანგს გარჯაც დაუფასდა — მისი მორიგი შეჭრა საჯარიმოში ჯენარო გატუზომ მოცელვით აღკვეთა და პენალტი დაინიშნა. ალექსის დარტყმული ბურთი და მეკარე დიდა სხვადასხვა კუთხეებში გაფრინდნენ.

ბოლო წუთებზე მომხდარის თაობაზე კი თავში მოგახსენეთ.

**პსვ 1:0 შალკე**

1:0 ჰესელინკი (33)
**პსვ:** გომესი, ოიერი, ლუსიუსი, ადო, რაიციგიერი, კოკუ (ლემეი 82), სიმონსი, აფელაი, ფარფანი, ჰესელინკი (რობერტი 87), ბისლი
**მწვრთნელი:** გუუს ჰიდინკი
**შალკე:** როსტი, ბორდონი, რაფინია, კრსტაიჩი, ერნსტი (გ. ვარელა 79), პაულსენი, **კობიაშვილი**, ჰამიტ ალტინტოპი (ბაირამოვიჩი 87), ლინკოლნი სანდი (ლარსენი 72), კურანი
**მწვრთნელი:** რალფ რანგნიკი
**გაფრთხილება:** **კობიაშვილი**, სიმონსი, რაფინია, აფელაი
**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

**თამაში** ორი სიტყვით ასე შეგვიძლია დავახასიათოთ: „შალკემ“ მედგრად იბრძოლა, პსვ-მ კი დაამტკიცა, რომ წინა სეზონში ლიგის ნახევარფინალში [illegible] გასულა. ერთადერთი გოლი ჰოლანდიელებმა 33-ე წუთზე გაიტანეს. დასარკუს ბისლიმ კუთხური ჩააწოდა, იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა კი თავურით ბურთი შორ კუთხეში შააგდო.

შესვენებამდე მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ კარგი მომენტები და ანგარიშის გაორებაც შეეძლოთ, შესვენების მერე კი უპირატესობა გერმანელების მხარეს გადავიდა, თუმცა მეტოქის კარის დალაშქვრა ეგრეც ვერ მოახერხეს.

თამაში კარგა ხანს ზომიერ ტემპში მიმდინარეობდა. ჩანდა, რომ მეტოქენი ერთმანეთის შეცდომებზე უფრო იყვნენ დადარაჯებულნი. პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი კი მე-15 წუთზე შეიქმნა, როცა ტიმო ჰილდებრანდმა ფრანკ როსტისთვის თავზემოთ სცადა ბურთის გადაგდება.

მერე ნახსენები გოლი გავიდა, ტაიმის დასრულებამდე კი მასპინძლების ორი იერიში იყო დასამახსოვრებელი: ბისლის საჯარიმო დარტყმა და ფილიპ კოკუს რეიდი, რომელიც ბურთის ბადესთვის გარედან მორტყმით დასრულდა.

რაკილა, ყრუ დაცვაში ჯდომა გელზენკირხენელთათვის გაუმართლებელი ტაქტიკა იქნებოდა, კობიაშვილის გუნდმა მეორე ტაიმში იერიშებს უმატა. ერთ ეპიზოდში კევინ კურანი მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ეურელიო გომესმა იყოჩაღა. მერე ბრაზილიელმა გოლკიპერმა ალტინტოპსაც აუღო და პსვ-მ ევროსეზონში პირველი გამარჯვება მიითვალა.

**ირაკლი ნინიძე**

## მეფეთა მდაბიური დასაწყისი

**F ჯგუფი**

**ლიონი 3:0 რეალი**

1:0 კარეუ (21), 2:0 ჟუნინიო (26), 3:0 ვილტორდი (31)
*ჟუნინიომ ვერ გაიტანა პენალტი (42)*
**ლიონი:** კუპე, კრისი, კასაპა, რეველიერი, ბერთოდი, ტიაგო (ბ. პედრეტი 86), მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი (გოვუ 80), კარეუ (ფრედი 72)
**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე
**რეალი:** კასილიასი, ს. რამოსი, სალგადო, ელგერა, რობერტო კარლოსი, პ. გარსია, ბექემი, გრავესენი (გუტი 61), ბაპტისტა, რობინიო, რაული
**მწვრთნელი:** ვანდერლეი ლუშემბურგო
**გაფრთხილება:** სალგადო, ბერთოდი, პ. გარსია, დიარა, ბექემი
**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)
40 309 მაყურებელი

**მადრიდულ** გალაქტიკოსებისთვის 13 სექტემბრის საღამო ნამდვილად თარსი გამოდგა — ფრანგულმა „ლიონმა“ ვანდერლეი ლუშემბურგოს გრანდს საკუთარ „ჟერლანზე“ ჯოჯოხეთი მოუწყო და იონ კარეუს, ჟუნინიოსა და ვილტორდის გოლებით 3:0 დაამარცხა. აგერ უკვე მეორე სეზონია, „რეალი“ ჩემპიონთა ლიგაზე თავის ლაშქრობას ცხვირ-პირის დამტვრევით იწყებს. ალბათ გახსოვთ 2004-05 წლების გათამაშების სადებიუტო მატჩში „ბერნაბეუს“ ბიჭები ზემოთ ნახსენები ანგარიშით მაშინ „ლევერკუზენს“ ჩაბარდნენ... „ჟერლანის“ ჯახი კი გიჟური ტემპით დაიწყო. ფრანგთა მოიერიშეები იკეარ კასილიასსა და მის დაცვას პირველივე წუთიდან სახიფათოდ დაატყდნენ თავს. ნორვეგიელმა კარეუმ ერთბაშად რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ივან ელგერას დრული ჩარევა რომ არა, ფანობა გოლის გატანით ადრეულად გაიხარებდა. „ლიონის“ შეტევებს დევიდ ბექემი და რობერტო კარლოსი საპასუხო დარტყმებით გამოეხმარუნენ, თუმც მათი გასროლა არაზუსტი აღმოჩნდა. პირველი გოლი იონ კარეუმ 21-ე წუთზე შეაგდო — ჟუნინიოს დარტყმის მერე ჩრდილოელმა ბურთს თავით შეუცვალა მიმართულება და „ჟერლანის“ ტაბლოზეც, იქაურთა საბედნიეროდ, 1:0 ანთო ცოტა ხნის შემდეგ ჟუნინიომს კასილიასის კარი ყუმბარისებური საჯარიმო დარტყმის მერე დალაშქრა. „რეალი“ ფრანგთა ლაღობას სასოწარკვეთილი კონტრშეტევებით პასუხობდა, გოლი კი მაინც ესპანელთა კარში გავიდა — 31-ე წუთზე ანტონი რივეირას პასის მერე ვილტორდმა გალაქტიკოსები 3:0-ით დაამწუხრა. მერე იყო პენალტი და ჟუნინიომ კასილიასის ჯობნა ამჯერად ველარ შეძლო, ნაკრებისა და სამეფო გუნდის მეკარემ გამანადგურებელი მეოთხე გოლი უკუაგდო... მეორე ტაიმში მადრიდელები უფრო აქტიურობდნენ, თუმც „ლიონის“ უკანა ხაზი მედგარი გახლდათ.



AFP მილანიდან

ლიონი — რეალი 3:0. მადრიდელთა რბევა იონ კარეუმ (№9) დაიწყო

**ოლიმპიაკოსი 1:3 რუსენბორგი**

1:0 ლაგო (19 ს.კ.), 1:1 სკეილბრედი (42), 1:2 მავროგენიდისი (48 ს.კ.); 1:3 სტროფლორი (90)
**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, კოსტულასი, გეორგატოსი, ი. ტური (კაფესი 89), სტოლტიდისი, რივალდო (დანი 87), ბაბანგიდა (ოკასი 80), მიხალისი, კონსტანტინუ, ჯორჯევიჩი
**მწვრთნელი:** ტრონდ სოლიდი
**რუსენბორგი:** იონსენი, კვარმე, სკიელბერდი (რისეტი 85), სტრანდი, ლაგო, დორსინი, ბერგი, ვინსნესი (ბრაატენი 66), სოლი, ჰელსტადი (ფ. იონსენი 80), სტროფლორი
**მწვრთნელი:** პერ-იარ ჰანსენი
**გაფრთხილება:** იონსენი
**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია)
30 000 მაყურებელი

**„გეორგიოს** კარაისკაკისის“ ელინურმა არენამ სამშაბათს დრამატული მატჩი იხილა. მე-19 წუთზე „რუსენბორგის“ ალესანდრო ლაგომ პრედრაგ ჯორჯევიჩის გასროლს მერე საკუთარ კარში ჭყიდა ბურთი და „ოლიმპიაკოსის“ გულშემატკივრებმაც ფრიად გაიხარეს. თუმც ცუდი დებიუტის მიუხედავად, ვიკინგური გუნდი გონს მოვიდა და პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიშის გათანაბრება შეძლო. ტრადიციულად ელინები შინ დამაჯერებლად ბურთაობენ-ხოლმე, მაგრამ იმ დღეს „რუსენბორგის“ მებრძოლ ხასიათს ვერაღფერი მოუხერხეს. მეორე ტაიმის დასაწყისში უიღბლო მავროგენიდისმა მეტოქის შეტევის მერე თავის კარში გაიტანა, შემდეგ კი მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტროფლორმა იხეირა.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი I ტური

## გამოცდილება და იღბალი

**C ჯგუფი**

**ჩელსი 1:0 ანდერლეხტი**

1:0 ლამპარდი (19)

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ფ. პერეირა, კარვალიო, გალასი, მაკელელე, ესიენი (პ უტი 90), ლამპარდი, დაფი (ჯო კოული 77), დროგბა, რობოენი (შ. რაიტ-ფილიპსი 68)

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**ანდერლეხტი:** ჟიტკა, ჟუაში, ჟევლაკოვი (იესტეროვიჩი 81), ტინენი, დეშახტი, ბორე, ვანდეჰაიგე (დელორგე 90), დემანი, გოორი, სერჰატი (ვილჰელმსონი 70), მ. მპენზა

**მწვრთნელი:** ფრანკ ვერკაუტერნი

**გაფრთხილება:** აკინი, ვანდერჰაიგე, შ. რაიტ-ფილიპსი

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

29 575 მაყურებელი

**ზედიზედ** მესამე წელია, ლონდონის „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგას გამარჯვებით იწყებს. ჟოზე მაურინიუს გუნდი „ანდერლეხტთან" ტრადიციულად მძლავრი ვერ იყო, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას და სავსებით სამართლიანად იმარჯვა. წესით, ანგარიშში უფრო დიდი სხვაობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამავე დროს შეიძლებოდა, ბელგიელებს ქულა წაეღოთ...

მასპინძლები კინაღამ მე-4 წუთზევე დაწინაურდნენ, მაგრამ ბრიუსელელთა მეკარემ დანიელ ჟიტკამ ჯერ მიკაელ ესიენს აუღო, მერე კი დემიენ დაფს.

ცხადია, „ანდერლხეტმა" თამაში კონტრიერიშებზე ააგო და მალევე ჩინებული შანსიც მიეცა, მაგრამ სერჰატ აკინმა მბო მპენზას ბრწყინვალე პასი ვერ შეირგო და არაზუსტად დაარტყა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-19 წუთზე გავიდა, როდესაც რობენმა და ლამპარდმა მორიგი ჯარიმა გაითამაშეს, რასაც ამ უკანასკნელის ჩვეული ყუმბარისებური დარტყმა მოჰყვა.



ჩელსი — ანდერლეხტი 1:0. დემიენ დაფი (შუაში) ტრადიციულად სხარტი იყო

ლონდონელები ძირითადად რობენზე თამაშობდნენ, რომელიც თანაგუნდელებს ხშირი არაზუსტი პასებით აოცებდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიელზე ძირითადად სამი მცველი მოდიოდა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მის მოცელვასაც არ ერიდებოდნენ.

ასეა თუ ისე, „ჩელსიმ" მეორე გოლის გატანა ვერაფრით ვერ შეძლო, ხოლო სტუმრებმა ბოლო წუთებზე ძალები მოიკრიბეს და მეტოქის კართან ერთგვარი შტურმიც კი მოაწყვეს. ენტონი ვანდენ ბორეს დარტყმის შემდეგ, რომელიც ჯონ ტერის მოხვდა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჩეხის კარისკენ მიმავალი ბურთი ძელმა აისხლიტა. ცოტა ხანში კი საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

ვთქვათ ისიც, რომ ლონდონში ჩასული „ანდერლეხტის" ქომაგები არც ერთი წუთით არ გაჩერებულან და საყვარელ კლუბს მხურვალედ გულშემატკივრობდნენ.

„შედეგით კმაყოფილი ვარ, დამსახურებულად მოვიგეთ. ლამპარდი ძალიან კარგი ფეხბურთელია და მან ეს დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ბიჭებმა ფაქტობრივად ის გააკეთეს, რაც დავავალე. ბოლო წუთებში კი მეტოქეს შეტევის გარდა არაფერი დარჩენოდა, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავში დარწმუნებულები ვიყავით" — აღნიშნა „ჩელსის" თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ.

**ბეტისი 1:2 ლივერპული**

0:1 პონგოლე (2), 0:2 ლუის გარსია (14), 1:2 არსუ (51)

**ბეტისი:** დობლასი, ხუანიტო (ხისკო 46), მელი, დ. რივასი, ო. ლოპესი, არსუ (კაპი 72), ფერნანდო (დანი 36), მ. ასუნსაო, ხოაკინი, ვარელა, ოლივეირა

**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი

**ლივერპული:** რეინა, ჰიპია, კარაგერი, ხოსემი, ტრაორე, სისოკო, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, ზენდენი (რიისე 67), პონგოლე (ჯერარდი 74), კრუჩი (სისე 59)

**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი

**გაფრთხილება:** კარაგერი, რეინა

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

45 000 მაყურებელი

**წარუმატებელი** დებიუტი გამოუვიდა „ბეტისს". სევილიელები ბევრს ეცადნენ და ალბათ სულ ცოტა, ქულას მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ გამოცდილება არ ეყოთ. ეს გასაკვირი არც არის, რადგანაც ესპანელთა სასტარტო შემადგენლობიდან ჩემპიონთა ლიგაში აქამდე მხოლოდ მარკო ასუნსაოს ჰქონდა ნათამაშები.

ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულებს კი ნამდვილად გაუმართლათ. მათ წინ გასვლა შეხვედრის დებიუტშივე შეძლეს და მეტოქე შოკში ჩააგდეს. მე-2 წუთზე ჯიმი კარაგერის შორეული პასის შემდეგ სევილიელი მცველები აყლაყუდა პიტერ კრუჩისკენ დაიძრნენ, ხოლო ბურთი ეულად დარჩენილ სინამა პონგოლესთან აღმოჩნდა, რომელმაც მშვენიერი დარტყმით დალაშქრა დობლასის კარი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაფაელ ბენიტესმა ცოტა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა და წესით, მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს. აშკარად გაამართლა მოლოდინი პიტერ კრუჩმა, რომელიც ძალიან აქტიური გახლდათ და მეტოქის მცველების ყურადღებასაც იპყრობდა.

მერსისაიდელთა მეორე გოლი კრუჩი-ზენდენ-ლუის გარსიას მოკლე და ეფექტურ კომბინაციას მოჰყვა. ამის მერე „ლივერპული" შედარებით დამშვიდდა, ხოლო შესვენების შემდეგ სულაც ძალიან ულიმღამო იყო. მეორე ტაიმში სტუმრებმა დობლასი ოდენ ერთხელ შეაწუხეს.

აი, ხოსე რეინას კი გაცილებით მეტი საქმე ჰქონდა, მაგრამ ესპანელი გოლკიპერი მოწოდების სიმაღლეზე იყო და ბეტისელთა დარტყმებს მარჯვედ უმკლავდებოდა. მასპინძლებმა მართლაც ბევრი იწვალეს, მაგრამ არსუს გოლის გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

„ცოტა ვნერვიულობდით და პირველ 15 წუთში მეტოქეს ვუცდიდით, თუ რას იზამდა. ასეთ შემთხვევაში კი რაც ხდება, თავადაც იცით და ორი გოლიც გავუშვით არადა, მათ რეალურად სულ სამი შანსი ჰქონდათ და ორჯერ ისხერეს. მარცხი სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი თამაშით ბედნიერები უნდა ვიყოთ. ჩემი აზრით, თუ ასე გავაგრძელებთ, ბევრ ქულას დავაგროვებთ" — აღნიშნა „ბეტისის" მეკარემ ტონი დობლასმა.

დობლასის პათოსს მისი თანაგუნდელები და სევილიელთა თავკაცი ლორენს სერა ფერერიც იზიარებს. რაფაელ ბენიტესი კი შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი იყო. მან მოთამაშეები შეაქო და აღნიშნა, ჯერარდი სასტარტოში იმიტომ არ დავაყენე, რომ ტრავმის მერე ჯერ ფორმა არ აღუდგენია და დასვენების საშუალებაც მივეციო.

**კოკი კანდელაკი**

## თუ უსტვენ, დაუსტვინე!

**H ჯგუფი**

**პეტრჟალკა 0:1 ინტერი**

0:1 კრუზი (17)

**პეტრჟალკა:** კობეი, დებნარი, პეტრასი, დულიჩა, ურბანეკი (კონეჩნი 73), ვაშჩაკი, სტანო (ლ. გომეში 62), კოზაკი, ფოდრეკი, ჰარტიგი (მიკულიჩი 71), ჰალენარი

**მწვრთნელი:** ვლადიმერ ვეისი

**ინტერი:** სეზარი, სამუელი, კორდობა, მატერაცი, ვომე, კ. ძანეტი, ფიგუ (მარტინსი 81), ვერონი, სტანკოვიჩი, კრუზი (პიზარო 65), ადრიანო

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

**გაფრთხილება:** ვერონი, კ. ძანეტი, ვერონი

**გაძევება:** ვერონი (56)

**მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)

27 000 მაყურებელი

**რატომ** გააძევა ერიკ პულამ სებასტიან ვერონი? გაოცებული რობერტო მანჩინი ასე პასუხობს: „მსაჯი უცნაურად მოიქცა. საჯარიმოს შესრულებისას ვერონს ჰკითხა, „კედელის დაყენებამდე" მოიცდიო? არგენტინელმა უთხრა, არ მინდა, ისე დავარტყამო. სასტვენამდე დაარტყა და პოლამ კი გააძევა. შემიძლია, ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში მსაჯი აშკარად შეცდა".

ვერონს პირველი გაფრთხილება შესვენებამდე თამაშის დასაწყისშივე ჰქონდა მიღებული და ფრანგმა მსაჯმა მეორე ყვითელი „გააწითლა". „ინტერისთვის" ცუდი ამბავია, რადგან არგენტინელი ფეხბურთელი მომდევნო მატჩს შინ, „რეინჯერსთან" გამოტოვებს.

ხულიო რიკარდო კრუზმა „პალერმოსთან" 3:2 წაგებულ შეხვედრაში გატანილი ორი გოლით ძირითადი შემადგენლობის „ვიზა" მიიღო. მან „პეტრჟალკასთანაც" იყოჩაღა და ადრიანოს პასით გაიტანა.

„პალერმოსთან" მარცხის შემდეგ მანჩინიმ ცვლილებები გააკეთა. დაცვაში პიერ ვომე და ვალტერ სამუელი გამოჩნდნენ, ხოლო ნახევარმცველებიდან სასტარტოდ ადგილი მხოლოდ ხუან სებასტიან ვერონმა შეინარჩუნა.

„მთავარია, მოვიგეთ და ვაჩვენეთ, რომ პალერმოში რაც მოხდა, შემთხვევითობა იყო — თქვა „ინტერის" მწვრთნელმა — გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა შესვენებამდე მეორეც რომ გაგვეტანა, უფრო მშვიდად ვიქნებოდი. საკმაო საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ".

დაახლოებით 30-ე წუთამდე „ინტერის" მეკარე ჟულიო სეზარს გაზეთის საკითხავი დრო ჰქონდა, რადგან სტუმართა დაცვა ბურთს მეკარემდე არ უშვებდა.

მერე კი ურბანეკმა მოახერხა კარში დარტყმა და სეზარს „გაზეთი გააგდებინა". ამ მომენტიდან პირველი ტაიმის ბოლომდე „პეტრჟალკას" შეტევა ინტერელებმა ისევ დაამუხრუჭეს, კრუზს კი მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ ფეხის მოქნევა დააგვიანა და ბურთზე მეკარემ დაასწრო.

შესვენების შემდეგ ვერონის გაძევებამ მასპინძლები შეაგულიანა და ათკაცა მეტოქეს პეტრჟალკურად შეუტიეს, თუმც ვერაფერს გამორჩნენ. ერთი კია, თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ჟულიო სეზარს ჰალენარის თავით დარტყმული ბურთის მოგერიება მოუხდა.



ხუან სებასტიან ვერონი (მარჯვნივ) მსაჯის გადაწყვეტილებამ გააბრაზა

**რეინჯერსი 3:2 პორტუ**

1:0 ლოვენკრანდსი (35), 1:1 პეპე (47), 2:1 პსო (59), 2:2 პეპე (71), 3:2 კირიაკოსი 85

**რეინჯერსი:** ვატერეუსი, ჟ. როდრიგესი, რიკსენი, კირიაკოსი, ბერნარი, ნამუჩი (ნოვო 73), ფერგიუსონი, მიურეი, ლოვენკრანდსი (ბუფელი 56), პრსო, ჯეფერსი (ს. ტომპსონი 84)

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

**პორტუ:** ბაია, რ. კოშტა, პეპე, პ. ემანუელი (სონკაია 41), პეიშოტი, ლ. გონსალესი, დიეგო (კვარეშმა 65), ბარეტო, ალანი (ალმეიდა 65), შოკოტა, ჟორჟინიო

**მწვრთნელი:** კო ადრიანსე

**გაფრთხილება:** პრსო, ლ. გონსალესი, ალმეიდა

**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

48 599 მაყურებელი

0:3 „ჰიბერნიანთან", 1:1 „ფოლკირკთან"... „რეინჯერსს" „პორტუსთანაც" რომ ვერ მოეგო, ალექს მაკლიშის წითელი სიფათი სიბრაზისგან კიდევ უფრო გაწითლდებოდა, მაგრამ კირიაკოსის გოლმა მწვრთნელი მოაფერიანა.

„ეს გამარჯვება ჩემს კარიერაში ყველაზე სასიხარულოა — თქვა მაკლიშმა — რადგან ჩემპიონთა ლიგის მატჩში ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დავამარცხეთ. ნაღდად ჩვენი სალამო იყო. გუნდმა უმძიმეს ბრძოლაში ნებისყოფა გამოავლინა და მოგება დაიმსახურა".

კო ადრიანსე: „ვფიქრობ, სამი ქულის წაღება შეგვეძლო. უპირატესობაც გვქონდა და უკეთესი ფეხბურთიც ვითამაშეთ, მაგრამ „რეინჯერსს" ალბათ უფრო მეტად სწყუროდა გამარჯვება და ამიტომაც მოიგო. მარცხის მიუხედავად, ვიტყვი, რომ ოთხივე გუნდს ჯგუფიდან გასვლის თანაბარი შანსი აქვს".

„ფოლკირკთან" ფრით შეფუცხუნებულმა ალექს მაკლიშმა „პორტუსთან" მატჩისთვის სამი ფეხბურთელი შეცვალა. დაცვაში ოლივიე ბერნარი ითამაშა, რომლისთვისაც ეს შეხვედრა საბედისწერო გამოდგა. ფრენსის ჯეფერსი დიდო პრსოს შეტევაში შეეწყვილა, ხოლო ლოვენკრანდსი მარცხენა ფლანგზე გაამწესა.

„პორტუ" უფრო გააზრებულად უტევდა და ვატერეუსმა მეხუთე წუთამდე ბურთი ორჯერ გამოაძრო კარის ხაზიდან. შემდეგ რიკარდუ კოშტამ ვერ შეირგო კარგი პასი და უშნოდ მოიქნია ფეხი, ხოლო ალანის დარტყმული ბურთი მასპინძელთა მცველმა გამოიტანა. 30-ე წუთზე ჟორჟინიოს შეეძლო „პორტუს" დაწინაურება, თუმც ისევ ვატერეუსმა იოჩაღა.

სტუმრები უტევდნენ, ანგარიში კი „რეინჯერსმა" გახსნა — რიკსენის ჩაწოდებულს ლოვენკრანდსმა თავი შეაგება და 1:0.

რაკი „პორტუს" ფორვარდებს ფეხები ებლანდებოდათ, მეგოლეობა 22 წლის მცველმა პეპემ იკისრა მეორე ტაიმის დასაწყისში კუთხურიდან გამოქანებული ბურთი მცველმა თავური დარტყმით ვატერეუსის კარში შეაბრძანა.

„ჩაფრები" თორმეტ წუთში კვლავ დაწინაურდნენ. დადო პრსომ ლამის კარის ხაზიდან გაიტანა, მაგრამ პეპემ არ მოისვენა და ისევ გაათანაბრა. თამაში ფრისკენ მიექანებოდა, როცა კირიაკოსმა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი აჯაფსანდალით ისარგებლა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## უეფას თასი 2005-2006. პირველი ეტაპი. პირველი მატჩები. დღეს

# სპორტინგის სამჯერ ხსენება და შოთას კრილიები

ოსერი (საფრანგეთი) – ლევსკი (ბულგარეთი)
ჰამბურგი (გერმანია) – კოპენჰაგენი (დანია)
სლავია (ჩეხეთი) – კორკი (ირლანდია)
მეტალურგი (უკრაინა) – პაოკ (საბერძნეთი)
დინამო (რუმინეთი) – ევერტონი (ინგლისი)
მიუპა (ფინეთი) – გრასჰოპერი (შვეიცარია)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) – ბრაგა (პორტუგალია)
ბეერსხოტი (ბელგია) – მარსელი (საფრანგეთი)
ლევერკუზენი (გერმანია) – ცსკა (ბულგარეთი)
ცსკა (რუსეთი) – მიდტიულანდი (დანია)
სეტუბალი (პორტუგალია) – სამპდორია (იტალია)
სევილია (ესპანეთი) – მაინცი (გერმანია)
ბაზელი (შვეიცარია) – შიროკი ბრიეგი (ბოსნია)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) – რაპიდი (ავსტრია)
ჰიბერნიანი (შოტლანდია) – დნიპრო (უკრაინა)
რენი (საფრანგეთი) – ოსასუნა (ესპანეთი)
გიმარაეში (პორტუგალია) – ვისლა (პოლონეთი)
კრილია (რუსეთი) – ალკმაარი (ჰოლანდია)
შტუტგარტი (გერმანია) – დომჟალე (სლოვენია)
ვოლერენგა (ნორვეგია) – სტიაუა (რუმინეთი)
გრაცერი (ავსტრია) – სტრასბური (ჰოლანდია)
ლოკომოტივი (რუსეთი) – ბრანი (ნორვეგია)
პალერმო (იტალია) – ანართოსისი (კვიპროსი)
ჰალმშტადი (შვედეთი) – სპორტინგი (პორტუგალია)
მიდლსბრო (ინგლისი) – ქსანთი (საბერძნეთი)
მაკაბი (ისრაელი) – პარტიზანი (სერბეთი)
არისი (საბერძნეთი) – რომა (იტალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) – მალმიო (შვედეთი)
ლიტექსი (ბულგარეთი) – გენკი (ბელგია)
ბანიკი (ჩეხეთი) – ჰერენვენი (ჰოლანდია)
ჰერტა (გერმანია) – აპოელი (კვიპროსი)
ტეპლიცე (ჩეხეთი) – ესპანიოლი (ესპანეთი)
მონაკო (საფრანგეთი) – ტილბურგი (ჰოლანდია)
ვიკინგი (ნორვეგია) – აუსტრია (ავსტრია)
ბრონდბიუ (დანია) – ციურიხი (შვეიცარია)
ლანსი (საფრანგეთი) – გროცლინი (პოლონეთი)
ტრომსიო (ნორვეგია) – გალათასარაი (თურქეთი)
ბოლტონი (ინგლისი) – ლოკომოტივი (ბულგარეთი)
შახტარი (უკრაინა) – დებრეცენი (უნგრეთი)
ზენიტი (რუსეთი) – აეკ (საბერძნეთი)



შოთა არველაძე „კრილიასთან“ სათამაშოდ ემზადება

**ვერ არის** „მონაკოს“ საქმე მთლად კარგად. ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა და შესაბამისად გვარიანი თანხების გარეშე დარჩა. საფრანგეთის ჩემპიონატშიც ხომ ცუდად ლაყლაყებს და ასე უხმურად ხვდება უეფას თასის გათამაშებას, რომლის პირველ შეხვედრაშიც დღეს „ლუი მეორეზე“ ჰოლანდიურ „ტილბურგს“ უნდა ეთამაშოს. არადა, 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო.

მოკლედ, უეფას თასის 40 წყვილიდან ერთი „მონაკო“ — „ტილბურგი“ გახლავთ.

„ჩემი გუნდის დღევანდელი დონით და ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობით უკმაყოფილო გახლავართ, — განუცხადა ჟურნალისტებს საგრაფოელთა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა, — დიახ, საფრანგეთის ჩემპიონატის კვალობაზე დღეს „მონაკო“ ცუდი გუნდი არ არის, მაგრამ იმისათვის, რაც ჩვენ გვინდა ფინანსები და კარგი შედეგები გვაკლია“

კარგი შედეგები რომ აკლიათ, მონაკოელებს უპირველეს ყოვლისა ეროვნული ჩემპიონატის ცხრილზე ეტყობათ — 20 გუნდს შორის მე-12 პოზიცია უკავიათ და ბოლო ტურშიც წააგეს — „ლიონთან“ 1:2. შეგახსენებთ, რომ დიდიე დეშანის სამწყსო ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე „რეალ ბეტისთან“ დამარცხდა.

დეშანი განაგრძობს: „2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის შემდეგ მინდოდა გუნდი იმ დონეზე შემენარჩუნებინა, მაგრამ ბევრი ფეხბურთელი, მაგალითად საფრანგეთის ნაკრების წევრი ლუდოვიკ ჟიული სხვა გუნდში გადავიდა. გამოსავლის ძიებაში შევეცადეთ ახალი ფეხბურთელები მოგვეზიდა, ჯიბრილ სისესა და მილან ბაროშს მივმართეთ ჩვენთან გადმოსვლის წინადადებით, მაგრამ სამწუხაროდ მათ „მონაკოში“ თამაში არ ისურვეს“

და რას შვრება ამ დროს პირველი რუსული გუნდი რომელმაც ევროპული ტიტული მოიგო? საუბარი უეფას თასის მფლობელზე ცსკაზე გვაქვს — შეგახსენებთ, რომ გუნდმა, რომელთა ინტერნაციონალური შემადგენლობაც რუსის ჯარს ნაკლებად მოგაგონებთ, მაისში, ფინალში, ლისაბონის „სპორტინგს“ მოუგო. რას შვრება და ტიტულის დაცვას დანიური „მიდტიულანდის“ წინააღმდეგ ბრძოლით იწყებს.

რუსის ჯარი იქით იყოს და თუ გახსოვთ ფინალში დამარცხებული „სპორტინგი“ იმ ფინალში იმიტომ გავიდა, რომ ნახევარფინალის მეტად დარამატულ და სახალისო შეხვედრაში ჰოლანდიურ „ალკმაარს“ მოუგო. ხოლო ჰოლანდიური „ალკმაარი“ ის გუნდი გახლავთ, რომელმაც ამ ზაფხულს შოტლანდიური „რეინჯერსიდან“ შოთა არველაძე შეიძინა და თუ ოთხ თამაშში გატანილი ჩვიდმეტი გოლით ვიმსჯელებთ — რომელთაგან შვიდი შოთასია — სწორადაც მოიქცა. რაც შეეხება უეფას თასს და მის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა-ვერმოხვედრის საკითხს, ეს რუსეთის, კერძოდ სამარის „კრილია სოვეტოვის“ დამარცხება-ვერდამარცხებაზეა დამოკიდებული.

თასის 2002 წლის მფლობელი, კიდევ ერთი ჰოლანდიური გუნდი „ფეიენოორდი“ კამპანიას რუმინული მოტივებით იწყებს — ბუქარესტის „რაპიდს“ ხვდება, ოღონდ ჩაკეტილ და უმაყურებლო „დე კუიპზე“

რატომ უმაყურებლოზე? იმიტომ, რომ თებერვალში, ზემოთ უკვე ორჯერ ხსენებულ „სპორტინგთან“ შეხვედრაში როტერდამელმა ქომაგებმა წაუხულიგნეს და უეფამ დასაჯა. ისე კი „ფეიენოორდი“ ახალ სეზონში კარგი გუნდი ჩანს, მწვრთნელიც ახალი ჰყავს — ერვინ კუმანი — და შოთა არველაძის ყოჩაღი გუნდის, „ალკმაარისა“ არ იყოს, ამ წუთისთვის ქულათა მაქსიმუმით იწონებს თავს.

ახლა კი, აბა გამოიცანით, ვინ მიაჩნია ფავორიტად ინგლისურ საბუქმეიქერო კანტორას „უილიამ ჰილს“? ვინ და „სევილია“. არ ვიცით ეს ცსკა-ს როგორ აკადრეს, მაგრამ ფაქტია. და კიდევ, ფაქტია, რომ „სევილია“ გერმანულ „მაინცს“ დაშავებული არგენტინელი ვარსკვლავის ხავიერ სავიოლას გარეშე ეთამაშება. მოგეხსენებათ, „ბარსელონადან“ ნაქირავებმა სავიოლმ მუხლის მყესი დაიჭიმა და ერთი თვე ექიმებთან ივლის.

ბარსელონას ხსენებაზე... „ესპანიოლი“ ჩეხურ „ტეპლიცეს“ ეთამაშება. და როგორ ემზადება საამისოდ? როგორ და ასე: მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა ცნობილ ფეხბურთელს ივან დე ლა პენიას ეჩხუბება და ისიც არ აკლებს. ამან იმაზე პროფესიონალი არ არის, თავიდან მომშორდესო, ხოლო იმან ამაზე მატყუარა მწვრთნელი გვყავსო.

უეფას თასის ფინალი 10 მაისს ეინდჰოვენში გაიმართება.

**პაატა ძიდია** (ბექუნა ძედია?)

# ტევესს ბრაზილიაში მსაჯებიც აგინებენ




**კორინთიანსელი** კარლოს ტევესი მალე ბრაზილიის ჩემპიონატის მსაჯებს მოედანზე ჯიბეში პორტატული დიქტოფონებით სირბილს დააწყებინებს. არგენტინელმა კარლიტომ ცოტა ხნის წინ რომელიღაც გაზეთთან საუბარში თქვა, ბრაზილიელ არბიტრებს ვძულვარ, როცა რამე კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნება, მაგინებენ (!) და ათასგვარი ჟესტებით შეურაცხყოფას მაყენებენო. ტევესის ბრალდებას ბრაზილიის მსაჯთა სინდიკატის პრეზიდენტი სერჟიო კორეა გამოეხმაურა. „ყველანაირად ვეცდები, ფიფას მესვეურთაგან იმის უფლება მივიღო, რომ მსაჯებმა მოედანზე დიქტოფონები ატარონ. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიელი არბიტრები ისე არ „დახურდავდებიან“, ტევესს ან რომელიმე სხვა მოთამაშეს გინება და მაიმუნივით მანჭვა-გრეხა დაუწყონ. თუ არბიტროთა სიმართლის დასამტკიცებლად სტადიონზე დაყენებული უამრავი ტელეკამერა არ კმარა, კი, ბატონო, ჩართოს მსაჯმა დიქტოფონი და მატჩის მერე შევამოწმოთ, ვინ ილანძღება“ — აღნიშნა სეუ კორეამ ბრაზილიურ FOLHA DE SAO PAULO-სთან ინტერვიუში.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. VIII ტური

**ბრაიტონი 0:1 შეფილდი**
0:1 ჟიგილკა (25)

**კარდიფი 1:0 ლესტერი**
1:0 რიკეტსი (8)

**ჰალი 0:1 სტოკი**
0:1 გალაჰერი (74)

**იფსვიჩი 2:2 საუთჰემპტონი**
1:0 ნეილორი (36), 1:1 პაუელი (50), 2:1 გერვანი (61), 2:2 ვაიზი (69)

**პლიმუთი 1:1 კრიუ**
0:1 ე. ჯონსონი (8), 1:1 ს. ტეილორი (12)

**ძპრ 1:0 ლუტონი**
1:0 კუკი (58)

**უენსდი 1:0 ლიდსი**
1:0 იგლსი (9)

**უოტფორდი 2:1 ნორვიჩი**
1:0 კინგი (13), 2:0 იუნგი (25), 2:1 ლისბი (62)

**ვულვზი 1:2 მილუოლი**
1:0 კორტი (19), 1:1 რაიტი (27), 1:2 პოულსი (90)

**რედინგი 3:2 კრ. პალასი**
1:0 დოილი (26), 1:1 ა. ჯონსონი (29), 1:2 მორისონი (47), 2:2 ლიტა (68), 3:2 სონკო (87)

**პრესტონი 0:0 ბარნსლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 8 | 7 | 0 | 1 | 17:7 | 21 |
| რედინგი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:6 | 17 |
| უოტფორდი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:9 | 17 |
| ლუთონი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| საუთჰემპტონი | 8 | 3 | 4 | 1 | 10:7 | 13 |
| სტოკი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:11 | 13 |
| პრესტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 12 |
| ვულვზი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| ქუინზ პარკი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:9 | 12 |
| ლიდსი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| იფსვიჩი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:12 | 11 |
| კრ. პალასი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| დერბი | 7 | 2 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| ჰალი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:6 | 9 |
| ლესტერი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| კარდიფი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| კრიუ | 8 | 1 | 5 | 2 | 10:13 | 8 |
| ქოვენთრი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:9 | 7 |
| ბრაიტონი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:11 | 7 |
| ბარნსლი | 8 | 1 | 3 | 4 | 13:14 | 6 |
| ნორვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:10 | 6 |
| უენსდი | 7 | 1 | 3 | 3 | 3:6 | 6 |
| პლიმუთი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | 5 |
| მილუოლი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | 4 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XX ტური

**ფრედრიკსტადი 0:4 ვოლერენგა**

**ოლესუნდი 1:4 მიოლდე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 20 | 13 | 4 | 3 | 38:19 | 43 |
| სტარტი | 20 | 12 | 5 | 3 | 37:22 | 41 |
| ვიკინგი | 20 | 11 | 4 | 5 | 32:25 | 37 |
| ლილესტრიომი | 20 | 11 | 3 | 6 | 31:25 | 36 |
| ლინი | 20 | 9 | 7 | 4 | 28:18 | 34 |
| ბრანი | 20 | 8 | 5 | 7 | 36:23 | 29 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 8 | 3 | 9 | 21:35 | 27 |
| ფრედრიკსტადი | 20 | 6 | 5 | 9 | 27:34 | 23 |
| ჰამ კამი | 20 | 6 | 4 | 10 | 23:29 | 22 |
| როზენბორგი | 20 | 6 | 3 | 11 | 33:36 | 21 |
| მოლდე | 20 | 6 | 3 | 11 | 28:39 | 21 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 5 | 4 | 11 | 24:32 | 19 |
| ტრომსიო | 20 | 3 | 9 | 8 | 20:27 | 18 |
| ოლესუნდი | 20 | 3 | 7 | 10 | 18:32 | 16 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ოქროს ბურთაობა თამაშის მიწურულს




„ფენერბაჰჩეს" კარში გატანილი
მეორე გოლისთვის კაკამ ღმერთს მადლობა შესწირა

**ჩემპიონთა ლიგის** პირველ დღეს „მილანის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა კაკამ „ფენერბაჰჩეს" კარში ორი გოლი გაიტანა, რომელთაგან მეორე ისეთი გამოდგა, რომ ბევრს არც მეტი არც ნაკლები დიეგო მარადონა გაახსენდა.

„მარადონას საუკეთესო წლები რომ ჰქონდა, პატარა ვიყავი და მისი თამაში კარგად არ მახსოვს, მაგრამ კომპლიმენტი ძალიან მესიამოვნა — განაცხადა 23 წლის ბრაზილიელმა, — მარადონა დიდი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ისტორია შექმნა. რაც შეეხება გოლს, როდესაც მოწინააღმდეგის საჯარიმოში შევრბივარ, ცალი თვალი მეკარეზე მიჭირავს და გადაწყვეტილებეს ისე ვიღებ. ეს ჩემთვის ინსტინქტური მოქმედება სულაც არ გახლავთ, ამას ვარჯიშებზე ვამუშავებ"

კაკამ 87-ე წუთზე მართლაც საოცარი გოლი გაიტანა, დარტყმის წამის მოსაახლოვებლად ფაქტობრივად მთელი მოედანი გადაირბინა და ისე დაარღვია იმ მომენტისთვის ტაბლოზე აღნიშნული წონასწორობა.

„აშკარაა, წინ ხანგრძლივი და დამქანცველი სეზონი გველის, თუმცა მისთვის ფიზიკურად მზად ვარ. ჩვენი გუნდი ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მე მასში ჩემი ადგილი მაქვს და ძალიან მიხარია უფრო და უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომ ვხდები. მიხარია აგრეთვე მის წარმატებებში უშუალოდ გოლებით რომ შემაქვს წვლილი"

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშების ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაზე კაკა გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, სამ თვეში კი ევროპელ ჟურნალისტებს წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება მოუწევთ და ამბობენ „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" კანდიდატთა შორის ერთ-ერთი პირველი სწორედ კაკა არისო.

„კარიერაში ჯილდოებს თანდათანობით ვაგროვებ, „ოქროს ბურთზე" კი იმის თქმა შემიძლია, რომ მის მოსაპოვებლად „მილანთან" ან ბრაზილიის ნაკრებთან ერთად რაიმე სერიოზული ტიტულის მოგება მჭირდება. ვფიქრობ, ამ ჯილდოსთვის ბრძოლის ჩემეული შანსი სწორედ ამ გზაზე გადის"

კაკას დიდ დადებით თვაისებად მიმომხილველები იმასაც მიიჩნევენ, რომ მან ბრაზილიიდან ევროპაში გადაბარგებისთანავე აუღო „ბებერი კონტინენტის" ცხოვრებას ალღო და პირდაპირ ვარსკვლავად ჩაება ორომტრიალში.

„ბრაზილიიდან რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ ჩემი ამოცანა სერია A-სთან უსწრაფესი შერწყმა იქნებოდა. საბედნიეროდ მე ეს სრულიად გააზრებით შევძელი" — თქვა კაკამ.

**პაპუნა ძედია**




ტრადიციულად მხიარული რობერტო კარლოსი გაბრაზდა

# რობერტო მრისხანე

**„ლიონთან"** ჩემპიონთა ლიგაში დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ რეალელი რობერტო კარლოსი მედიის წარმომადგენლებს წაეკიდა. ბრაზილიელის აზრით, პრესა სამეფო თეთრების მატჩს მხოლოდ ერთი ნეგატიური მხრიდან უყურებს. „ჟურნალისტები მეკითხებიან, „რეალის" საფრანგეთში განადგურებაზე" კომენტარი გავაკეთო.

პირდაპირ გეტყვით, მატჩის ასე შეფასება დიდი სისულელეა. მიუხედავად სამბურთიანი სხვაობისა, ჩვენი გუნდი მეტოქეზე უარესი იყო. უბრალოდ, არ გაგვიმართლა. გაიხსენეთ, რა ხდებოდა მეორე ტაიმში „სტად ჟერლანზე" — რომ არა ფორტუნა, „რეალი" უხვად დაწინაურებულიყო. თქვენი განცხადებები „რეალის" განადგურების შესახებ უსინდისობაა და მეტი არაფერი" — უთხრა გაღიზიანებულმა ბრაზილიელმა ფრანგულ მედიას. რობერტო საამისოდ ლიგის პირველ მატჩში დამარცხებით ფრიად დამწუხრებული ჩანს, თუმც „რეალის" სამომავლო ფიესტების ეიმედება: „რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი რეზულტატია, ოღონდ საერთო ჯამში გუნდს ურიგოდ ბურთაობას ვერ დავაბრალებ. ჯერ მთელი ჩემპიონთა ლიგა წინაა. საფეხბურთო მსოფლიოსაც ჩვენს ძლიერებაში მალე დავარწმუნებთ"... კარლოსის „რეალი" ფრანგთა ლიდერ „ლიონთან" საჩემპიონთალიგო პირველ შეხვედრაში 3:0 დამარცხდა.

**ლადო ხომერიკი**

# ბალესტეროსის აგრესიული ბოდიში



სერხიო ბალესტეროსი

**„მალიორკას"** მოთამაშე სერხიო ბალესტეროსმა გუშინ კატალონიურ „სპორტთან" ინტერვიუში განაცხადა, „ბარსა-მალიორკას" თამაშის მსაჯმა მოედნიდან უსამართლოდ გამაძევა, ამიტომაც ნერვებაშლილმა თავი ველარ შევიკავე და მეტოქე კარლოს პუიოლსაც ხელი დავარტყიო. შეგახსენებთ, რომ „კამპ ნოუზე" გამართულ საკვირაო მატჩში კურძულელთა მცველმა ორი ყვითელი ბარათი აიკიდა და როცა მოედანს ტოვებდა, მასთან დასამშვიდებლად მისულ ბარსელონელ პუიოლს გვარიანად გაარტყა ხელი. „ვაღიარებ, რომ ცუდად მოვიქეცი, თუმც ჩემს სიტუაციაში რთული იყო, ჭკვიანურად მემოქმედა. პირველი ყვითელი ბარათი ხომ პრაქტიკულად არაფრის გამო „დავიმსახურე" — ამბობს ბალესტეროსი. სერხიოს ესპანურ პრიმერაში გამოუსწორებელი ხულიგანის სახელი აქვს გავარდნილი, რაც ძალიან აწუხებს: „აგრესიული მოთამეშ არ ვარ. უბრალოდ, როცა მსაჯი ან მეტოქე უსამართლოდ მექცევა, მეც ადეკვატურად ვპასუხობ. იმ შემთხვევაში კარლეს პუიოლი არაფერ შუაში არ იყო, თუმც სამომავლოდ ვურჩევ, წითელბარათმიღებულ მობურთალთან ახსნა-განმარტებისთვის არ მივიდეს..."

**ლადო ხომერიკი**

# ფეხბურთელს მატჩის დროს ესროლეს

**კვირას** არგენტინის ჩემპიონატში „სან მარტინისა" და „გოდოი კრუსის" ჯახი ერთი საათით ჩაიშალა. კარლოს ასკურა, მასპინძელთა ფეხბურთელი, მენდოსას არენაზე მომხდარი არეულობის შემდეგ ადგილობრივ ჰოსპიტალში ტყვიით მძიმედ დაჭრილი გააქანეს... ხსენებული დრამა არგენტინელთა მეორე ლიგაში გათამაშდა. როგორც ხედავთ, მშფოთვარე სამხრეთელთათვის უმაღლეს დივიზიონში ყოფნა სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რომ მოედანზე შეხლა-შემოხლა გააჩაღონ. ჩხუბის დაწყებამდე „სან მარტინი" 3:0 აგებდა. ასკურას გუნდის გააფთრებულმა ინჩასებმაც დამცავი ბადე გაარღვიეს და მოედანზე შეიჭრნენ. საქმეში პოლიცია ჩაერთო, ოღონდ სამართალდამცავთა სამიზნე ხულიგანთა მაგივრად უიღბლო კარლოსი შეიქნა. როცა ასკურა თავის ფანებს აწყნარებდა, მოულოდნელად პოლიციელთაგან ფილტვში ტყვია მიიღო.

„შვილი თამაშზე ჯანმრთელი და საღ-სალამათი გავუშვი, ახლა კი ჯერაც არ ვიცი, გადარჩება თუ არა. ეს ყველაფერი პოლიციელთა ველურობის ბრალია" — განაცხადა მედიასთან საუბარში ფანი დე ასკურამ, 28 წლის ფეხბურთელის დედამ.

საბედნიეროდ, იქაური ექიმების თქმით, კარლოსს სიკვდილი აღარ ემუქრება, თუმც ჭრილობა ოდნავ გვერდით რომ ყოფილიყო, ტრაგედიას თავიდან ვერ აიცილებდნენ... ის პოლიციელი კი, რომელმაც სანმარტინელს ესროლა, უკვე დაკავებულია. პრესის ცნობით, მარტინ ლოპესს კარგა ხნით ციხეში ყურყუტი ელოდება.

**ლადო ხომერიკი**

# გალასის ხელფასი




**საფრანგეთის** ნაკრების მცველმა უილიამ გალასმა „ჩელსის" კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივებაზე უარი უთხრა. მიზეზი: ხელფასი.

საქმე ასეა: 28 წლის გალასი „სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ორი წლით ახლა მოქმედი ხელშეკრულების მიხედვითაც უნდა დარჩეს. სამი თვის წინ „ჩელსის" ხელმძღვანელებმა მას უთხრეს, რომ ამ ზაფხულს ვერსად გაუშვებდნენ. სამაგიეროდ კი ახალ პირობებს შესთავაზებდნენ და ხელფასსაც გვარიანად გაუზრდიდნენ. საბოლოოდ, ახალი პირობები კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივება და გასამრჯელოს მართლაც მომატება გამოდგა, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ ხელფასის ზომაზე მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს.

რა მოხდება ახლა? მოსალოდნელია, რომ ლონდონელები გალასის პირობებს დათანხმდებიან, რადგან სრულიად შესაძლებელია ფრანგმა „ჩელსისგან" კონტრაქტით დარჩენილი პერიოდი გამოისყიდოს და ზაფხული რომ მოვა სხვა გუნდში გახვრეტილი გროშის ფასად წავიდეს. ეს „ჩელსის" ბუნებრივია არ აწყობს.

შეგახსენებთ, რომ „მარსელის" ყოფილი მცველი ლონდონის კლუბში 2001 წელს გადავიდა და მის წარმატებებში დიდ როლს თამაშობს

**პაპუნა ძედია**

# თამაშის ჩემი წესები

*დასაწყისი წინა ხუთშაბათს*

**არგენტინა-ინგლისის** მატჩმა მშვიდად ჩაიარა. არც მიგვრძნია, რომ იაპონიაში ვიყავი, რადგან ორივე გუნდის ფეხბურთელებს კარგად ვიცნობდი, არგენტინელთა უმეტესობას სერია A-დან, ხოლო ინგლისელებს-ევროთასებიდან. ესპანურ და ინგლისურ ენებს კარგად ვფლობ, არგენტინელებს კი იტალიურადაც ვესაუბრებოდი.

შესვენების შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა გაბრიელ ბატისტუტამ შემომჩივლა, მე-12 წუთზე არ უნდა გაგეფრთხილებინეო. „ბატიგოლს" ავუხსენი, რომ ყვითელი ბარათი ჩემი კანადელი თანაშემწის რეკომენდაციით ვუჩვენე.

„ალბათ ხვდები, რატომ გაგაფრთხილე" — ვუთხარი მე. ბატისტუტა ვერ მიხვდა და გაოცებულმა შემომხედა. „ის კანადის მოქალაქეა, მაგრამ სისხლით ჩილელია. არგენტინელებსა და ჩილელებს შორის როგორი ურთიერთობაა, შენც კარგად იცი" — მივუგე ბატისტუტას. „ახლა ყველაფერი გასაგებია" — მიპასუხა „ბატიგოლმა".

მეორე შეხვედრა მერვედფინალში ვიმსაჯე — იაპონია-თურქეთი. თურქებს ჩემი მსაჯობით მატჩი არასოდეს წაუგია და ამჯერადაც იმარჯვეს. თამაშის დამთავრებისთანავე მივხვდი, რას ნიშნავს „გამაყრუებელი სიჩუმე". მასპინძელთა გულშემატკივრები დადუმდნენ, ზოგი ფეხბურთელი ტიროდა. იაპონელთა კაპიტანი მიამოტოსთან მივედი და ვუთხარი: „თქვენ უნდა იამაყოთ ასეთი მიღწევით".

## ფინალის ანარეკლი

**ჩემი** ფინალური მატჩიდან მსურს, რომ მსაჯის დანახულ წვრილმანზე შევჩერდე, თუნდაც ედმილსონის გახეულ მაისურზე. მას სამოსის გამოცვლა ვთხოვე. მოედნის კიდესთან მივიდა, ახალი მიაწოდეს და დახეული გამოართვეს. ედმილსონი მაისურაში ჩაიხლართა ველარ იცვამდა. თანაგუნდელებიც მიეხმარნენ და როგორღაც მოახერხეს მაისურის ყელიდან მისი თავის ამოძვრენა. მაყურებელმაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკუღმა ეცვა. რამდენიმე წამის შემდეგ ფეხბურთელმა სამოსი გაისწორა და ტრიბუნაზე ტაშმა ისე იგრიალა, თითქოს ვინმეს ლამაზი გოლი გაეტანოს. ამ მომენტზე იმიტომ კი არ შევჩერდი, რომ კურიოზული გამოდგა, არამედ უფრო სერიოზული განზრახვით. წესის მიხედვით, ედმილსონი მოედნიდან უნდა გასულიყო და ახალი, სწორედ ჩაცმული მაისურით დაბრუნებულიყო. შემეძლო, გამეფრთხილებინა ან გამეძევებინა, მაგრამ ფინალი წახდებოდა. ხანდახან წესებზე თვალის დახუჭვაც საჭიროა, რათა კარგი თამაში არ გაფუჭდეს.

## სამზარეულო, ანუ არ მინდა ბუმბული

**ზოგიერთი** მსაჯისგან განსხვავებით კვირაობით, მატჩის წინ რომ არ ვჭამო, თამაშისას ცუდად გავხდები. შეხვედრის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე მაკარონს მივირთმევ პომიდვრით, ან პურსა და მურაბასაც სიამოვნებით გეახლებით. ნამატჩევს ძალების აღსადგენად ვახშმად კარგია ხილი და ლუდი, მერე კი ისევ მაკარონს ვჭამ, რადგან, როგორც ყველა იტალიელს, ძალიან მიყვარს.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მეგონა, რომ იაპონიაში ხარისხიანი მაკარონი არ ექნებოდათ, მაგრამ შევცდი.

ქათმის ხორცს ვერ ვიტან. არც კი მინდა ვიფიქრო იმ არსების ხორცის ჭამაზე, რომელსაც ბუმბული აქვს. არ ვიცი, რითაა გამოწვეული ასეთი შიში ფრინველების მიმართ, ვერაფრით ამიხსნია.

## გატეხილი თავი

**რამდენიმე** წლის წინ, 23 დეკემბერს „ნაპოლი" — „პარმას" მატჩი უნდა მემსაჯა. ბოლო რეისით გაფრენა გადავწყვიტე, რათა ნეაპოლში თამაშის წინადღეს, გვიან ღამით ჩავსულიყავი. ჩემთან ერთად დამხმარე მსაჯი მარჩელო ჯინი მოდიოდა.

ყოველთვის, როცა პიზიდან საღამოს რეისით წასვლა მიწევდა, „ფიუმიჩინოს" აეროპორტში ვახშმობდი. ეს ტრადიცია მარჩელო ჯინის გამო დავარღვიე. მან მთხოვა, აეროპორტში კი არა, ნეაპოლში ვივახშმოთო. მეც დავთანხმდი. რესტორან „ჩიროში" შევედით. სანამ პალტოს გავიხდიდი, ოფიციანტს ვუთხარი, რომ გვეჩქარებოდა და ტუალეტისკენ წავედი. შესვლისას კარის ჩარჩოს სიდაბლე ვერ შევამჩნიე და თავი დავკარი. დავკარი და ეგრევე დავეცი. შუბლზე თბილი სითხე ვიგრძენი, ხოლო რომ მოვისინჯე — სისხლი იყო. ვიჯექი, სისხლი კი იატაკს ეწვეთებოდა. საშველად ოფიციანტს ვუხმე, რომელმაც ყინული მოიტანა. მარჩელომაც მოირბინა და თქვა, საშიში არაფერიაო, ვილაცამ კი სასწრაფოს გამოძახება გადაწყვიტა, ჭრილობა საკმაოდ დიდია და გაკერვა დასჭირდებაო.

საბედნიეროდ, რესტორანში ცნობილი ქირურგი აღმოჩნდა. მან მაგიდა მიატოვა და შუბლი დამითვალიერა. გასაკერია, თქვა ექიმმა და საავადმყოფოში წასვლა მირჩია, რაც ძალიან არ მინდოდა. ვინმეს მატჩის წინადღეს ნეაპოლის საავადმყოფოში თავგატეხილი რომ ვენახე, უეჭველად ამბავი ატყდებოდა. ქირურგს ვთხოვე, ეგებ აქვე რამე მიშველოთ-მეთქი. რესტორნის პატრონმაც იგივე უთხრა და ექიმიც დაგვთანხმდა. ერთ-ერთ მაგიდაზე დამაწვინა, ექვსი ნაკერი დამადო და ზედ კანის ფერი პლასტირი ისე დამაკრა, რომ მეორე დღეს ვერავინ შეამჩნია.

## სიდედრის გაღვიძებული

**არ ვიცი** შეგნებულად თუ უნებლიედ, მაგრამ ჩემი ცოლი მეორე შვილის დაბადების თარიღის გამოთვლაში შეცდა. ბავშვის გაჩენას აპრილის დასაწყისში ველოდებოდით. მეუღლესთან ყოფნა მსურდა და ამიტომ ბელგიაში 18-წლამდელთა ნაკრების ტურნირზე მსაჯობაც ვიუარე, მერე კი აპრილის პირველ რიცხვებში ჩემპიონატის ორი მატჩიც ავიცილე. ბავშვი იგვიანებდა და დათქმულ ვადას რომ გადააცილა, „კალიარი" — „პადოვას" მატჩის მსაჯობა ვითხოვე.

სარდინიაზე გამგზავრებამდე მე და ჩემმა მეუღლემ ექიმს მივაკითხეთ, რომელმაც მითხრა: „შეგიძლიათ, ოთხშაბათამდე მშვიდად იყოთ და თამაშზეც გაემგზავროთ".

კალიარიში შაბათს ჩავედი. ოთხშაბათამდე კიდევ სამი დღე იყო, მაგრამ საღამოს მაინც დავრეკე სახლში და მიპასუხეს, რომ ყველაფერი რიგზეა. კვირა დილით, რვის ნახევარზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა და სიდედრმა მეორე გოგონას გაჩენა მომილოცა. აი, ასე ავცდი შვილის დაბადებას.

## ინტერი-იუვენტუსი

1997 **წელს** „ინტერი" — „იუვენტუსის" მატჩი მანდეს. ორივე ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ვიცოდი, რომ ძალიან დაძაბული თამაში იქნებოდა. როცა „სან სირო" გადაჭედილია, მსაჯობა ერთიორად რთულდება.

თამაში დაიწყო და მერვე წუთზე ასეთი რამე მოხდა: ტურინელი მონტერო და მილანელი სამორანო „იუვეს" საჯარიმოსთან ბურთისთვის ახტნენ, რომელიც „ინტერის" ფორვარდ განცს მიუვიდა. მომეჩვენა, რომ იგი ოფსაიდში იყო და გვერდით მსაჯს გავხედე, მან კი მანიშნა, ყველაფერი რიგზეაო. ცნობილია, რომ თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრა უმრავლეს შემთხვევაში ლაინსმენის საქმეა, რადგან მომენტი მან ჩემზე უკეთ დაინახა, ვენდე. პერუციმ განცის დარტყმული მოიგერია, მაგრამ ფორვარდმა მეორე ჯერზე გაიტანა. გოლი ჩაითვალა, მილანელები ხარობდნენ. „იუვეს" მოთამაშეები კი აპროტესტებდნენ. გვერდით ხაზზე მდგარი კოლეგა ტურინელების რისხვისგან უნდა დამეცვა. მივუახლოვდი და ჩირო ფერარას გამოყვანა რომ ვცადე, გავიგონე, როგორ უთხრა ჩემმა კოლეგამ ფერარას: „ოფსაიდი იყო, მაგრამ განცს ბურთი მონტეროსგან მიუვიდა".

წესის თანახმად, ასეთ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობა არ ითვლება, რადგან ფეხბურთელმა ბურთი მეტოქისგან მიიღო, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ განცს ბურთი მონტეროს კი არა სამორანოს თავისგან მიუვიდა. წამებში უნდა გამერკვია, რა მოხდა და გვერდით მსაჯს ვკითხე: „განცი ოფსაიდში იყო?". „დიახ — მიპასუხა მან — ბურთი კი მონტეროსგან მიიღო".

ოფსაიდზე ვერ შევედავებოდი, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ განცმა სამორანოს პასით გაიტანა. ამიტომ გოლი უნდა გამეუქმებინა. წესის მიხედვით, მსაჯს შეუძლია გადაწყვეტილების შეცვლა, სანამ თამაში განახლდება. ასეც მოვიქეცი, წარმოიდგინეთ, როგორია მიხვიდე გუნდის კაპიტანთან, გახარებულ მწვრთნელთან და უთხრა, რომ გოლი არ ითვლება. ჯუზეპე ბერგომი მოვიხმე და ავუხსენი: „ძალიან გეწყინება და გაგიკვირდება, მაგრამ გოლს ვერ ჩავთვლი, რადგან განცი ოფსაიდში იყო".

შემდეგ „ინტერის" მწვრთნელთან, როი ჰოჯსონთან მივედი, ჩავიხედე და იგივე გავუმეორე. კოლინას ფოტომ მთელი მსოფლიო შემოიარა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჰოჯსონი ჯენტლმენივით მოიქცა, მომისმინა და მიპასუხა: „მართალი ბრძანდებით".

*გაგრძელება შემდეგ ხუთშაბათს*






როი ჰოჯსონი



პიერლუიჯი კოლინაზე
მრავალი სახალისო კარიკატურა არსებობს

# წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 2 | ჩარლტონი-ჩელსი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 18:00 | 3 | ფულემი-ვესტ ჰემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 20:15 | 6 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 7 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 17:00 | 8 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 18:00 | 9 | უიგანი-მიდლსბრო | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 10 | სიტი-ბოლტონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 11 | არსენალი-ევერტონი | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**16 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 24 | პრესტონი-სტოკი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 25 | ჰალი-ლუტონი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 18:00 | 26 | უენსდი-მილუოლი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 27 | ქპრ-ლიდსი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 28 | ბრაიტონი-კოვენტრი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 29 | უოტფორდი-შეფილდი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 30 | პლიმუთი-ბარნლი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 31 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 18:00 | 32 | კარდიფი-კრისტალ პალასი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 33 | რედინგი-კრიუ | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 34 | იფსვიჩი-ნორვიჩი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 35 | დერბი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |

### ინგლისი. I ლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 37 | ბორნმუთი-სუინდონი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 18:00 | 38 | დონკასტერი-სკანთორპი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 18:00 | 39 | საუთენდი-ტრანმერი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 40 | ბრედფორდი-იოვილი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 41 | ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 42 | უოლსოლი-ჩესტერფილდი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 43 | ბრისტოლი-ბლეკპული | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 44 | დონსი-ბარნსლი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 18:00 | 45 | პორტ ვეილი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 46 | ჯილინჰემი-ოლდჰემი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 47 | ნოტინჰემი-როტერჰემი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 48 | ჰარტლპული-სუონსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

### ინგლისი. II ლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 52 | ბერი-ბოსტონი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 53 | გრიმსბი-ტორკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 54 | რაშდენი-სტოკპორტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 55 | დარლინგტონი-ოქსფორდი | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 18:00 | 56 | შრუსბერი-ნოტსი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 57 | როჩდეილი-მენსფილდი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 18:00 | 58 | უიკომბი-ბარნეტი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 59 | ჩესტერი-როვერსი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 60 | ჩელტენემი-კარლაილი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 61 | ლინკოლნი-პიტერბორო | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 62 | მაკლსფილდი-ნორთჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 63 | ლეიტონი-რექსემი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |

### ინგლისი. კონფერენსი

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 64 | კონვი-სკარბორო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 65 | ალდერშოტი-სტივენეჯი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 66 | კემბრიჯი-უოკინგი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 67 | ტემუორთი-გრეისი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 18:00 | 68 | აკრინგტონი-ქროული | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 69 | დაგ ენდ რედი-ბარტონი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 18:00 | 70 | კიდერმინსტერი-ფორესტ გრინი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 18:00 | 71 | საუთპორტი-ექსეტერი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 18:00 | 72 | გრეივსენდი-ჰალიფაქსი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 18:00 | 73 | იორკი-ალტრინჰემი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 18:00 | 74 | ჰერეფორდი-მორიკემბი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 75 | დანფერმლაინი-აბერდინი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 18:00 | 76 | მაზერველი-ფოლკირკი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 77 | ინვერნესი-ჰარტსი | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 18:00 | 78 | დანდი იუნაიტედი-ლივინგსტონი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 79 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.06 | 1.08 | 3.44 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 80 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 5.50 | 3.60 | 1.50 | 2.17 | 1.17 | 1.05 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 81 | სტრანრარი-ქუინი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 82 | სტ.მირენი-კლაიდი | 1.70 | 3.50 | 3.90 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| 18:00 | 83 | სტ.ჯონსტონი-დანდი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 84 | ჰამილტონი-ეარდრი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 18:00 | 85 | როსი-ბრეჩინი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 86 | რეითი-ეარი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 87 | მორტონი-ალოა | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 18:00 | 88 | ფორფარი-დამბარტონი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 18:00 | 89 | გრეტნა-პარტიკი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.03 | 1.14 | 2.24 |
| 18:00 | 90 | სტირლინგი-პიტერჰედი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 91 | კოუდენბიტი-მონტროუზი | 2.10 | 3.40 | 2.80 | 1.29 | 1.20 | 1.53 |
| 18:00 | 92 | სტენჰაუსმუირი-ისტ ფაიფი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 18:00 | 93 | ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 18:00 | 94 | ბერვიკი-არბროთი | 1.80 | 3.50 | 3.60 | 1.18 | 1.20 | 1.77 |
| 18:00 | 95 | ელგინი-ალბიონი | 2.25 | 3.50 | 2.55 | 1.36 | 1.19 | 1.47 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 96 | მაინცი-შტუტგარტი | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 17:30 | 97 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 2.20 | 3.30 | 3.00 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 98 | ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| 17:30 | 99 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 17:30 | 100 | ვერდერი-დორტმუნდი | 1.60 | 3.60 | 5.10 | 1.10 | 1.21 | 2.11 |
| 17:30 | 101 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.30 | 4.60 | 8.10 | 1.01 | 1.12 | 2.93 |
| 17:30 | 102 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1.40 | 4.10 | 7.30 | 1.04 | 1.17 | 2.62 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 103 | დუისბურგი-ლევერკუზენი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 19:30 | 104 | შალკე-ჰერტა | 1.80 | 3.60 | 3.85 | 1.20 | 1.22 | 1.86 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 133 | გრაცერი-პაშინგი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:30 | 134 | მატერსბურგი-ტიროლი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:30 | 135 | რიდი-შტურმი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 20:30 | 136 | რაპიდი-ადმირა | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 20:30 | 137 | ზალცბურგი-ავსტრია | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |

### ავსტრია. I დივიზიონი

**16 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 138 | კაფენბერგი-ლინცერი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 139 | ავსტრია(ლ)-ლეობენი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 21:00 | 140 | კუფშტაინი-ალტახი | 3.30 | 3.40 | 1.80 | 1.67 | 1.16 | 1.17 |
| 21:00 | 141 | გრატკორნი-ავსტრია(მ) | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 21:00 | 142 | კერნტენი-შვანენშტადტი | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |

### იტალია. სერია A

**17 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 149 | ინტერი-ლეჩე | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 20:00 | 150 | პარმა-ემპოლი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 143 | კალიარი-მესინა | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 144 | ლაციო-ტრევიზო | 1.60 | 3.20 | 6.50 | 1.06 | 1.28 | 2.14 |
| 17:00 | 145 | ფიორენტინა-უდინეზე | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 17:00 | 146 | სიენა-პალერმო | 2.80 | 2.90 | 2.55 | 1.42 | 1.33 | 1.35 |
| 22:30 | 147 | ლივორნო-რომა | 2.95 | 3.10 | 2.30 | 1.51 | 1.29 | 1.32 |
| 17:00 | 148 | სამპდორია-მილანი | 4.50 | 3.10 | 1.80 | 1.83 | 1.28 | 1.13 |
| 17:00 | 151 | იუვენტუსი-ასკოლი | 1.15 | 5.80 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.18 |
| 17:00 | 152 | რეჯინა-კიევო | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 190 | მალიორკა-სოსიედადი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 195 | ვალენსია-დეპორტივო | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 189 | ოსასუნა-სევილია | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 191 | კადისი-ვილიარეალი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 20:00 | 192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.80 | 3.40 | 4.10 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 19:00 | 193 | სელტა-რასინგი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 21:00 | 194 | ესპანიოლი-რეალი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:00 | 196 | ბილბაო-მალაგა | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 19:00 | 197 | ალავესი-ხეტაფე | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 23:00 | 198 | ატლეტიკო-ბარსელონა | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 203 | კასტელონი-ჰერკულესი | 2.25 | 2.90 | 2.90 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| 20:30 | 205 | რეალი(ბ)-ტენერიფე | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:30 | 206 | ალმერია-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 199 | მალაგა ბ-სპორტინგი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 20:00 | 200 | ფეროლი-ლეიდა | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 20:00 | 201 | ტარაგონა-ეიბარი | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 23:00 | 202 | მურსია-ლევანტე | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 14:00 | 204 | უელვა-ვალიადოლიდი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 207 | ნუმანსია-სერესი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 20:00 | 208 | ელჩე-ეხიდო | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 21:00 | 209 | ალბასეტე-ლორკა | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 210 | ბორდო-ლიონი | 3.10 | 3.00 | 2.20 | 1.52 | 1.28 | 1.26 |
| 22:00 | 211 | სტრასბური-ლანსი | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 22:00 | 212 | ოსერი-აიაჩო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 213 | ლე მანი-სოშო | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 214 | ნანტი-ტულუზი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 215 | მარსელი-ტრუა | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 216 | ლილი-ნიცა | 1.85 | 3.10 | 4.10 | 1.15 | 1.27 | 1.76 |
| 22:00 | 217 | ნანსი-მეცი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 218 | მონაკო-რენი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 22:45 | 219 | სტ.ეტიენი-პსჟ | 2.60 | 2.90 | 2.65 | 1.37 | 1.31 | 1.38 |

**ბელგია**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 231 | მუსკრონი-გენტი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 232 | ბრიუსელი-ანდერლეხტი | 5.00 | 3.60 | 1.55 | 2.09 | 1.18 | 1.08 |
| 22:00 | 233 | ლიერსი-შარლერუა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 22:00 | 234 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 2.20 | 3.40 | 2.75 | 1.33 | 1.22 | 1.52 |
| 22:00 | 235 | სერკლი-სტანდარდი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 236 | ბევერენი-ბრიუგე | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 22:00 | 237 | ბეერსხოტი-ლევენი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:00 | 238 | რუსელარე-ვესტერლო | 2.35 | 3.40 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| 22:00 | 239 | გენკი-ვარეგემი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |

**პორტუგალია**
**სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 278 | ნავალი-ბოავიშტა | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 271 | სეტუბალი-ჟილ ვისენტე | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:15 | 272 | ბენფიკა-ლეირია | 1.30 | 4.60 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 2.98 |
| 23:45 | 273 | ბრაგა-პორტუ | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 19:00 | 274 | მარიტიმუ-პენაფიელი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 276 | რიუ ავე-ამადორა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 277 | ფერეირა-აკადემიკა | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 270 | ბელენენსეში-გიმარაეში | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 23:45 | 275 | ნასიონალი-სპორტინგი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |

**რუსეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 305 | მოსკოვი-ტერეკი | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| 15:00 | 306 | სპარტაკი-ტომსკი | 1.25 | 5.30 | 8.00 | 1.01 | 1.08 | 3.18 |
| 15:00 | 307 | ამკარი-დინამო | 2.90 | 2.90 | 2.30 | 1.45 | 1.28 | 1.28 |
| 15:00 | 308 | რუბინი-ალანია | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 309 | ტორპედო-ზენიტი | 2.60 | 2.80 | 2.55 | 1.34 | 1.28 | 1.33 |
| 15:00 | 310 | შინიკი-კრილია | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 15:00 | 311 | როსტოვი-ლოკომოტივი | 3.80 | 3.00 | 1.90 | 1.67 | 1.26 | 1.16 |
| 15:00 | 312 | სატურნი-ცსკა | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 330 | სლავია-ზლინი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 331 | ბანიკი-ლიბერეცი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 22:00 | 332 | სლოვაცკო-სპარტა | 3.60 | 3.10 | 1.90 | 1.66 | 1.24 | 1.17 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 333 | ბლშანი-ბრნო | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 19:00 | 334 | იაბლონეცი-პრშიბრამი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 335 | ტეპლიცე-პლზენი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 19:00 | 336 | სიგმა-ბოლესლავი | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 19:00 | 337 | იპლავა-მოსტი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |

**დანია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 362 | ორჰუსი-ოლბორგი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 363 | ოდენსე-სილკებორგი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 17:00 | 364 | სონდერიისკე-ესბიერგი | 2.70 | 3.40 | 2.30 | 1.50 | 1.24 | 1.37 |
| 17:00 | 365 | ნორდსიელანდი-ჰორსენსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 366 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 21:00 | 367 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **17 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 378 | მოლდე-რუსენბორგი | 3.00 | 3.50 | 2.10 | 1.61 | 1.23 | 1.31 |
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 379 | ალესუნდი-ბოდიო გლიმტი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 380 | ოდ გრენლანდი-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 381 | ჰამარი-ლინი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 20:00 | 382 | ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 1.95 | 3.50 | 3.30 | 1.25 | 1.22 | 1.69 |
| 22:15 | 383 | ვოლერენგა-ლილესტრიომი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 384 | ბრანი-სტარტი | 2.15 | 3.40 | 3.00 | 1.31 | 1.25 | 1.59 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 399 | ასირისკა-კალმარი | 3.80 | 3.50 | 1.80 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| 19:00 | 400 | გეფლე-იორგრიტე | 2.45 | 3.30 | 2.55 | 1.40 | 1.24 | 1.43 |
| | | **19 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 401 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 21:00 | 402 | გიოტებორგი-იურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 403 | ჰამარბი-სუნდსვალი | 1.50 | 3.80 | 5.80 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 21:00 | 404 | ლანდსკრონა-ჰეკენი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |

**უეფას თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 523 | შტუტგარტი-დომჟალე | 1.12 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.33 |
| 19:00 | 524 | ცსკა-მიდტიულანდი | 1.20 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.24 |
| 18:00 | 525 | კრილია-ალკმაარი | 4.30 | 3.50 | 1.65 | 1.92 | 1.19 | 1.12 |
| 19:00 | 526 | ზენიტი-აეკ | 1.60 | 3.50 | 4.30 | 1.09 | 1.16 | 1.92 |
| 22:45 | 527 | ჰალმსტადი-სპორტინგი | 3.60 | 3.30 | 1.80 | 1.72 | 1.20 | 1.16 |
| 20:00 | 528 | სეტუბალი-სამპდორია | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| 20:00 | 529 | შახტარი-დებრეცენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 20:15 | 530 | ლევერკუზენი-ცსკა(ბულ) | 1.25 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.89 |
| 20:30 | 531 | ტეპლიცე-ესპანიოლი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:30 | 532 | ლოტექსი-გენკი | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| 20:45 | 533 | ვიკინგი-აუსტრია | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 534 | ბრანი-ლოკომოტივი(რუს) | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| 21:00 | 535 | რენი-ოსასუნა | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 21:00 | 536 | ბეშიქთაში-მალმიო | 1.35 | 3.70 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.52 |
| 21:00 | 537 | ფეიენოორდი-რაპიდი(ბ) | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 21:30 | 538 | ბაზელი-შიროკი ბრიეგი | 1.20 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.21 |
| 20:30 | 539 | მაკაბი(ფთ)-პარტიზანი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 21:30 | 540 | პაოკ-მეტალურგი(დ) | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 21:30 | 541 | გრასჰოპერი-მიუპა | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 21:30 | 542 | ვოლერენგა-სტიაუა | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 543 | აპოელი-ჰერტა | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 22:00 | 544 | სლავია-კორკი | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 22:00 | 545 | ლანსი-გროცლინი | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 22:15 | 546 | ბრიონდბიუ-ციურიხი | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 22:15 | 547 | ცრვენა ზვეზდა-ბრაგა | 1.75 | 3.30 | 3.80 | 1.14 | 1.19 | 1.76 |
| 22:30 | 548 | ოსერი-ლევსკი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 22:30 | 549 | ჰამბურგი-კოპენჰაგენი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 23:30 | 550 | გიმარაეში-ვისლა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:30 | 551 | ბეერსხოტი-მარსელი | 3.75 | 3.30 | 1.80 | 1.75 | 1.24 | 1.16 |
| 22:30 | 552 | ტრომსიო-გალატასარაი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:00 | 553 | რომა-არისი | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 22:45 | 554 | ჰიბერნიანი-დნეპრო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 555 | გრაცერი-სტრასბური | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 22:45 | 556 | დინამო(ბქ)-ევერტონი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 557 | ბანიკი-ჰერენვენი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 23:00 | 558 | პალერმო-ანორთოსისი | 1.15 | 5.80 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.79 |
| 23:00 | 559 | მიდლსბრო-ქსანთი | 1.25 | 4.80 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.00 |
| 23:00 | 560 | მონაკო-ტილბურგი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 23:10 | 561 | ბოლტონი-ლოკომოტივი(პლ) | 1.25 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 2.86 |
| 23:30 | 562 | სევილია-მაინცი | 1.35 | 4.00 | 7.10 | 1.00 | 1.13 | 2.55 |

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**



აღდგენილი „სარბიელის" სინი „ლოკომოტივს" ილია ბაბუნაშვილმა გადასცა





# ყოჩებმა ვერ იყოჩაღეს და ლოკომოტივს ჩამორჩნენ

## აღდგენილი ტრადიცია „სარბიელის" სინისთვის

**I ტური. უმაღლესი ლიგა**
**14 სექტემბერი**
**ლოკომოტივი 45:5 ყოჩები**

**ლოკომოტივი:** ლექსო გუგავა, ნონო ანდღულაძე, რეზო გიგაური, სანდრო გილაური, ვატო ჩიხლაძე; ბობა კვინიხიძე, ირაკლი ღვინჯილია; ბექა ყურაშვილი, შალვა სუთიაშვილი, ზვიად მაისურაძე, ზურა კორკოტაძე, გიგა ნიშნიანიძე, შოთა მელიქიძე, ბესიკ ქარაბაგი, დათო გასვიანი
*შეცვლაზე შევიდნენ: ნიკა მხეიძე, მიხეილ წეველიძე, გიორგი ტრაპაიძე*
*მწვრთნელი: თ. ბენდიაშვილი*
*7 ლელო: გილაური, ყურაშვილი (2), წეველიძე (2), გასვიანი, მაისურაძე; 5 გარდასახვა: კვინიხიძე*
**ყოჩები:** ვლადიმერ ვრუდკო, მიხეილ დადაშიანი, დავით თოთაძე, პაატა მაისურაძე, დავით ოდიშარია; ირაკლი გიორხელიძე, გოგა ხელაძე; ჯაბა მალაღურაძე, მორის ტუჩაშვილი, მამუკა ცხადაძე, მიხეილ არჩუაშვილი, გიორგი ტურძელაძე, გიორგი ანჯაფარიძე, დიტო კიკნაველიძე, ზაზა ჭაბაშვილი
*შეცვლაზე შევიდნენ: ჯემალ მარკოზაშვილი, გელა ხურცილავა, დავით ოდიშარია*
*მთავარი მწვრთნელი: ნ. ჭავჭავაძე*
*1 ლელო: ცხადაძე*

**აკადემია 18:24 ხულიგანა**

**საქართველოს** მეთექვსმეტე ჩემპიონატი გუშინ ლოკომოტივის სავარჯიშო მინდორზე „ლოკომოტივ" — „ყოჩების" შეხლით გაიხსნა. ეს მატჩი იმითაც გახლდათ გამორჩეული, რომ „სარბიელის სინის" გათამაშება აღდგა და „ლოკომოტივი" ქულების გარდა ამ ტრადიციულ ჯილდოსაც ეცილებოდა მეტოქეს.

ტრიბუნებზე ჩამომჯდარი ორასიოდე ქომაგი დიდი ბრძოლის მოწმე ნამდვილად არ გამხდარა. თამაში ცალმხრივი შეტევებით წარიმართა და ლოკომოტიველებმა პირველივე წუთიდან აგრძნობინეს „ყოჩებს", რომ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

მესამე წუთზე ლექსო გუგავამ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა მეტოქის ოცდაორში კარგა ხანს მობურთალი თავისიანების შეტევა და ანგარიში ლელოთი გახსნა.

პირველ ტაიმში „ყოჩებმა" თითზე ჩამოსათვლელი მომენტები შექმნეს, პირველად კი „ლოკოს" ნახევარზე მეთოთხმეტე წუთზე გადავიდნენ.

კაცმა რომ თქვას, 4-5 წუთი კარგადაც უტევდნენ, თუმცა შემდეგ შეცდნენ და კვინახიძემ ბურთის ამოტანა შეძლო.

გუგავას გარდა პირველ ტაიმში „ლოკომოტივის" მხრიდან ორი ლელო ბექა ყურაშვილმა გაიტანა. ერთი კი მიხეილ წეველიძემ. კვინიხიძემ 4 ცდიდან სამჯერ მოახერხა გარდასახვის ზუსტად შესრულება, „ყოჩებიდან" კი მამუკა ცხადაძე გამოირჩა, თუმცა მის ლელოს გარდასახვა არ მოჰყოლია და პირველი ნახევარიც 26:5 დასრულდა.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპმა იკლო, „ლოკომოტივი" შედარებით უხალისოდ უტევდა, „ყოჩებს" კი ისევე როგორც პირველ ტაიმში, არც მეორეში გამოსდიოდათ რამე.

შედეგად ლოკომოტიველებმა კიდევ სამი ლელო გაიტანეს, კვინიხიძემ ორჯერ გარდასახა, „ყოჩებს" კი მეორე ორმოცწუთეულში ქულა აღარ აუღიათ და თამაში 45:5 დამთავრდა „ლოკოს" სასარგებლოდ.

„ყოჩების" უნიათო თამაშს ობიექტური ახსნაც მოეძებნება. სეზონის წინ გუნდი ცამეტმა მორაგბემ დატოვა, ახალმოსულები კი უმეტესად ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეები არიან.

მატჩის ბოლოს „სარბიელის" მთავარმა რედაქტორმა ილია ბაბუნაშვილმა გამარჯვებულ გუნდს „სარბიელის სინი" და ფულადი ჯილდოც გადასცა, ამიტომ, მიუხედავად არცთუ საინტერესო ორთაბრძოლისა, მეთექვსმეტე ჩემპიონატმა მაინც ლამაზად აიღო სტარტი.

ტურის მეორე თამაშში უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „ხულიგანამ" ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე „აკადემია" დაამარცხა 24:18 და ჩემპიონატში პირველი ქულები ჩაიწერა.

**ლადო ფულუკიძე**

**ბადრი კეთილაძის** *ფოტოები*

**I ტური. პირველი ლიგა**
**8 სექტემბერი**
**დინამო 29:3 თელავი**
**არმაზი 29:17 უნივერსიტეტი**
**ბათუმი 19:45 აია**

**უმაღლესი ლიგა**

| | თ | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 45:5 | 2 |
| 2 ხულიგანა | 1 | 1 | 0 | 0 | 24:18 | 2 |
| 3 ლელო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 აკადემია | 1 | 0 | 0 | 1 | 18:24 | 0 |
| 5 ყოჩები | 1 | 0 | 0 | 1 | 5:45 | 0 |

**პირველი ლიგა**

| | თ | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 აია | 1 | 1 | 0 | 0 | 45:19 | 2 |
| 2 დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 29:3 | 2 |
| 3 არმაზი | 1 | 1 | 0 | 0 | 29:17 | 2 |
| 4 უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 17:29 | 0 |
| 5 ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 19:45 | 0 |
| 6 თელავი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:29 | 0 |





# მარკოიშვილის ოლიმპიური ავანსი
## ნაკრები მომავლის იმედზეა



იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ საქართველოს ნაკრები A დივიზიონში ვერ აღზევდა, ტრავმირებული მოთამაშეებია. ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვლადიმერ სტეფანია, ვიქტორ სანიკიძე და მანუჩარ მარკოიშვილი ფინეთში რომ გვყოლოდა, გამარჯვებას რაღა უნდოდა, მაგრამ... ამ მოთამაშეებს სერიოზული ტრავმები აწუხებთ, თუმც ამჯერად მარკოიშვილის ამბებს შევიტყობთ, რომელმაც ლიუბლიანის „ოლიმპიასთან" გასული კონტრაქტი გააფორმა. გუშინ მანუჩარს სლოვენიის საკურორტო ქალაქ ნოვო მესტოში შევეხმიანეთ, სადაც ის რეაბილიტაციის კურსს გადის...

— სანამ ჯანმრთელობაზე გკითხავდე, კონტრაქტის გაფორმების ამბები გაიხსენე. ცოტა მოულოდნელი იყო, რომ „ოლიმპიამ" ახალ ოპერაციებს ხელშეკრულება დაგიდო...

— „ოლიმპიის" ხელმძღვანელობას მანამდე უნდოდა ჩემთან ახალი კონტრაქტის გაფორმება, სანამ ტრავმას მივიღებდი. ეს კლუბის ბოსამ და გუნდის მწვრთნელებმაც მითხრეს. უბრალოდ, არ ჩქარობდნენ, რადგან არ იცოდნენ, რამხელა ბიუჯეტი ექნებოდათ.

— მერე, საოპერაციო რომ გახდი, პრობლემები ხომ არ შეგექმნა?

— ჩემმა ტრავმამ კონტრაქტის პირობებზე იქონია გავლენა. ოპერაცია რომ არ დამჭირვებოდა, რა თქმა უნდა, უკეთეს კონტრაქტს გამოვკრავდი ხელს, ან სულაც სხვა გუნდში წავიდოდი. სეზონის მიწურულს რამდენიმე კლუბი გამოჩნდა, რომლებიც „ოლიმპიაზე" უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ ჩემმა ტრავმამ ყველა დააფრთხო. „ოლიმპიამ" მაინც არ გადაიფიქრა ჩემი გუნდში აყვანა, რადგან კარგად მიცნობდა, როგორც მოთამაშეს.

— ესე იგი, კონტრაქტით მთლად კმაყოფილი არ ხარ...

— რაც აქამდე მქონდა „ოლიმპიაში", ზუსტად იგივე პირობებია. რომ ვთქვა, უკმაყოფილო ვარ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, რადგან ისეთი ოპერაცია გავიკეთე, რის შემდეგ რეაბილიტაციასაც მინიმუმ 6 თვე სჭირდება.

— ასე სერიოზული ტრავმაა?

— მყესი მქნდა გაწყვეტილი და კოჭის ძვალზე კიდევ რაღაც წანაზარდები მქონდა. მხოლოდ მყესის შეხორცებას 4-6 თვე უნდა, მერე ფორმაც ხომ აღსადგენია.

— ახლა რა სტადიაზე ხარ?

— მეექვსე დღეა, რაც ყავარჯნები გადავაგდე, თაბაშირი კი 22 აგვისტოს მოვიხსენი და 24-იდან სლოვენიის ერთ-ერთ საუკეთესო სარეაბილიტაციო ცენტრში ვმკურნალობ, რომელიც ნოვო მესტოში მდებარეობს.

— მერედა, როგორ მიდის აღდგენითი პროცესი?

— ნორმალურად, რადგან რასაც ექიმები მეუბნებიან, ყველაფერს ვაკეთებ. უკვე 20 დღეა, აქ ვარ და ყოველდღე 8-10 საათი ვვარჯიშობ. ეს ჩვეულებრივი ვარჯიში არ გეგონოთ, ჯერ ტერფს ნორმალურად ვერც ვამოძრავებ. მავარჯიშებენ მოძრაობის ამპლიტუდის გაზრდასა და რიტმის აღდგენაში. ჯერ რბენაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ნოვო მესტოდან რომ წახვალ, მერე რას გააკეთებ?

— აქედან შაბათს მივდივარ და ექიმების შედგენილი გრაფიკით ვივარჯიშებ ლიუბლიანაში. ჯერ საკმაოდ ადრეა მოედნისკენ გახედვაც კი, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ აღდგენით პროცესს სავარაუდოზე მოკლე ხანში გადავლახავ.

— ახლა ნაკრებზე ვთქვათ...

— ძალიან მეტკინა გული, რომ ჯგუფიდან ვერ გავედით. არ ვიცი, რა ვთქვა, ტელევიზიით თამაშებს ვერც ვუყურე, მხოლოდ მესიჯებით მატყობინებდნენ, რა ხდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ. მომავალში ვეცდებით A დივიზიონში გადასვლას.

**ირაკლი პერტაია**

## კრაქზნებმა ხომალდი მიატოვეს და სხვას ეძებენ

**„ნიუ ორლეან ჰორნეტსის"** მფლობელ ჯორჯ შინს სურს, რომ მისი გუნდი სტიქიისგან გაპარტახებულ ქალაქში დარჩეს და ნბა-ს მატჩებს წყალწალებულ დარბაზში უმასპინძლოს, მაგრამ, მისი თქმით, ეს შეუძლებელია და გამოსავლის ძიებაა საჭირო.

„ჩვენ არ გვსურს, რომ ხომალდი მივატოვოთ და თავშესაფარი სხვაგან ვეძებოთ, მაგრამ ამ ეტაპზე სხვა გზა არ არის — ამბობს შინი — ჩვენ უნდა ვილოცოთ და თან ვიმოქმედოთ, რათა ქალაქს მალე დავუბრუნოთ ძველი სილამაზე და ლაზათი. ვფიქრობ, ფედერალური სახსრებითა და დონორი კომპანიების დახმარებით ყველაფერი მაქსიმალურად მოკლე ხანში მოგვარდება".

„ჰორნეტსს" უკვე შესთავაზეს თავისი სარბიელი სხვადასხვა ქალაქებმა — ოკლაჰომა სიტიმ, სან დიეგომ, კანზას სიტიმ და ნეშვილმა. ნიუორლეანელთათვის ყველაზე მისაღები იყო ახლომდებარე ბატონ რუჟის „რივერსენთერი", მაგრამ ახლა იქაც შეუძლებელია თამაში, რაკი შენობა ნიუორლეანელი ლტოლვილების განთავსებისა და სამედიცინო მომსახურებისთვის გამოიყენება. შინი იმედოვნებს, რომ მომავალ კვირაში საბოლოოდ ეცოდინება, თუ სად ითამაშებს მისი გუნდი საშინაო მატჩებს.

**ირაკლი პერტაია**



# საფერფლო ეიფორია

საქართველოში არავინ, ან თითქმის არავინაა კრიკეტის ბაიბურში, მაგრამ ჩვენთვის სპორტის ამ ეგზოტიკურ სახეობაზე მრავალ ქვეყანაში ჭკუას კარგავენ, მათ შორის ინგლისში. ჰოდა, აი, ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრები ახლა ავსტრალიის ნაკრებზე თავის ისტორიულ გამარჯვებას გულშემატკივრებთან ერთად ზეიმობს და ამ ლამის საერთო ეროვნულ სიხარულს ლონდონის ქუჩებში ძალზე უცნაურად, ავტობუსების ალლუმით გამოხატავს




**საკრიკეტო** ციებ-ცხელებამ ინგლისი ჯერ კიდევ ამ ზაფხულს მოიცვა, როცა მათმა ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ასევე ავსტრალიელებს სძლია. ახლა მას მხარი აუბა ვაჟთა გუნდმაც, რომელმაც სახელგანთქმული ავსტრალიელი შეინ უორნის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, „მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლებს მაინც სძლია.

ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში ათასობით გულშემატკივარი გამოვიდა, თავად მოკრიკეტეთა კორტეჟი კი მივიდა ტრაფალგარის მოედანზე, სადაც საზეიმო ცერემონია გაიმართა. იქიდან მისი მონაწილეები გაემართნენ „ლორდსის" სტადიონზე, სადაც თავიანთ ნადავლს შესანახად გადასცემენ.

. ეს გამარჯვება თავისი მნიშვნელობით ისეთივე იყო, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 1996 წელს მათი ფეხბურთელებისა და შარშანწინ ინგლისელი მორაგბეების გამარჯვება.

ახლანდელ „საავტობუსო ალლუმზე" ინგლისელ ქალთა ნაკრებიც მონაწილეობდა.

ინგლისელებმა პირველად 1987 წელს აართვეს ავსტრალიელებს საპატიო ჯილდო, რომელსაც „ფერფლიანი ურნა" ეწოდება.

„ფერფლიანი ურნისთვის" ინგლისელები ავსტრალიელთა წინააღმდეგ ხუთდღიან მატჩში იბრძოდნენ. ეს შეჯიბრება შესვენებებით მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. გადამწყვეტი მეხუთე მატჩი ორშაბათს ფრედ დამთავრდა, რაც რამდენიმეთვიანი ტურნირის კულმინაცია იყო. და შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში მთელი ინგლისი საკრიკეტო ციებცხელებამ მოიცვა.

საბოლოო ჯამში ინგლისელებმა ორ შეხვედრაში იმარჯვეს, ერთში დამარცხდნენ, ორი მატჩი კი ფრედ დამთავრდა ბრიტანელთა ეიფორიაც დაიწყო.

ტურნირის ისტორია ასეთია: 1882 წელს ინგლისელებმა პირველად წააგეს ავსტრალიელებთან. ერთმა გაზეთმა დაწერა, მორჩა, ინგლისური კრიკეტი მოკვდა და მისი დაკრძალვა ამა და ამ ადგილზე მოხდებაო, ხოლო მისი ფერფლი ავსტრალიას გადაეცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ინგლისელებმა კვლავ წააგეს და როგორც დასაშოშმინებელი პრიზი, მათ გადასცეს ინგლისის კრიკეტის „ფერფლიანი ურნა". სინამდვილეში ეს დამწვარი საკრიკეტო კარის ძელის ფერფლი იყო.

მას მერე ავსტრალიელბი და ინგლისელები ერთმანეთისთვის ამ ურნის წართმევას ცდილობენ. ამბობენ, რომ თანამედროვე ურნაში იმ ლეგენდარული ფერფლის ცოტაოდენი ნაწილია დარჩენილიო.

ახლანდელი ფერფლისთვის ბრძოლის პერიპეტიებზე და მის დრამატულ ამბებზე წერას ალბათ აზრი არა აქვს, რადგან ამ თამაშის წესების ორი სიტყვით გაცნობა შეუძლებელია.

საკმარისია ითქვას, რომ ახლო დღეისთვის მსოფლიოს ორი უძლიერესი გუნდი შეხვდა ერთმანეთს, რომლებმაც მეტად მიმზიდველი ბრძოლები ჩაატარეს.

ახლა ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრების წევრები თავიანთი პოპულარობით არაფრით ჩამორჩებიან ფეხბურთელებსა და მორაგბეებს. მათი სახელები ყველას პირზე აკერია.

ამ გამარჯვების სიხარულს ისიც აორმაგებს, რომ ავსტრალიელები მათი ლიდერის შეინ უორნის ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად მაინც დამარცხდნენ. იმასაც ამბობენ, რომ სტატისტიკის მიხედვით შეინ უორნი ინგლისის ნაკრებისთის კრიკეტის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე სახიფათო ბოულერიაო.

„ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ ჩვენ უამრავი ხალხი გავაბედნიერეთ. მთელი ამ ზაფხულის განმავლობაში მოკრიკეტეებსაც და გულშემატკივრებსაც ზოგჯერ სრულიად პოლარული ემოციები გვეუფლებოდა, მაგრამ ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა აჩვენა, რომ მის წევრთაგან არავის არვისი ეშინია" — თქვა ალლუმისას ინგლისელთა ნაკრების კაპიტანმა მაიკლ ვონმა.

„მე ამ ტურნირს ბავშვობიდან ვუყურებდი და ვერც კი დამიჯერებია, რომ ინგლისის ნაკრების გამარჯვებაში ჩემი დიდი წვლილი შევიტანე" — თქვა ენდრიუ ფლინტოფმა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



რობერტ ერასი



# გამარჯვებულნი იცვლებიან, დიდი სამეული კი იგივეა

| მეთხუთმეტე ეტაპი. 14 სექტემბერი | |
|---|---|
| ელ ესპინარი — ლა გრანია დე სან ილდეფონსო. 165,6 კმ | |
| კარლოს გარსია გუესადა (ესპანეთი) | 3 სთ.51 წთ. |
| საერთო ჩათვლა | |
| 1. რობერტ ერასი (ესპანეთი, ლიბერტ სეგუროსი) | 69.21.36 |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +4.30 |
| 3. კარლოს სასტრი (ესპანეთი CSC) | +4.50 |

**ესპანეთში** მიმდინარე საერთაშორისო ველორბოლა ვუელტაზე ლამის ყოველი ეტაპის დამთავრების შემდეგ ფინიშზე პირველ სამეულში მუდამ მასპინძლებს ვხედავთ, რომლებიც საპატიო კვარცხლბეკზე ერთმანეთს ენაცვლებიან. ახლაც, გუშინ გამართულ მე-17 ეტაპზე გაიმარჯვა ესპანელმა კარლოს გარსია კესადამ, რომელმაც დისტანცია 3 საათსა და 51 წუთში დაფარა. ფინიშთან მეორე იყო იტალიელი ფრანსისკო მანჩეგო, რომელიც ლიდერს 46 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილზე ესპანელი სანტოს გონსალესი გავიდა.

თითოეული ეტაპის შემდეგ გამარჯვებულნი იცვლებიან საერთო ჩათვლაში კი ისე როგორც მე-15 და მე-16 ეტაპების შემდეგ, ლიდერთა სამეული იგივეა: ესპანელი რობერტო ერასი, რუსი დენის მენშოვი და ესპანელი კარლოს სასტრი



# წესია თუ ხელთათმანი

**ჭიდაობა** თავის წესებს ხელთათმანივით იცვლის. მოჭიდავეები ახალი წესის ათვისებას და მასთან შეგუებას ვერ ასწრებენ, რომ ძალაში ახალი შემოდის.

აი, ახლაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ თავისუფალ, ბერძნულ-რომაულ და ქალთა ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე კვლავ შეცვალა წესები. არადა, ახალი მხოლოდ იანვარში იყო შემოსული. იანვარში შემოღებული წესის თანახმად ჭიდაობა სამ პერიოდად ტარდებოდა. ორ მათგანში გამარჯვება მოჭიდავეს [illegible] ჯების გარანტიას აძლევდა. ფრედ დამთავრების შემთხვევაში ოთხწუთიანი პერიოდის ბოლოს ინიშნებოდა კლინჩი — ეგრეთ წოდებული ჯვარედინი ჩავლება.

ახლა, ახალი წესების მიხედვით, მთელი ჭიდაობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ინიშნება კლინჩი ნებისმიერი პერიოდის ბოლოს! თუ კლინჩი ჭიდაობას უკვე გადაწყვეტს, მაშინ ფრედ დამთავრებული პერიოდის შემდეგ ჭიდაობა მანამ გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი სპორტსმენი გადამწყვეტ ქულას მოიპოვებს.



# თურქეთს ფიცარნაგიდან მოკვეთა ელის

**თურქეთში** სერიოზული დოპინგ სკანდალი აგორდა, რაც ამ ქვეყნის ძალოსნებს ორი წლით მოკვეთას უქადის. მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (ვადა) გამოამჟღავნა სამი თურქი ძალოსნის მზაკვრობა, რომლებმაც დოპინგზე ანალიზისას სხვისი სინჯები ჩააბარეს.

ერთი თვის წინათ ამ სააგენტოს წარმომადგენლებს, რომლებიც სადოპინგო შემოწმებას თურქეთის ნაკრების ბაზაზე ატარებდნენ, ეჭვი შეეპარათ ოლიმპიური ჩემპიონის ტანერ საგირის, ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორის სედატ არტუჩისა და მსოფლიოს ჩემპიონ რეიჰან არაბაჯიოღლუს პატიოსნებაში. როგორც მოგვიანებით დადგინდა, მათ საკუთარის ნაცვლად სხვათა ანალიზები ჩაუტარებიათ.

გასული [illegible] ვადამ მოულოდნელი შემოწმება ჩაატარა ანკარაში, ყველა სპორტსმენი [illegible] აღმოჩნდა და სწორედ მაშინ გახდა ნათელი, რომ ძველი ანალიზები ეკუთვნოდათ იმ ძალოსნებს, რომლებიც ოფიციალურ დეკლარაციაში არ იყვნენ გაცხადებულნი.

დოპინგ შემოწმებისგან თავის არიდების გამო სამივე სპორტსმენს შეჯიბრებებიდან ორი წლით მოკვეთა ელის.

საერთაშორისო ნორმების თანახმად, ანალოგიურად დაისჯება თავად თურქეთიც.





# დასკვნა: ყავისფერი შაქარი მაგარია

**როგორც** ვიუწყებოდით, ამ შემოდგომაზე მეტად საინტერესო საკრივო ორთაბრძოლაა დაგეგმილი — მუშტები ერთმანეთს ქალმა და კაცმა უნდა დააყარონ.

ეს მამაცი ქალბატონი 34 წლის ენ ვულფია, რომელსაც მეტსახელად „ყავისფერ შაქარს" უწოდებენ. მან რინგზე ნაკლებად ცნობილი ბოს კიპერი გამოიწვია. ცნობილია თუ ნაკლებად ცნობილი, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ქალი კაცს უნდა ებრძოლოს.

ენ ვულფმა 22 გამარჯვებიდან 15-ში ნოკაუტით დაასრულა ბრძოლა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ამიტომაც მასთან ბრძოლას ქალები გაურბიან. ჰოდა, მანაც კაცებთან ძალის მოსინჯვა გადაწყვიტა, რამაც მისისიპის შტატის ათლეტური კომისიის ჩინოვნიკები დააეჭვა. მისმა მეთაურმა ჯონ ლუისმა გადაწყვიტა, ამ ქალის შესაძლებლობები საკუთარ თავ-ყბაზე გამოეცადა.

34 წლის ლუისი, რომელიც ერთ დროს მოკრივე დილეტანტებისთვის განკუთვნილ სპეციალურ შეჯიბრებებში გამოდიოდა, გადაწყიტა, ვულფის წინაალმდეგ ოთხრაუნდიანი სპარინგი ჩაეტარებინა და ჩაატარა კიდეც.

ჰოდა, ამ ბრძოლამ ლუისიცა და კომისიის სხვა წევრებიც, რომლებიც პაექრობას თვალს ადევნებდნენ, დაარწმუნა რომ ვულფს შეუძლია კაცის წინაალმდეგ იჩხუბოსო.

„ეს უბრალოდ სპარინგი არ იყო. მე, როგორც კი შემეძლო, ისე ვეკვეთე ამ ქალს — ამბობს ლუისი, რომლის დამსახურებათა ნუსხაში 21 გამარჯვება და მხოლოდ 3 მარცხია — ვულფმა გაუძლო ჩემს დარტყმებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში ბევრ კაცს ძირს დასცემდა. ამ ორთაბრძოლამდე მის შესაძლებლობებში ეჭვი მეპარებოდა, ვფიქრობდი, მამაკაცთან ვულფის ორთაბრძოლის თაობაზე გამეცა თუ არა ნებართვა. ახლა, როცა დავრწმუნდი მის შესაძლებლობებში, ვფიქრობ, რომ მას უნდა მივცეთ კარგი გამომუშავების შანსი."

და მაინც, ვულფისა და კიპერის შეხვედრის ბედი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, საქმე ისაა, რომ მათი შეხვედრა 15 ოქტომბერს უნდა გამართულიყო ბილოკსში, რომელიც ამასწინდელი ქარიშხლისაგან ძლიერ დაზარალდა. ახლა ვულფის წარმომადგენლები მომავალი ბრძოლის სხვაგან გადატანის თაობაზე ფიქრობენ.



# მექსიკელებმა აფრიკელებს წითელი აუნთეს

**მექსიკაში** შესაძლოა მძლეოსანთა სკანდალმა იფეთქოს. მექსიკელი მძლეოსნები მოითხოვენ, რომ აფრიკელ მორბენლებს კომერციულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვან, რადგანაც თითქმის ყველა ასპარეზობას იგებენ.

მართლაც, ბოლო წლებში მექსიკაში რაც კი მარათონული რბენა გაიმართა, სულ კენიელებმა მოიგეს.

„მათ ყველა ჯილდო და მთელი საპრიზო თანხა წაიღეს" — დაიჩივლეს მექსიკელებმა და მძლეოსანთა ეროვნულ ასოციაციაში საჩივარი გაგზავნეს.

ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, აფრიკელი მძლეოსნები გამოეხმაურნენ და მექსიკელ კოლეგებს არასპორტულ საქციელში დასდეს ბრალი.

„აფრიკელი მორბენლებისთვის შეჯიბრებები ერთადერთი გზაა არსებობისთვის, მოგებული ფული მათ მხოლოდ საკვებისთვის და სახლის ქირის დასაფარად ყოფნით" — განაცხადა კენიის მორბენალთა მთავარმა მწვრთნელმა.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ოლგა სიმღერაშიც ჩოგანს იქნევს



**რუსმა** ქალმჩოგნე ოლგა ბარაბანშჩიკოვამ დიდწილად თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გაითქვა სახელი. მართალია, შარაპოვა და მისკინა არ გამხდარა, მაგრამ ოლგას დიდ მომავალს კი უწინასწარმეტყველებდნენ. ის 4 წლისა ჩოგანი იყო, როდესაც კორტს თავი მიანება და მომღერლობა დაიწყო.

ახლა კი ბარაბანშჩიკოვა კორტზე დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ თავისი სიმღერის კლიპში, სადაც მომხიბვლელი ოლგა მეგობარ ბიჭსთან ჩოგბურთს ეთამაშება, თანაც თვალებს უჟუჟუნებს ეშმაკურად. ბიჭიც უცებ ხვდება, რომ ოლგა შეუყვარდა და კლიპიც სასიყვარულო სცენით მთავრდება.

**მარინა ჯამალაშვილი**

# იაო საჩემპიონოდ

*დოჰაში აზიის საკალათბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ჩინეთი რომ ფავორიტია, ლაპარაკი არ უნდა: იაო მინგი უკან არ დაიხევს. ეს ვინმე პოლ ხური კი, რომელიც გოლიათის შეჩერებას ცდილობს, ლიბანის ნაკრების წევრი ყოფილა.*



AFP დოჰადან



# ინგლისი ამაყობს

ინგლისს მოკრიკეტეთა ნაკრებმა ავსტრალიისას სძლია და ეშლის ტიტული დაისაკუთრა. ხუთმატჩიან სერიას მოჰყვა ასიათასობით ინგლისელის აღტაცება და მოკრიკეტეთა დალოცვა. ეს სერია ინგლისს ბარე ოცი წელიწადია არ მოუგია. ტონი ბლერმა კაპიტანი მაიკლ ვონი მიიღო და ასევე პატივით დაუხვდა ქალ მოკრიკეტეთა შკიპერს, კლერ ო'კონორს. ამ მიღებაზე სპორტის მინისტრი ტესა ჯუელი მოკრიკეტე სტივ ჰარმისონს ებაასებოდა, მანამდე კი ოქსფორდ სტრიტზე ზეიმი იყო. მოკრიკეტენი ხალხთან ერთად ხარობდნენ. ენდრიუ ფლინტოფს თავისი გოგონა ჰოლი აეყვანა ღია ავტობუსზე, კევინ პიტერსენს თმა შეეღება, კაპიტანი კი შავ სათვალეში იყო და ეშლის თასის მოდელს ათამაშებდა თითებში.



AFP ლონდონიდან

# არაბული ქორ-კაპოეტნი

*აბუ დაბიში კი კვლავაც გრძელდება მონადირეთა და მხედართა გამოფენა. ესეც თვალდასხვენებული ქორ-კაპოეტნი, რომელთაც მცოდნე მყიდველი გვერდს ვერ აუქცევს. თითო 160 ათასი დოლარი ღირს, ხუმრობა ხომ არ არის.*



AFP აბუ დაბიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლიაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გალუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge